

# ივერია

1881

№ XII, დეკემბერი.



თბილისი.  
ექვთიმე ხელაძის სტამბა.  
1881

## შინაარსი:

I ივერიის რედაქციისაგან.	3
II მეირომა ანუ ბოსნელები, (დასასრული)	5
III ბანმარტებითი წერილი სწავლების პლანისა, რამე- მელიც მიღებულ უნდა იქმნას სამკურნო სკოლაში ს. წინამძღვართან კარს.	76
IV ორი ლექსი, ი. ბაქრაძისა.	110
V ნახული და გავონილი (მგზავრის შენიშვნები).	112
VI «ნეტა რას ტირი დედილო,» ლექსი თ. რაფ. ერისთვისა.	127
VII შანაური მიმოხილვა	128
VIII ხილად, (ქელტონი)	143
IX ახალი წიგნები (თ. რ. ერისთვის იგავ-არაგნი) ი. ს—ა.	153
X შინაარსი 1881 წლის «ივერიისა»	166
XI ბანცხადებანი	169
XII სია 1881 წლის «ივერიაზედა» ხელის მომწერთა (უდაზგად).	

# ივერია

საოლიტიკო და სალიბერატურო  
ქურნალი.


6003

წელიწადი მეხუთე.

№ XII



თბილისი.  
მეტეოროლოგიის სკოლა, აკადემიის ქუჩაზე.  
1881



...зурою. Тифлисъ, 26 Ноября 1881 г.

## „იმერია“ კულაქსტრისაგან.

მოძავალს 1882 წელს ჟურნალი „იმერია“ გამოვა იმავე სახით და სიერცით, როგორც 1881 წელს გამოდიოდა.

ჟურნალში იქნება სამი განყოფილება: 1) ბელეტრისტიკული — რომანები, მოთხრობები, პოემები, წერილი ლექსები, რეგორტ, ორიგინალურნი, ისე საუკეთესო თხზულებათა თარგმანნი. 2) წერილები ისტორიული, კრიტიკული, ეტნოგრაფიული, მოგზაურობა და სხვ. 3) ქრონიკა: ამ განყოფილებაში განსაკუთრებული ყურადღება ექნება მიქცეული „შინაურს მიმოხილვას“ რედაქცია ყოველის დონის-ძიებით ეცდება, რომ არავითარი საინტერესო მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში უყურადღებოდ არ დასტოვოს და შეძლებისამებრ ჩვენს ქვეყნის ყოველს კუთხეში იყოლიოს სანდო პირნი ცხოვრებისათვის თვალყურის სადევნელად. გარდა შინაურის მიმოხილვისა, ჟურნალში იქნება აგრეთვე რუსეთისა და უცხო ქვეყნების მიმოხილვა — რედაქცია ეცდება თვისა-და-თვის თავზედ წარუდგინოს მკითხველს ყოველივე, რაც კი გარეშე ქვეყნებში შესანიშნავი მოხდება. სამეცნიერო ქრონიკა — წერილები სსკა-და-სსკა-სამეცნიერო და ჩვენის ქვეყნებისათვის საინტერესო საგნებზედ. ოცატრი — გარჩეული იქნება კრიტიკულად ჩვენს სცენაზედ ნათამაშები პიესები და აგრეთვე აქტიორ-აქტრისების სელოკნება. ახალი წიგნები — ვრცელი კრიტიკა და შენიშვნები ახალს ქართულს წიგნებზედ და აგრეთვე უცხო ენით

დაბეჭდილებზედაც, რომელიც ჩვენს ქვეყანას და სახსს შე-  
ეხებიან. სხვა-და-სხვა ამბები—მეცნიერების და ლიტერატურ-  
ისა.

წიგნები «ივერია» გამოავსო თვისა - და - თვის  
დამდეგს.

ხელის-მოწერა მიიღება მხოლოდ მთელი წლით.

### ფასი

«ივერია» 1882 წლისა (თარგმნი წიგნი) 7 (შვიდი)  
მანათი, ვისაც უჭირავს შემოტანა და შესწავლა, შეუძლიან თან  
მანათი პირველს იანვრამდე შემოიტანონ და საძირკვე მანათი პირ-  
ველს მასამდე.

ინტერესად ხელის-მოწერა მიიღება «ივერიის» რედაქ-  
ციის, რომელიც ამოუტყდა მთა-წმინდაში, ხვეის ქუჩაზე, ავან-  
რესპუბლიკის სახლებში, № 9 და ავრეთვე შავრდოვის სააკენ-  
ტოში და ლექსანდროვის საბჭოში.

ქაღალის გარეშე მცხოვრებთ აქვე და წერილები შემდე-  
გის დადრესით უნდა გამოგზავნონ.

Въ Тифлисъ

Въ Редакцію журнала «ИВЕРІА»

პირობა ანუ ზონქალები.

(დასასრული \*).

მოქმედებს მკნაძე

(პატარა ბაღი ლიუბიციას ქანდაკებასთან)

1-ლი სანახაზი.

ლიუბიცი. (მარტო. საქორწილო კაბაში) მამაჩემმა მსგ. რად გა-  
 მოქმედებს უივანის ჯმბავი? ხუთუ იმხანაჲ შეამჩნია, რომ  
 უივანი ჩემსედ გულს აფრიადა. მას მკან მთავრეულებ-  
 ვარ. დეკრთო, რა უბედურნი მიხევი უნდა იყოს?.. რად  
 შექმედლოდ მან დაძმობუგავს რა, მაგრამ მგინც უივანს ჩე-  
 მი თავი გტრ შეკავაკე. მამსულ ტყუილი ყოფიდა; მე  
 ვგარძნობ, რომ თავის დღეში იმისა სასურველი არ ვიქ-  
 ნები. ვაი შენ ჩემო თავო, რა უბედურის დღისა სარ!  
 ეს ვინ დედა-კაცია? ჩემის უკარის წერის წინად რად  
 მოსდომებია ჩემი ნახვა, ჩეტა ვაცოდე?

\*) ივერია, ტომ 11, 1881 წ.

2-ე სანახაში.

მეირიმა და ლიუბილა; ბოლოს შივან.

მეირიმა. ჭაღო, მე შენ გარკად გიცნობ, ვინცა ხარ; შენ გი-  
არ იფი მე ვინა ვარ, და კერც უხლას შეიტყუებ. აჲ მო-  
კვდი იმისთვის, რომ გამოგიცხადო ის, რაც შენთვის  
ჩემს ვინაობაზედ უფრო საჭიროა.

ლიუბილა. რა არის? მითხარი!

მეირიმა. საიდუმლო შენს საქმეზედ.

ლიუბილა. უიკანზედ?.. რა საიდუმლო?.. ვინა ხარ, დედა-გარცა?

მეირიმა. თუ გიდეკ მკითხე ვინა ვარ, საიდგანაც მოკსუღვარ,  
იქავ წავალ.

ლიუბილა. ნუ წახვალ, სთქვი!

მეირიმა. ჯერ ფიცი მომეცი, რომ არავის ეტყვი, ვინ იყო  
შენთან და რა გითხრა.

ლიუბილა. ტეფბტები, აღთქმას გადადეგ.

მეირიმა. მაშ, უხლას, ეს კარები დაჭკუტე.

ლიუბილა. (კარებს დაჭკუტავს) დაკუტილია.

მეირიმა. მითხარი, მაგრამ მართლად გი მითხარი, უიკანი რა-  
გორ გეპყრობა? უუვარხარ? გეტყვიანალებს? ერთის სიტ-  
ყვით, დაწმუნებულნი ხარ, რომ წიფულის გულით უუ-  
ვარხარ?

ლიუბილა. რაქსა მკითხავ? ან რხსთვისა მკითხამ?

მეირიმა. რაღა შენთან არის, დაღონებულა, დაფიქრებულა  
და რაღა შენა გმორდება, უხარინ, განა?... საცოლოს  
თვალი არ შეატყუნს! შენ უთქვად შეამჩნევდი.



ლიუბიცა. ღმერთო ჩემო, ეს რა შესძის! არ მიცნობ და რა გამოძიებაში შედიხარ ჩვენდა საკუთარ საქმის გამო. შენ ვინ, ჩვენ ვინ?

მეორიმა. (მოუთმენლოვ.) უყვარხარ თუ არა? უყვარხარ თუ არა? მითხარ!

ლიუბიცა. მითამ რატომ არ უყვარები, როდესაც მე მიყვარხარ როგორც ჩემი ორივე თვალი, როგორც ჩემი თავი და ჩემს თავზედ უფრო შეტადარ. ჩემს სიყვარულს, რასაკვირველია, სიყვარულითვე ვასუხს აძლევს!

მეორიმა. (აღშოთხებული.) ისა?.. ოჰ, გამიგონე: სიყვარულით ვასუხს აძლევს! მე რე ვინა? ჟივანია? ჟივანს შენ უყვარხარ!.. ვაი, შე საწყალო!.. იმას თავისი ძაღლი უფრო მეტად უყვარს, ვიდრე შენ!.. იცო თუ არა თავისი ძაღლი მეტჯი

ლიუბიცა. როგორ! ძაღლია!.. სამარცხვინო და საძაგელს სიტყვებს ამბობ!.. ეს იცოდა, მაგ სიტყვებით მე გულს ვერ მატკენ. გადი, გადი აქედამ!

მეორიმა. უყვარხარ?... შენ ჯერ უმაწვილი ხარ, ფერ-უძარბილი ჯერ ცოტა გიხმარინია და ამიტომაც გგონია მზეთ-უნახავი ვარო და უკელას გავაგიყუებ ჩემის სილამაზითა? შენა გგონია, რომ იმას მოსწონხარა? შენა გგონია, შენ გამო იმას სხვა ქალი აღარ უნდა მოსწონდეს, სხვა ქალი უნდა დაივიწყოს? ვაი რა სულელი ყოფილხარ, რა უგუნური!

ლიუბიცა. ნეტა რად არის ყოველივე შენი სიტყვა მხამით საგსე! აგრე შრისხსანე თქალით რად მიუერებ? აგრე რად ვითრთის მთელი ტანა? მე შივხვდი, რადაც და თვითონ ვთრთი, რომ მაგას ვიფიქრობ.

მეირიმა. რა შხამი, რას ებობ?... თბთლლით ვი ვთბრთი, იმიტომ რომ გუღი გაანჩხლებული მანკს შენზედაც და იმზედაც. შენ მოჭსტაცე ყივანი სხვა ქალს; ყივანმა უღაღატა იმ ქალს და ეხლა შენ გიღაღატებს.

ლიუბიკა. რა! მატყუებს! ეს რა შექმის?!..

მეირიმა. (სიხარულით) ჭო, ჭო, ყივანს დიდი ხანია სხვა მოღწონდა, და ეხლაც, ამ უამადაც, ამ წუთსაც ის უყვარს. შენზედ თუ დაინიშნა, მანტო იმისათვის, რომ თავის მამას აამოს. სიყვარულით ვი, ის სხვა ქალი უგებრს და სამუდამოდაც კვარება. გესმის თუ არა, სხვა ქალი მეტეკი! მე ის ქალი მიყვარს, როგორც ჩემი ღვიძლი და, უფრო მეტადაც, და თუ ყივანი, შენ ძალად ხელიდამ გამოაფაღე, იცოდე მეც ძალას მოვიხმარ შენზედ და მანინ ნახამ ჭვა გასტებს ჭიქასა, თუ ჭიქა ჭვასა.

ლიუბიკა. ნუ თუ შესაძლებელია, რასაც მეუბნები? სხვა უფვარსო? სად არის ის სხვა? ვინ არის, ვინ? რატომ თვითონ არ მოვიდა? .. რა, რა, ნუ სტყუი, ნუ მატყუებ, ნუ!..

მეირიმა. თუ ვსტყუოდე, ცოცხალი ნუ გაკალ ამ ბალიდამ! მიწა გასკდეს და თან ჩამიტანოს! კიდევ გეუბნები: იმას ჩემად სხვა უყვარს, სხვა!

ლიუბიკა. კმარა, კმარა! მაგდენს ნუ მტანჯავ, ის მეჩხინს დანა აგელო და შოგეკალი!

მეირიმა. თავი დაანებე, დამიჯერე. მანამდის მეჯვარეები მოვიდოდენ შენს წასაყვანად, ეხლავე, ამ წუთსვე ქვეშავებში ჩაწევი და თავი მოიკადმუოდე. ამითი ქორწილს გადაადებინებ სხვალიოდ. მეტე უგელაფიერი მამა-შენს გა-

მოუცხადე და დეე, მაშინ მოსპოს ეს შენი უბედური ჯვარის წერა (ბაღში ყივანი შემოდის).

ლიუბილა. ოჰ! აი თვითონ თვითონ ყივანი!

მეირიმა. ყივანია! კარგ დროს მოვიდა! თუ კაცია და ჩემს ნათქვამს უარსა ჰყოფს. ნამ ბედი თანამდებულს.

ლიუბილა. ყივან, ღვთის მშობელს გავიციებ, ვინ არის ეს ქალი, დაძინანია თუ კაცია.. რა არის? აქ მოვიდა და საშინელი საიდუმლო მითხრა: სხვა ქალი ჩემ გარდა ვინ გიყვარს?

მეირიმა. მართალია ქსთქვი, ქაჯია ეს წყუელი ღმერთმა თან აძღვეს, რომ ყოველთაგანის გადადგმასკენ ორმო მითხაროს. წმინდა ჯვარს გუფიცები, თუ რომ ერთი რამ მიზეზი, მხოლოდ ერთი მიზეზი არ მახერხებდეს, მე აქვე სულს გავაფრთხობინებდი.

მეირიმა. ვის? მე? შენ გამაფრთხობინებდი! ჭოი შე საზინადარო მონავ! მე შენი იმოდენად მეშინიან, რამოდენადაც უკანასკნელის ბუზისა, რომელიც ჩემ უკრთან ბზუის. შენ მე უნდა მომეყვას ეს მ. შ. არა გტოდნია, რომ შენი და მაგისი თაგი ეხლა ისეთ წკრილს ბეწვსკედ ჰჭიდია, რომ ღაბმის გაწყდეს? ერთსულ თუ ხელიდამ წამიხველ, გტონია რომ ყოველთვის ეგრე ადვილად გადამჩხები.

მეირიმა. გადი! გადო აქედამ!

მეირიმა (ზიზლით მიჰხედავს, ლიუბილასთან მივა და ხელს მოჰკიდებს.) ამას წინად გიჩიო, რომ ამ გველს ნუ მიიკარებ, თორემ გულს დაგიშხამავს მეთქი. წელან გიჩიო და ეხლა კი მე შენ სასტიკად გიკრძალავ. თუ არ დამიჯერებ, თუ არ გამიგონებ ვაი შენ, ვაი მეთქი! (გადის).

ლიუბილა. ესაა ყველაფერსა კხედამ, ეხლა ყველაფერი მესმის,

ქვლას უკვლავი ცხადია, შენს სუკდიანობაც და ჩემი შიშიც! ყოვან, თუ სხვა გიყვარს, რაღად ჭაღატობ და რად იწერ ჩემსედ ჯვარსა? ნუ თუ მართალია, შენს სულს გაფიცებ, ნუ თუ მართალია, რომ მარტო მამის-შენის ძალ-დატანებით იწერ ჩემსედ ჯვარსა?

შვიან. აიმ ვიყის სიტყვა დანიჯერე?

ლიუბილა. სხვა არის, თუ ეგა, არა— ეგ უნდა იყოს ჩემი მოცილე, ეგ?

შვიან. აგრე ჭეიქრობ?.. ნუ დანიჯერებ! სულ რაღა გაიძობ, ძაღლის ყეფა, სხვა არაფერი! შენს მეტი სხვა ქალი არ ვიცი და არც შეცოდებ. წამო, ოთახში შევიდეთ. რაღა მოხდა, ჩვენში დარჩეს, ჩუჩაკის ეტყვი.

3-მე სანახაში.

(დიდი დარბაზი ალი-ფაშის სასახლეში. გარსა სხედან ასმალონი და ჩუმად არიან: ალი-ფაშა, ასან, რუსთან, ფეიზა, ჩამილ, დურათ-ბეგი.)

ასან. ასლა, რაზედ გაკრძედით უკვლანი, ძეიქო პირში ტყვიას ჩაუსხამთო.

რუსთან. ეჭ, კარგი ერთი ასან-აღა, ფეიქს ნუ გვრუთხობ.

ფეიზ. შე ყოველთვის ვძიძობ, რომ ჩვენ უმაწვილ კაცებს ბეგ-რის ფეიქრისაგან თმა არ გაგვითუთრდეს.

ჩამილ. მაგ შიშის ძალე მოგაშორებოტ ტრავნიცის კეხარი, თუ მოინდომს. ჯერ ხომ მაგალითი არა ყოფილა, რომ უმაწვილი კაცის მოჭრილი თავი გათეთრებულყოფოს.

ფეიზ. ხა, ხა, ხა! მოსწრებულნი სიტყვას, მაგამა ჯერ იძის-

თანხა ხმალი აჩავის გაუკეთებია ვეზირისათვის, რომ ჩვენ თაკები დაგვაყრევინოს და თუ გაუკეთებია ვისმუ, მგონია ჩვენს ვისრებს ვერ გაუძღოს და ზუღ გადატუდეს.

ჩამილ. როგორც უხლა მე თქვენ გიტნობთ, ისე ვიტნობდა უწინდელ სარაევას ფაშებსაც. იმათ ვისრები ჩვენს ვისრებსვედ უფრო სხვილები იყო, მაგრამ ვეზირ ავდურმანის ხმალია ვი ასე დასჭრა ყელები, როგორც ქათმებს. ერთს იმათგანს, კარგად მახსოვს, ფეიზი ერქვა, შენი სუხნია იყო და ჩემი მეგობარი კაცი. რაღაც მეუბნება, რომ ორივე სუხნიებს ერთი და იგივე ბოლო გეჭნებათ.

შეიზ. მე ვი ასე მგონია, რომ სუხნია — სუხნიის სიწხლს აიღებს! ესლანდელი სარაევას ფაშები უწინდელებს არა ჰგვანან. უხლა იმისთანანი აღარ არიან, რომ ავდურმანის სიტუვას მიენდონ, ზეოწნიკში წავიდნენ და იქ დაიხოცნენ. და თუ ვეზირს ჩვენთან რამე საქმე აქვს, თვითონ ძობმანდეს ჩვენთან, ჩვენც ვეცდებით, რომ კარგად დაგუხვდეთ.

რუსთან. უხლა, მხალ, გაუმნელდება აქ მოსულა. ბუგრან იწვივენ სტუმრად. დივნმა ხომ სადილი მიართვა: მე მართალი ვითხარით ამას წინად: თავისი მოხარშული წვენი თვითონვე ჭსწვნიოს.

ჩამილ. ეჭ, შენცა ერთი! ჯერ გადასტი, და მერე დაიფიორე ქვარია თქო.

ქსან. კარგი, გეუბრათ ცუდ-უბრალო დაჰმარავი. ჭსჯობს იმ საქმეს შეუდგეთ, რისთვისაც თავი მოგვიყრია აქა. სალამა ფირმანმა არია მთელი ბოსნია; ერთგან მიფხრინ მოფხრინწეს, მეორედგან ფეხითა ჰქალეს, უგელგანს სწავ-

დინ და ახსად გი არ მიიღეს; ასე ამბობენ. ესაა ჩვენ  
როგორ მოვიქცეთ?

რუსთან ბარბი ბოლოცა ქსთქვი პოსაკისა, ძველი ელახი,  
პოდრინი, მთელი კრინა და ჭეცროკოვიანცა ამდგარა და  
ვერინს თავზედა დატეძას უშირებს, კეცირსაც თურმე  
არაოდ კაცო მოუგროვებან ჯარად და როგორც კატა  
ძაღლისაგან შუშინებულა მოკუნტული ჭისის ტრავნიკში  
და იქიდაში იმუქრება.

ჩამილო აგრე ამბობენ, მაგრამ მართლად აგრეა თუ არა, ვინ  
აღივინა?

რუსთან ჩვენ აქ, ბოსნიის შუაგულში ვართ. როდესაც ჩვენს  
განს რამე ასტედება, ხუ თუ გუჯარ ხელ-დაკრეფილები  
გეჭნებით და ხმას არ გამოვიღებთ?

დურათ. რუსთან-ბეკ, ჭკუა სავა გაქვს? მაგას კიდევ ვითხვან  
უნდა? შენ თვითონ არა სთქვი ბოსნიის შუაგულში ვარ-  
თო? რაც რომ ნაშირებში მოხდება, რანაგვირეულია, შუა-  
გულსაც თან ჩაიტანს. როცა მოთხურთხიე ქარი ადგება,  
სულ ერთად თავს მოიფრის, ერთ უშველებელ გრივალად  
გადიქცევა და უკვლავიანს თან წაიღებს, რაც მოხდება:  
დიდს და ძველს ხეებსაც მიწიანად ამოჭვლეკს და ბზესა-  
ვით ჩატრიალებს ჭკერშიც მაგას რაღა თქმა უნდა, რომ  
ხელი უნდა გამოვიღოთ. ესაა ჩვენ იმის ფიქრს უნდა  
შეკუდგეთ: ვინ რამდენი კაცი გამოვიყვანოთ საომრად,  
სად მოვუყაროთ თავი და ვინ დაკაყუნოთ მოთაყუდ?

რუსთან. მე ჩემი ხარჯით ამომყავს ოთხასი აჩრეული ვაჟ-  
კაცი.

მართი ბეგთაგანი. მე ორასს ვაძლავ გამოვიყვან, ერთსაც არ  
დავაკლებ.

ფეიზ. მე იმდენსე წამდენსაც თქვენ რჩნი!

დოროთ. აი ვთას რჩასად შედგ. შენცე ვთასმდინსც მე შე-  
კასრულებ.

მეორე ბეგი. თქვენ რჩბ-ათასნი ვაწვი მოკვეცით, ჩვენ რჩ  
ათასს ვაღვე სხვას მოკვეცით, დეე, ვისრცვის მარჩაში  
რათში-ათასნი ვაწვი იყოს ჯარად.

დოროთ. მანინ ვარგი, თუ საჭრლო იწება, ჩვენ ვიდვე მაგ-  
დენსევე მოკვეცით თავსა. ჯარო უნდა მოკვეცდეს ვი-  
სოკოში, სამს დღეში, ან რჩ და ამ სუთს დღეში მანინც.  
მანამდის ჩვენს ვაგზავნებებიც დაზრუნდებან და შეგ-  
ვატულობებენ, რა ამბავიც არის დანარჩენი ზრასიდა მარ-  
ჩებში და სხვა ჯარები სად იყრინან თავს.

ჩამილ. შენ, ფაშავ, რატომ ეგრე გარუბედილხარ? ვინიდაშ  
რამ ჩიბუნის ბოლი არ გამოგდიოდას და ჩვენ ხანდის-  
ხან არ შემოგვსკადმდე წაღმე, გაქვავებულს ეგვანებოდი.

პლი-თაშა. მე ბნელს წას ვათავაზიერებ, შხუ დრუბელშია მთუ-  
ლი ცა. ჯერ ჭექა-ქუხილი არ ატეხილას და მენსა ვსძინავს  
შავს დრუბელში. ვარგია, დმერთმანი, რამ ჯერ არ გა-  
უღვიძნათ: ბრმათ-ყოფა ცუდია მაგრამ ერთით ვი ვარგი,  
რამ ბრმა თავის უბედურებას ვერა ხედავს. ის თავის-  
თვის ჭზის, ჩონგურს უკრავს და დილინებს, მტერს ვი  
თოფი მიუშვერან და გულში უმიზნებს; გატყერა თოფი  
და საწყალი ბრმა დაეცა მიწაზედ თავისის ჩონგურითა.

ბანა. აჰა, დაიწყო ხელახლად მტერ-მტყველთა, რამ ბნელ-  
ში ბუნი დაიჭიროსა ეჰ, თავი დაანებე, ფაშა, მაგ შენ  
იგაგებს, და ვირ-და-ვინა სთქვი, რასაც ვიჭიჭრობ.

პლი-თაშა. მზადა ვარ გითხრათ უიგავოთ ჩემი აზრი, თუ  
გამიგონებთ და შეიმტყვეოთ. თქვენ ამიჩებთ, ვეზინს

თავს დაესხათ. ერთი მითხარით, იქ წასვლა რა საჭი-  
როა? როდესაც თქვენ თქვენსაკვ სახლში გაქვთ მაგის-  
თანაკვ საქმე.

დურათ. რა? განა ვეზირი ჩვენსედ მოდის?

პლი-თაშა. ანა, ის ტრავნიკშია. ძალიან კარგად აჩის და  
უტვიკავს თავს რად იტკენს, იქილამ რომ ჩაიას ერთი  
თვალი დაუხამხამოს, ყველგან ფეხსედ დააყენებს.

შეიზ. დაჩუმიდი ერთი დააყენებს კი ანა. ვეზირი ჯერ ისე  
არ გასულელებულა რომ ეგა ქნას.

პლი-თაშა. ჩასაც კამობ, იქნება დღესაც მოხდეს. იქნება  
დღეს დამე კი კარგად გავატაროთ, მაგრამ სვალე კი ვე-  
ლარ ვინახულათ მზე.

ასან. შენ, ან ხუმრობ, ან ტყუილად გვაშინებს; ან ანა და  
იცი რაშე?

პლი-თაშა. მე უწინაც გუებნებოდით აქა, რომ ჩაია ძალიან  
გულ-ამღვრეულია მეთქი: ამიტომაც ყურსა და თვალს  
ვადევნებდი გაფაციცებით, რომ იქნება აჯანყების წიშანი  
რამე შეემჩნია. მე ბევრი ვერა შევიტყე — რა, მაგ-  
რამ რაც შევიტყე ისიც საკამოა, რომ გაცს ძილი აღარ  
მოუვიდეს და ფთხილად იეოს. აქამდის ვერ ვამიგია.  
ვინ აღეფეკებს ჩაიას და ჩისტვის აღეფეკებს. მგონია კი,  
სხვა არავინ იქნება, თუ არ ვეზირი — იმ განზრახვით,  
რომ თუ ვინიცობა ჩვენ არეულობა რამ შეგვამჩნია, მა-  
შინვე სედ მოგვისიოს. ასე იმიტომა მგონია, რომ  
თვითონ ჩაია თავისით აჯანყებას ვერ გაჭებამდა.

ასან. იქნება სერბიამ ანუ ხორვატიამ შეგულისა აჯანყების-  
სათვის?

პლი-თაშა. მეც ვერა შეგონა, მაგრამ შევიტყე რომ ჩაიების



უფროსები დაიარებიან კეზირთან და კეზირის კაცი კიდევ რაიებთან. ძალიან ხშირად მიდიან ჭ მოდიან თურქე ერთმანერთთან, აჯანუების თოკის წვერი ტრავნიკშია, დამიჯერეთ.

ღურათ. მითამ? ჩვენ დაგასწრობთ რაიებს. დღეს კი დაგვიანდა, მაგრამ ხვალ-ლამ გავუხვავთ ხელი და ამოვუღიტოთ უკვლანი.

ჩამილ. ბეგო, შენ ჭეუიდამ შეშლილხარ, რა დაგმართვია? როცა შუა გზაში მშიერი მკელი მიგელის, შენ გინდა თვითონ პირ-და-პირ შეესხნო.

ძლი-თაშა. მე მიგვირს, რომ ეგრე წინ-დაუსედავად ლაპარაკობს. მაგას რომ ჭკრთხო, სტამბოლამდის გზა-გახსნილია, როცა ამისთანა თბილ ოთახში მშვიდობიანადა ჭზინხარ ჭ ჩიბუხს ეწევი, ძალიან ადვილია ჩხეკა—წავიდეთ და ამოვუღიტოთ რაიებიო. ამოვუღიტოთ? ასე ჭგონია ადვილა საქმე იყოს. რჯია განა კისეტის მოგიშვერს, აჭა, მომკალიო. თვითონ ისინი გვიპირობენ დანოცვასა. ჩვენ იმათ ერთ ლუგმადაც არ ეუფოთით, ისინი ერთი-სამად ჩვენზედ ბეგრნი არიან. და ესლა, როცა თვითონ კეზირს შეუგუღიანებია და როცა კეზირს შეუძლიან, თუ გაჭირდა, მთელი აღბანიის ხალხიც მიასველოს, რაია დიდს საქმეებს ჩაიდებს. იქნება გგონიათ, რომ ამდენს სხვადა-სხვა ტომის ხალხს ერთად მოკუერით დავსა და ჯარად გამოვიუგნითქო თქვენც იცით, რომ ბოსნიას სულ მთლად მთებით არის სჯესუ და იო რამდენიმე ხანია, რაც ქრისტიანებდ კარგა ბლომად მთებში არიან გასულნი, იქ გაძარკებულან და კვწროები შეუგრაკოთ. რსმალეები კი უკვლავან თავის მოსისსლე მტრებთან ერთად ჭსცხროკე-

ბუნა ამ ყოფნაში ჩვენს საქმე. თვეს ჩემო მოსულხანთ და  
თავ-მარწონებით ღაზაჩაკობთ, ჩვენ არწიკები ვართ, ის  
ვი არ იცით, რომ გეზირმა დასათიანად მოგამწყვდიათ,  
როგორც თავგები საფანგში.

ფეიხ-ბეგნი იცის? მართლად ეტყეა, თუ არა?  
პლი-თაშა. თუ არ იცის, შინ ერთი წინადაც კაცი წაიყვანე და  
თუ შენ ან ნაბოყისს გაიკლი, ანუ ზვიზდას, ანუ დუ-  
ნობხინის, მე რა ქმის თუელს სწინამლეოს მოგცემ.

ფეიხ-ბეგნი თუ მართლად ეტყეა, ცუდად ყოფილა ჩვენი საქმე.  
დურათ. საქმე ცუდად არის, მაგრამ არც ისე. რომ სწორად  
გაგვექმდეს.

პლი-თაშა. ესეც არ დაივიწყოთ, რომ ნაზირმა მარტოში უმ-  
თავრესად ბეგნი მოკრიპის აღიღობინ.

რუსთან. ეგ საიდან იცის?  
პლი-თაშა. დამბეკრეთ შეთქი. ან წერხლებიც ჰქვაროგოვინი-  
დამ; არც მოსტარის ფაშას უნდა წინააღმდეგობა.

დურათ. (იქით) უჭ, ისეთს გულზედ მოკვდი, რომ ღამის აჭავ  
თავი მოვიკლას!

ასან. ასეა რა ვუსწინათ საქმეს?

პლი-თაშა. თუ რომელიმე მარტა ადვან, ჩვენ დავამშვიდოთ.  
ქრისტინებს კარგად მოკვებურათ, და გეზირს კაცი გა-  
კუგზავნათ და შეკუთვალათ, რომ ჩვენ სულთნის ფირ-  
მისს კემოჩინალებით. მერე შეიძლება კეცადნეთ, რომ  
ფირმისა უკეთესად შეგვიცვალან. მარტო ამითნ ავი-  
ცილებთ თავიდან უბედურებას.

ფეიხ-ბეგნი. ვთქვანთ ესეა მაგარად დავდგეთ, მაგრამ მერე გეზირ-  
მა რომ მანც-და-მანც რაინა მოგვასწავოს, მაშინ რაღა  
ქმნათ?

ალო-ფაშა. თუ სტამბოლში განუზრახავთ, რომ ბოსნიის ბე-  
გები მინც-და-მინც დასახრცნი არიანო, მაშინ მე პირ-  
ველი ვიშიშვლებ ხმაფსა და წაგიყვანთ, რომ ან დაგრ-  
ჩეთ და ან დავიხრცნეთ. მაგრამ ჯერ არა მგონია, ეგრე  
იყოს და ამიტომაც ჯერ-ჯერობით ხელმწიფის ერთგუ-  
ლი ვარ.

ღურათ. (წამოდგება ფეხზე) რაიებს და ვეზინს რეგორც  
გინდათ ისე ფეხ-ქვეშ გაქმალენით, მე თქვენის გულ-  
სათვის სახელს არ შევირცხვენ. უწინ ჩემს კოშკში ჩა-  
ვიკეტამ თავს და იქ დავიცემ დამბახასა, ვიდრე წავალ და  
ჩემდა სამარცხვინოდ იმათ წინ მუხლს მოვიდრეკ

რუსთან. (ადგება) მეც აგრე ვიზამ, მეც, ღურათ-ბეგ, მოკვებდე-  
ბი და თავს კი არ შევირცხვენ.

ალო-ფაშა. ეხლა თქვენ იცით. რაც გინდათ ისა ჰქენით. ეს  
კი იცოდეთ: ვინც ქრისტიანებს თავს დაეცემა, ან ჯარს  
შეჭკრებს, მე თვითონ ზედ მივესევი და სახლს-კარს ზედ  
თავზედ დავაქცევა.

ღურათ. ფთხილად, ფაშავ, ფთხილად! ძალიანაც ნუ განიზვი-  
დებ თავსა. ეგ შენი მუქარა შენთანვე დარჩეს. არ ვიცი,  
ვის უფრო შეჭფერის ამ უამად მუქარა, შენა, თუ ჩვე-  
ნა? რასაც შენ გვემუქრები, ფაშავ, ჩვენ დიდი ხანია შეგ-  
ვეძლო შენთვისვე აგვეხდინა. (ღურათი გადის, მას შემდეგ  
რუსთანი, ფეიზი და სხვანი).

ჩამიღო. სიტყვით კი მამარცნი არიან, მაგრამ გულში კი ში-  
შობენ.

ალო-ფაშა. ცოტა მოვიცადეთ და მერე კი ვეზინს ელჩი გა-  
გუგზავნათ. შენ კი, ჩამიღო-ბეგ, მანამდის რამდენიმე კა-  
ცი ოსმალელების სოფლებში დაატარე და შეუთვალე

რომ მშვიდობიანად იუკნენ და წაიას კარგად მოეპყრან. და თუ ჩემის ვისოკოს ციხიდან წაწაზნის სმა გაიგონონ, მაშინათვე შეიარაღებულნი ჩემთან მოგროვდენ. (გადიან).

#### 4-სე სანახაპი.

(ლიუბიცას სანლის-წინ ქორწილია. რამდენიმე მაყრები ერთმან-ერთს ელაპარაკებიან.)

პირველი მაყარი. მაყრებიც და სტუმრებიც ძაღიან მხიარუ-  
ლად არიან, მაგრამ პატარძალი, როგორღაც შწუხარკა.  
იანკო, შეამჩნიე?

მეორე მაყარი. ვინა, მე? სადა მტალოდა მაგისათვის? მე სულ  
ღვინოს შევცქეროდი და ლამაზ ქალებსა, რომ იმათი  
სადღეგრძელო დამეღია და იმათთან თერსული დამება.

პირველი მაყარი. შენ შენი ძველებური ეშმაგობა არ დაგვიწ-  
ყებია.

მეორე მაყარი. ჭოდა რა არის მერე? ნუ თუ პირ-ღია აქედ-  
იჩით უნდა მეტქირნა, აცა შევიტყო ვინ რა გუნებაზედ  
არის მეთქი.

პირველი მაყარი. არა, მკვდარიც კი შეაჩნევდა, რომ მეივე  
მეტად არეულია დღესა, და პატარძალსაც კი სანდისხან  
თვალში ცრემლი მოსდიოდა.

მეორე მაყარი. ეჭ, შენც ერთი. შენ ძალე ამასაც იტყვი,  
ყველანი სტირინონ, მე კი, ღმერთმანი ამისთანა მხიარუ-  
ლი ქორწილი ვერ არ მინახავს.

პირველი მაყარი. მე ქორწილზედ აწას გამბობ. მაგრამ, ჩვენს მეფე და დედოფალს რომ ვუყურებ, ასე მგონია სამაჩხ-ზედ მოსულან და აწა საქორწილად მეთქი.

მეორე მაყარი. შენ რა მერე?

პირველი მაყარი. მე? აწაფერი! მაშ თვალები რილასთვის მინდა თუ არ დაკინახამ, ან ჭკუა რად მინდა, თუ არ იმისთვის, რომ მიხვდეს რასმეს? მე, ჩემო ძმაო, მხრებზედ გოგრას კი არ მახია, თავი მახია, თავი!

მეორე მაყარი. კარგია, რომ მითხარი, თორემ სწორედ რომ ვერ გაკარგვდი, მართლა თავი გახია, თუ გოგრას. ეჭვ, შენ აქ სინჯვასში იყავ და მე კი წავალ და ფერხულს დაგაბეგინებ.

პირველი მაყარი. უჭ, რა გესლიანი ენა აქვს! (ორივე გავლენ.)

### 5-თე სანახაში.

(მეფე-დედოფლის საწოლი ოთახი.)

მეირიმა. (ქრისტიანი დედა-კაცის კაბა აცვია, უცებ შემოვა და კარებს ჩაკეცავს) ძლივს არ შემოვედი! ვიღაცამ თვალი მომკრა; მაგრამ ამ ტანისამოსით შინაური ვეგონე. ჯერ კარგად არის ჩემი საქმე! ხალში დავიძალე და ფანჯრიდამ დაკინახე, რომ ქვეშსაგები მოამზადეს და მერე გავიდნენ გარედ. რა, წმინდაო მანძალო, თუ მიშეედი, ესლამი შეედი! ან ესლა, ან თავის დღეში აღარა! მალლა ქეიფობენ: საკრავის ხმა ისმის, თამაშობენ და მთელი სახლი ირუეკა კაცის ფეხისაგან. დეე, იმისარე-

ღონ: ღხინს ჭირი მოჭყეება. იქ ძაღუ ღხინის. მაგიერ  
 გოდება შეუდგებათ. ოჭ! გოდების ხმა ჩემს გუელს გა-  
 ხარებს და ეს მხიარულების ხმა კი— აწუხებს. საწოლი  
 ვარდებით მარათულია! ბედნიერს ცოლ-ქმარს მოელის  
 ეს საწოლი!... ლიუბიცა, შენ იმედი გქონდა, რომ ნე-  
 ტარებით დაიბინებდი ამაღამ, განა?... არა... არა... ოჭ!  
 შენ იმის გვერდით უნდა გვიდინო და მე, მე კი იმა-  
 გე დროს უნდა საშინლად ვიტანჯებოდე, ჯავრით  
 ცხვირ-პირს ვიკაწრიდე, მარტოკა ჩემს ოთახში გაგიყე-  
 ბულივით კედელს ვანარცხებოდე თავსა? არა, დამაცა, ეს  
 ესე არ იქნება! დიას, შენ დაიბინებ, მაგრამ სხვა ძილით,  
 იმ ძილით, რომელსაც არ მოელოდდი, იმ ძილით, რომ-  
 ლის შემდეგაც არავის არ გაუღვიძნია... ხელიდამ რომ  
 რომორმე გაძისხლტეს ამ ყამად? მერე რა ვუყოთ? წა-  
 ვალ და სტუმრებსა და მაწრებს შორის მოკვლავ, მოკ-  
 ვლავ მამას-წინ, ყვიანის წინ. სწორედ ამ განზრახვით  
 მოკვდი აქა!... ფერხული დადგა. პატარძლის სადღეგრძე-  
 ლოსა ჭსმენ. დალიეთ, დალიეთ სადღეგრძელო; მაგ  
 სადღეგრძელოს შემდეგ თქვენი ღვინო შავ საწამლავად  
 გარდიჭევს. აი, ძირს ჩამოჭყავთ პატარძალი, ქალები  
 თან მოჭსდევენ... ამ ფარდას იქით მე ვერ დამინახვენ.  
 ოჭ, გულო ჩემო, აგრე რად დამიწყე ცემს? აი, მოვიდა  
 შენი დრო. (ფარდას იქით დაიძალევა, რომელიც იატაკამდე  
 ჩამოშვებულია და რომელიც ლიუბიცას ჩამოკიდებულ კაბებსა  
 ჭყარავს.)

6-სე სანახაში

ლიუბიცა; (თან მოჰყვება ოთხიოდე ქალი. მეირიმა დამალულია).

ლიუბიცა. (ქალებს) კარგი, მადლობელი ვარ, წადით ახლა; ტანთ მე თვითონ გავიხდი.

ქალები. დამე მშვიდობისა გქონდეს და დილა მხიარული.

ლიუბიცა. მადლობელი ვარ! (ქალები გაუღუნ და ვარებს დაჰკეცენ. ლიუბიცა საწოლთან მივა და ზედ დაწევა) ოჳ, ძლივს მარტო არ დავრჩი! იმოდენა ხალხში ძლივსღა ვალეხდი ყოფნასა. გული რად მიქადის რაღაც უბედურებას? ის ოსმალის ქალი სულ თვალ-წინ მიდგა. რაღაც თავზნარი დამცა. ღმერთმა დამითაროს, რომ სულმორედ აღარ ვნახო. გული კი მეუხნება, კიდევ ნახამო. (მეირიმა წინ დაუდგება.)

მეირიმა. გული არ გატყუებს, აი აქვ ვარ!

ლიუბიცა. (შეშინებული წამოხტება) ღმერთო ჩემო! რაგორ განხდი?... საიღამ შემოხვედი?..

მეირიმა. ასე ძალე ხომ არ მომელოდდი, განა? შენ ესლა მიწაში ყოფნას იჩქევდი, რაღონდ კი მე არ გეხსებ? განა? შენ ესლა გაქცევა გსურს, ყვირილი, შველა? არა?... თუ ერთი განძრეულხარ, თუ ერთი ხმა ამოგიღია, (ამოიღებს დანას) იტოდე, აი ეს გულს გაგაზობს!

ლიუბიცა. ოჳ, ღვთის-მშობელი, დამიხსენ შენ ამ დედა-გაიცისაგან!

მეირიმა. ვერაგინ დაგისხნის შენა, კერც ღვთის-მშობელი და კერც თვითონ ღმერთი! შენ... ჩემ ხელში ხარ! მე შე-

მიძღვან კხლას დაგკლას, დაგახწო... ყველაფერი ჩემ ხელთ არის. ამ კარებს რას მოსხერებინხარ, ვითომც შეკლას მოკელი იქიდან? იცოდე, თუ ვინმე რაიმე შემთხვევით გამოჩნდა მაგ კარებში, შენ იმ წამსვე მკვლარი იქნები.

ლიუბილა. ხომ კვრც შენ გადაჩხები.

მეირიმა. შენა გგონია, რომ მე ჩემი სიცოცხლე რადმე მიღივდეს? შენ არ იცი, რომ მე უფრო მეტის სიამოვნებით ჩავწვებოდი კუბოში, ვიდრე შენ ამ რბილს ქვეშაგებში ამადამ. რა გი აქ მე იმ განზრახვით მოკედი, რომ შენ მოგკლას, ნუ თუ გგონია, რომ ჩემს თავზედ ხელს არ ავიღებდი?

ლიუბილა. ჩემი მოგკლას გინდა?! ოჰ, გვედრები... გვედრები, ნუ მომკლამ, ნუ... სიკვდილი!.. და მეც კხლას?!... ოჰ, ღმერთო ჩემო! სიკვდილი თავის დღეში იფიქრდაც არ მომსვლია... არა, შენ მაგას არა იქ, არა! შენ გგანზრახავა არ გექნება. შენ არ იკადრებ, ასე ღამე, ქურდულად თავს დაეტე საწყაღს ქაღს, მარტოკას თავის ოთახში და უმიზეზოდ, შეუბრალებლად, ყელი გამოსჭრა. შენც ხომ ქალი ხარ, შენც უნდა კეთილი გული გქონდეს... რაც გინდა მიუაგი, ოღონდ... ოღონდ სიცოცხლეს ნუ წამართმევ... ო... ო... ო... უფრი მიგდე!... აი, მუხლ-მოდრეკილი გესვეწები, გვედრები, სიცოცხლეს ნუ წამართმევ! (მუხლეს მოუდრეკს).

მეირიმა. აჰა! გნახე თუ არა, ჩემს ფეხთა-წინაშე! მე გგრძნობ კხლას შურის-გების დასაწყისს. არა, მე შეუბრალება არ ვიცი. გული ჩემი რომ საქაჯავში გამოწეროს ვინმე, ერთს ცვარს სისხლსაც კვრა ნახავდა, მარტო ზაფრას და



ნაღველს გამოვიდოდა. ჯერ აჩვენე არ მძულებია ისე, როგორც შენა! მძულებსამ გარემოცვა ჩემი გული... დამიბნია... ველს გამომითქვამს... გათავდა!... უნდა მოგვედე, უნდა!

ლიუბიკა. მე უნდა მოგვედე! აჰ!... განს მიწყენების რაძე? მითხარი, მითხარი, დედა-კაცო, რა დამიშავებია შენთვის? ახა მითხარ, დღევანდლამდე მინასვენარ როდისმე?

მეირიმა. რა დამიშავე? მაშ არ იცი? ძალიან გულ-მაგიწი ყოფილხარ? კარგი, მე მოგაგონებ. დიას მე მოკვდი ეხლა იმისთვის, რომ დილაზე დაწყობილი ღაზარაკი ეხლა დაკაბულაყო. მე ავი გითხარი, რომ ყივანს სხვა უყვარს მეთქი, და ის სხვა—იცი ვინ არის? იცი თუ არა?

ლიუბიკა. უიმე! ვიცი! ეგ შენი საშინელი მრისხანება ამჟღავნებს.

მეირიმა. დიად! .. მე ვარ, მე, ალი-ფაშას ქალი!

ლიუბიკა. ალი-ფაშას ქალი ხარ, ალი-ფაშასი? მაშ ხსენა ალი-რა მაქვს, ყველაფერი შენ ხელთ ყოფილა, შენ ყველაფერი შეგიძლიან, აჩვენე დაგვიჩვენე, აჩვენე ხმას არ გაგცემს.

მეირიმა. მართო მე, გესმის თუ არა, მართო მე ვუყვარვარ, შენ კი იმისთვის სათამაშო ხარ და როგორც ბავშვი თამაშება თავის ტიკინს, და როცა მოსწყინდება, გასტეხს და გადაადგებს, შენც ასე ხარ იმისთვის. გესმის თუ არა?... ნუ კი გგონია, რომ მე ვსტყუოდე, ანუ მუროთ ვამბობდე ამას; არა... შენი რა უნდა შევიშრო? შენ ჩემთან მატლი ხარ, მატლივით უფრო ნაკლები, ჭინჭკვალავდ უფრო უმცირესი. ერთის სიტყვით, შენ ჩემ წინ არაფერი არა ხარ-რა! და მართლაც, შენ უნდა უფ-

რომ მეზინებოდე, ვიდრე მძულდე. მე მოვსულვარ, რომ შენს კადნიერებას, შენს ჯიუტობას, შენს უღმბელობას სასჯელი დაუდო და გადავანდევინო. ნუ თუ გეგონა, რომ ოსმალოს ქალს საყვარელს წაართმევდი და ცოცხალიც დაჩხობდი?

ლიუბიკა. დიერთა ჩემო! მე ის არ წამიჩთმევია. მძმა-ჩემმა მისცა ჩემი თავი. აბა რა უნდა შექნას!?

მეირიმა. მძმა-შენმა მიგცა? მას დილაზედ რას გეუბნებოდი? განა დილითვე ვერ გაიგე, რომ დიდი ხანია სხვა ქალი უყვარს მეთქი? დილითვე არ გითხარნი, რომ შენის ჯვარის-წყრით იმ ქალს მოჭკვამ მეთქი?... განა არ გიჩხედი, თავი დანებე მეთქი? და განა მიქარაც არ გითხარ, თუ რომ ჩიქვას არ გამიგონებდი? მას, რისთვის იწერდი ჯვარსა? მითხარნი, რაღად წამართვი მე ის კაცი? რად დამიკარგე სამუდამოდ ყოველივე სინარული, ყოველივე ბედნიერება! ჭა? (ლიუბიკა საშინლად შეშინებული კარებისაკენ მირბის; მეირიმა მიეწევა და დანას დაქსცემს) გაჩერდი, შე წყეულო! (კიდევ დაქსცემს დანას; ლიუბიკა დაუცემა).

ლიუბიკა. ვაიჭ, შიგ გულში მომხვდა! გვედები! რა, მამაკ, მამაკ!...

მეირიმა. ალარ ზღვება ცოცხალი. ეხლა კი წავიდე ჩქვად... (მირბის და დანას ხელიდამ გააგდებს).

## 7-დე სანახაპი.

ლიუბიცა და შივან, შემდეგ მაყრები და ჩოჯო.

შივან. (შემოდის და ლიუბიცას დასცქერის) ეს რა ჯიბაა? (სანთელს აიღებს) რა? სისხლი!... მოკლეა! (სანთელს სცოლზე დასდგამს და მივა ლიუბიცასთან) დმერთსა ვოიცი, მოკლეა! (ლიუბიცა ხელებს გამოუშვებს. უივანი მოეხვევა) რა, ლიუბიცა, ლიუბიცა, ვინ დაგჭრა აგრე?

ლიუბიცა. რა... უივან... შენი... ბრალა... რა დამემართა... მე... მი... შა... ტი... კებია! (კედება).

შივან. შენი ბრალაა! მოკვდა!... (ძირს დაუშვებს) დმერთს, ეს რა მოხდა! (დანას ფეხს დაადგამს, რომელიც მეორიმა გდაავდო). რაღაცა დანა! (აიღებს დანას) სისხლში გასკვია... ამ დანით არის მოკლედი! მაგრამ ვისის ხელით?... თვითონ თავის ხელით, თუ სხვა ვინმე იყო?... ის ქაჯი ხომ არ იყო? რაღა ვქნა ესლა?... დავუძახებ ვისმე. (კარებს გააღებს) მაგრამ როგორ დავუძახებ? ვის დავუძახებ? რა ვუთხრა?

მართი მაყარი (ეზოდან) აბა, კარები რისთვის გააღე?

მეორე მაყარი. ვერა ხედავ! სისხლიანი დანა უჭერია ხელში.

მესამე. (შემოდის კარებში, უივანი შეშინებული მოშორდება) აქ უუუ-რეთ, შატრძალიც სულ მთლად სისხლში წსტუტავს.

მეოთხე. (შემოდის) დმერთსა ვოიცი, მკვდარია!

მეხუთხე, (სიჩქარით შემოდის) მკვდარია!... საშინელება, საშინელება!

პირველი. (ყვირის, რომ გარედ დანარჩენებმა გაიგონ) ვაი, მაყრე

ბო, ვერაფერი ქოჩწილია ჩვენი ქოჩწილი! მეფემ მოჭკლას დედოფალი!

შივან. (ამ სიტყვებზედ გაოცდება) რასა ჭყვირის? მე მოკვებადი? მოჭ, შე წყუელო ცილის-მწამებელა! (ყველა მაყრები შემოდინან. ნოვკო სიჩქარით ხალხ-შუა წინ გამოდის).

ნოვკო. მოჭკლას, მოჭკლას! რას ამბობთ! გამიშვით მე, გამიშვით!

მეორე მაყარი. აი, ბატონო!

ნოვკო. დიას! მკვდარია! (ყივანს) შენ მოგიკლავს შენი საკუთარი ცოლი?! (მაყრებს) რაღ გინდათ ის უყავით ამასა, ეს ჩემი შვილი აღარ არის!

მესამე მაყარი. ხელ-ფეხი შეკრუვით და სამარტალში მივსტეთ.

შივან. მე, შემეკრათ?! ვინ უნდა შემეკრას, ვინ?.. იქით! იქით! ვინც ასლელ მოვა, მე ხმის ამოდებსაც არ დავაცლი. მამაკ, ყური დამიგდე. რაღა აქ შემოვკედი, მე ჩემი ცოლი ამ ყოფითა ვნახე, ძლივსლა ჭფეთქამდა. ვერ მითხრა, თვითონ მოიკლას თავი, თუ სხვამ ვინმემ მოჭკლას. რასაც გეუბნები, ჭეშმარიტია; გეფიცები, მამაკ, გეფიცები ყველა წმინდის სახელს

პირველი მაყარი. სტუუი, სტუუი! განა აქ დანით ხელში არ დამიხვდი?.. აი, განა ესლაც არ გიჭირავს ხელში ეგ დანა? განა შენ მთლად სისხლში არა ხარ გასვრილი? თქმა არ უნდა, მკვლელი შენა ხარ.

შველანი. ეგ არის მკვლელი, ეგა!

შივან. (სასოწარკვეთილებით) რა კი ყველას აგრე გინდათ, მე ვარ!.. მე! და მე საკუთარის ჩემის თავით ვზღამ მაგის თავსა. ამასეღ უკეთესი მიზეზი აღარ უნდა, რომ ყველაფერს ბოლო მოეღოს. მე თვითონ წავალ და სამარ-

თაღში მივცემ ჩემს თავსა. მხოლოდ აჩაგინ არ გამო-  
უკეთ, აჩაგინ არ მომეკაროთ. (დანას მოუღერებს) ჩამოდე-  
ქით! გზა, გზა მომეტით! (მიდის სიჩქარით, ყველანი გზას  
აძლევენ.)

ერთი მაყართავანი. გაიქცევა!

ნოკო. (უვილს წინ დაუდგება) ვერ გაბედავს, მამას გაეჭვს.  
საზურობილეში წავიუვან და ხვალ სასამართლოს წინ ვი-  
თხოვ, ამის სიკვდილით დასჯას.

შივან. (ამ სიტყვებს რომ გაიგონებს, გაჩერდება ზარ-დაცემულსაგით)  
შენ ითხოვ, შენ, მამა-ჩემო! რა, ნეტავი ამაღამვე სული  
დაძელია, და ეგ არ გამეკონა, რომ ხვალ დედამიწა  
არ შეწყეულიყო.

## მეოთხე მოქმედება.

### 1-ლი სანახაპი.

ოთახი. ალი-ფაშა და მსმან.

მსმან. როცა ჩემის მხურებით ტრაგნიკზე გამოვიარე, გეზირს მე თვითონ ვიანელი და მთელის ჩვენის მარჩისაგან პატივის-ცემა მოვასხსენე ნიშნად ხელაწიფის ერთგულებისა. დიდის სიხარულით მიმილო და კარგადაც დამსახრეჭა. მოსტარის ელჩებიც იქ დამხვდნენ. ყველაფერთა სჩანს, რომ არც ოსმალების აჯანყებიდამ გამოვა რამე და არც ქრისტიანების აშლილობიდამ. ყველაფერი მშვიდობიანად ჩაივლის, თანახმად შენის სურვილისა, ფაშავ!

ალი-ფაშა. ძალიან გამახარე მაგ ამბით. შენი მოსულა ხომ კარგია, მაგრამ ამბავი უკეთესია. მადლობა ღმერთსა, რომ ყველაფერი ისე მომიხერხდა, როგორც მინდოდა. ესლა შიში აღარაფრისაა. უბედურება თავიდამ ავატილე ჩვენებს. ესლა გულ-დასმით შეგვიძლიან ქოჩილის ღსინი გადავიხადოთ. (გადიან).

### 2-რე სანახაპი.

მეირიმა. (მარჯო) იმისაგან თავის დღეში ამას არ მოკულოდი. საკვირველია! ხომ იცის, რომ მე მოკვალი — აბა

ამაზუდ ეჭვი რად ექნებოდა — და მაინც ჩემს სახელს არ უმუცლავებს სამართალსა. ჩემს დანაშაულს თვითონ იბრალებს, თუმცა კაცად იცის, რომ ამისათვის საკვდილით დასჯიან!... თავს იღუპავს მარტო ამისათვის, რომ მე არ გამამხილოს. ჭრი უივან, შენ მაგით მასწავლი, აი სიყვარული და თავის გაწირვა როგორი უნდაო, (უთოს გააღებს და ამოიღებს პატარა ჭიქას) მეც ამ ჯამით დაკლევ მაყრების სადღეგრძელებს. მე შემიტყუოს, რომ დედა-ჩემმაც ამავე ჯამით დაღია და ამ საწამლავით მოიკლა თავიო. მადლობელი ვარ, დედა-ჩემო, რომ საწამლავი შენს შვილსაც საკმაოდ დაუტოვებ ჩვენ ერთ-ნაირის სიკვდილით მოკვდებით. ჯერ კი ის უნდა ადვანსულო, რაც მომიფიქრებია. მზე ჩადის. დროა, შეკუდგე ჩემს საქმეს.

### 3-ვე სანახაპი.

(საპრობილე. ერთ მხარეს კარები, მეორე მხარეს ფანდარა რკინის სერსეროთი. სერსეროთის იქით უივანი ზის და ცას შეკუერებს.)

შივან. აი, მზეც ჩავიდა!.. მთიდან მწუსარედ გადმოხვდა თავის უკანასკნელის სხივითა, თითქო ჭკრძნობს, რომ საუკუნოდ ვშორდებით ერთმანერთს. დიას, ხვალ შენ მე კელარა მნახავ! შენ მხოლოდ ჩემს საფლავს გაანათებ, შენ, ჭრი ნათელი ბრწყინვალეა, რომლის გამოსაღმებაც საწუალს კაცს ასე საშინლად ემძიმება. მხოლოდ ამ ბრწყინვალე შუქს ვენახები მე (სცენაზედ უნდა სჩანდეს მზის

შექი, რომელიც თან-დ-თან უნდა ბნელდებოდეს) ადამიანის გუ-  
 ლი ვა ჩემთვის გაქვავდა. (ფანჯრიდან ჩამოვა და დაღის)  
 ყოველი უბედურება თავს გადაძნდა! ისიც ვნახე, რომ ქა-  
 ლი, რომელიც მიყვარდა, იდუმალად სამარქს მითხრი-  
 და... ვნახე ცოლი რაღაც იდუმალის ხელით მოკლუ-  
 ლი; გავიგონე, როგორც მახრადებდა მე თავის სიკვ-  
 დილს... საწყალი მომაკვდავი; გავიგონე, როგორც მამა-  
 ჩემი სსსამარტლში ჩემს სიკვდილსა თხროულობდა!.. რას  
 შემარტლება ბედი? განა მე ყოველ ამის ღირსი ვარ!  
 ყველამ თავი დამანება, მიმატოვა. ერთი აღწავინა მყავს  
 ჩემის გვარეულობისა, რომ ნუგეში მტევს, გული დამიტ-  
 კბოს ერთის ტკბილის სიტყვით მაინც. ყველამ ზურგი  
 შემომატყია, პირი მომარდა და აჭა მე კვადები, როგორც  
 ძალი უზატრონოდ, ყველასაგან თავ-მინებებულა. მე არა  
 დამიშავებია-რა, ღმერთო ხომ შენ იცი!.. დეე, ეგრე  
 იყოს!... აი მეც უარ - მიუვია ყველანი, ყველასა  
 ვწყევლი. ჭოი ბნელა ღამეე! ჩქარა გაიარე, ჩქარა, აგებ  
 ჩემის სიკვდილის წამი მალე მოვიდეს. (შეჩერდება, უურს  
 უგდებს; ამ დროს მოლა აქშამალაიანს იახის მინარეთზედ) ვი-  
 ნა ყვირის ასე... აჭ... ეს ღერვიშია, მინარეთიღამ იძა-  
 ხის, ოსმალეებს ატყობინებს ღოცვის დროაო. რხ!  
 სხვანი ღმერთს ეკედრებიან, და მე ვი, რომელიც მალე  
 ღვთის წინაშე უნდა წარგდგე, სიძულდილსა და წყევლას  
 ვდაღადებ აქა!... შემინდე, ღმერთო ძლიერო, ნუ ისმენ  
 ჩემს სიტყვასა, მე ღამის ჭკუიღამ შევიძალა... ტვინი  
 თითქოს მიდუღოს... მე თვითონაც აღარ ვიცი, რასა  
 ვფიქრობ, რასა გვრძნობ, რასა ვლაზარავობ... შემინდე  
 და მომიტყევე! (უურს უგდებს) რჭ, ამ სიჩუმეში რა მწუ-



ხარკედ მოისმის ძახილი მოლისა... ამ ხმას ჩემიანები სვალაჯ გაიგონებენ, ზეგაც, მასეგაც, მრავალ დღეს და წელიწადს, და ვაი რომ ჩემთვის უკანასკნელია!.. მე კიდევ დიდ ხანს შექმდლა ცხოვრება! მეც ხომ შექმდლა სიმდიდრესა და ბედნიერებაში გამეტარებინა ჩემი დღენი... ესლა უოკელივე გამიუქმდა, დამენთქა... არა, — არა, არა ვნანობ... ეს ყველაფერი რჯულის გულისათვის ჩაუვიდინე... როგორ გავბედავ ამისათვის სინანულში შევიდე. როცა კაცი საზურობილეთა დამწუვდელი და შიშის შარბთ სიკვდილს მოეღის, მაშინ ათასნაირი თქმები მოსდის, საშინელი განსაცდელი აწვალებს და თუნდაც სინჯობლე მოწეენილიც ქტონდეს, მაინც უძძიმს სიკვდილი, მაინც იბრძვის. ოჰ, ეს საშინელება! მაგ საშინელებასა ქტომნობს მარტო სასიკვდილოდ დანიშნული ტუესალი, რომელიც შარ-დაცემითა ქსთვლის მიძავალს საათებს, თითქო უოკელი წარმავალი საათი გუდიდამ ხორცსა ქტლეჯდეს და თან მიქტონდეს. და როცა წინა აქვს მარტო რამოდენიმე წუთი, როცა ქტომნობს, რომ გულში მოსასუნთქელი ქტერი აღარა აქვს, როცა თვალ-წინ ქტედავს სიკვდილსა, რომელსაც სამავლად დაუღრენია კბილები, ოჰ, მაშინ კი ქტუა ეკარგება, ქტუიდამ იშლება, მაშინ მზად არის ზედ აკვიდოს თვით დაუძინებელ მტერსაც, ოღონდ კი მან გადაარჩინოს და პირ-ღია სათვლავის ზემოდ გადაატაროს. ნუ თუ მართლა უნდა მოკვდე? ნეტა, რას ვამბობ? განა ამში ექვია რამე? უადსა კქსთსოვო რომ რიყრყუხე მომაკვდინონ... დიას, რიყრყუხედ... მე მაშინ წამიყვანენ... ხელებს შემბკვრენ... მოუდანზე გამიყვანენ... დამხროქებენ... მექმე ხმალიც გა-

იელვებს და თავს გამაგდებინებენ. ეს რომ მაგონდება, თბილისს ამოდის. ახ, ნეტავი ერთი ცხენი მოეტათ ჩემთვის და ერთი ხმალი, მერე თუნდა ასი ოსმალო მოესიათ, დეე ომში ლუკმა-ლუკმად ავეკუწნეთ, — მე ამისი არ შექმნინდებოდა: ომში მანც მოვეკვდებოდი, როგორც ვაჟკაცი. ასეთი სიკვდილი კი! (თვალეზედ ხელებს იფარებს) სამარცხვინოა, სამარცხვინო. ოჰ, აჰ სული მესუთება. რა გქნა? როგორ დავიხსნა თავი? გავიქცე? ამ ფანჯარიდან გადავხტე! (მივარდება ფანჯარას და რა ხედავს რომ ფანჯარას ვერ გასტენს, კარებს ეცემა) ეს კარი გამომავტერიო? (ებრძვის კარს და რომ ვერასა ხდება შუა სცენაზედ გამოდის იმედ გადაწყვეტილი) სულ ამაოა. უნდა მოვეკვდე. (დაჩოქებს) დამისხენი მე, უფალო, შეიბრალე ჩემი ცოდვილი სული (წამოდგება) ვიღაც მოდის; დადგა... გასაღები გაუკეთა კლიტეს... ყრუოლა მივლის მთელს ტანში. წყეული ჯალათი მოდის ჩემ მოსაკვდინებლად....

#### 4. ხე სანახაში.

ნოკო, შივან და ბოლოს საპრობილის მცველი.

შივან. (მივებება) შენა ხარ, შენ, მამა-ჩემო?

ნოკო. (გაჩერებს) გაჩერდი!

შივან. დედა? ძმები? სადღა არიან?... მშობლიურმა სიუკარულმა მარტო შენ მოგიყვანა აქა?

ნოკო. მშობლიურმა სიუკარულმა?... ნუ მომეკარები... ხელითაც არ შექმხნა!... შენი ხელი და სატანჯს ხელი ორიგ

კრთის ჩემთვის, იმიტომ რომ ეშმაკეული საქმე ჩავიდუ-  
ნის შენ. როგორღა ჭბუდამ, რომ მე კიდევ მამობით  
მასხუნებ? როგორღა ჭბუდამ, რომ დედას, ძმებს იხსენიებ?  
შენ აღარც მამა გყავს, აღარც ძმები, აღარც ნათესავობა  
და არცარავინ სსვს... დედა-შენი... (ტირის) წუეულო...  
შეიტყუა თუ არა, რომ სასიკვდილოდ დაუსჯიხან...  
მწუხარებით გადაიტყვალა.

შივან. დედა? დედა-ჩემი? მანათლს ამბობ, თუ მხროლოდ მტან-  
ჯამ მე?... დედა-ჩემი?... მოკვდა?... ნუ თუ შესაძლებე-  
ლია?...

ნოეკო. (ხამუშ-ხამუშად ამბობს ყოველს სიტყვას) დედა-შენი, გე-  
უბნები, აა ეხლა ხან მოკვდა... გული გაუსკდა მწუხარე-  
ბისაგან... გუეურობა, თუ არა?... მწუხარებისაგან გაუსკდა  
გული მეთქი... და ეხლა ღვთისა წინაშე დგას და ს-  
შინელს სასჯელს ითხოვს შენთვის. ოჰ, თრთოდე! ჯერ  
მინამ უფლის ჩვენის სილვა გელიჩსება, შენს მკვდარს  
დედას გვერდთ უნდა გაუარო.

შივან. (პირის-სახესხედლებით დაიფარავს) დედა-ჩემი! ჩემის მიზე-  
ზით მოკვდა!... კამე; კამე! დედის მკვლელიც შევი-  
ქენ! ქვეყნისაგან ჩასაქოლავი შევიქენ მე უბედური!..

ნოეკო. ჩასაქოლავიო! ათასჯერ მაგახედ უარესი ხარ!.. სიტ-  
ყვაც არ არის, რომ გამოვსთქვა რა ხარ შენ! ახა ერთი  
დაბუიქრდი მაჩუდ, რაც მალე უნდა მოხდეს და თუ შე-  
გიძლიან, ჯოჯოკეთს ნუ შეუშინდება. უგელაჩუდ უწი-  
ნარეს, ჯერ ეს წარმოიდგინე, რომ შენ, წმინდა ჯვარ-  
ის მემობელო, გული მიგიყიდნის ურჯულო ქალისა-  
თვის. მე რომ არ დამეშალა, შენ მოიტაცებდი იმ შე-  
ჩვენებულს და გაქტეოდი. ის კი აღარ მოგდიოდა ფიქ-

წად, რომ შენს თავისიანებს უტოვებდი ოსმალებს, რომელნიც შენს ჯავრს ჩვენსედ ამოიყრიდენ—შენთვის, შე ავასაკო, არაფერი იყო შენის სიამოვნებისათვის გაგეწიდა შენი მოხუცი დედ-მამა.

შივან. ოჲ, ეგ ტყუილია, ტყუილი. მე ასჯერ შემეძლო ის მომეტაცნა, მაგრამ რა საჭირო იყო. უმისოდაც ჩემი იქნებოდა, თუ მდომებიყო. შენ არ იცი ჯერ მე რა განსაცდელი გამომატარეს; რით უნდოდათ, შევეცდინეთ. მე ეს ჯერ შენთვის არ მიაძინია

ნოვკო. სიტყვას ნუ მართმევ! უსივრცელი ტყუილებით ნუ მართლულობ თავსა. ჯერ მე მათქმევინე! რომ ყოველი განსაცდელი ამეცდილებინა ჩემთვისაც და შენთვისაც, მე შეგერთე შენ ისეთი ქალი, რომელსაც ვისოკში არაკინა ჭსჯობდა. ისეთი რამ იყო, რომ მხეცრიც კი შეიყვარებდა, მხეცრიც, და შენ კი რა საქმე დაჭმარეთ!... მითხარი, რა საქმე დაჭმარეთ?

შივან. ღვთის გულისათვის ყური დამიგდე, ერთი მეც მათქმევინე სიტყვა.

ნოვკო. გაჩუმიდი. შენა გგონია, რომ მარტო ის მოჭკალი? არა, აი დედა-შენიც შენგან არის მკვდარი. ოწი ზატიოსანი ოჯახი ერთმანერთთან დამეკობრებულდი, ერთმანერთს გადაგკვიდე ზ ჩვენ შორის სისხლი ჩამოაგდე. ესდა მეტი აღარა დაგერჩენია-რა, რომ ერთმანერთი ვხარცოთ, ერთმანერთი გავათახსიწოთ. იქნება, მარტო მეღა დავრჩე ცოცხალი, რომ მეღა დავიტირო ყველა ჩემიანი, შენის მიწეხით დახრცილი და მოკლული.

შივან. ოჲ, ღვთის გულისათვის, ნუღარ იტყვი! გამარა!

ნოვკო. გამარა! ჩუმიად მეთქი!! მე შენ გიბძანე. მათქმევინე,

რისთვისაც მოკსულვარ. აქ იმისთვის კი არ მოკვდი-  
 რამ შენთან ერთად ვიწუხო და ვიტრო და ან  
 გისაყვადურო. იმისთვის მოკვდი, რომ გადმოგცე შენ  
 წყევას და კრულვას, შენას ძმების, შენის ნათესაგებისა და  
 ზედ დავრთა საკუთარი ჩემი მამობრივი წყევლაცა  
 ხომ ასჯერ დამიწყველიხარ და ეხლაც კიდევ ხელახლადა  
 გწყველი, მკვდარსაც წყველას არ მოგაკლებ, მანამ პირში  
 სული მიდვას

შივან. (ხელებს მამას მიუშვერს, გულ-ხელ-დაიკრეფს, მუხლებზედ  
 დაეცემა და მიწამდის თავს ჩაჭლუნავს, ძლივს აშბობს) კაი, კაი,  
 ვაიმე!

ნოვკო. როგორც მომიფონე მე ამ სიბერეში, ისე მოგი-  
 ფონოს შენ ღმერთმა სათლავში საუკუნოდ!

შივან. დანა თუ გაქვს, აქვე დამკალი, დამკალ და ნულარას  
 იტყვი.

ნოვკო. აი, რისთვის მოკვდი მე აქა, და ეხლას უკანვე მივ-  
 დივარ. (ნოვკო კარებთან მიდის. ყივანი სიჩქარით ადგება,  
 კალთას დაუჭერს და გააჩერებს მამას).

შივან. ვერ წახვალ, ვერა. ჯერ უნდა გამიგონო მე, ჯერ ეკ-  
 ლაფერი უნდა შეიტყო.

ნოვკო. გამიშვი მეტქი.

შივან. რა, ვერა, ვერ გაგიშვებ... ყური დამიგდე, ყური!

ნოვკო. თავის დღეშიაც არა... მე შენ გეუბნები, მე შენ გი-  
 ბძანებ, გამიშვი მეტქი.

შივან. (აღშფოთებული და შეწუხებული კალთას გაუშვებს) მაშ, ნურც  
 შენ გაგიგონოს ღმერთმა, როცა სულს ახარებდე. (ნოვ-  
 კო გაჩერდება.)

ნოვკო. უბედურო! მაგასაც მიბედამ!..

შინან. ოჲ, მე რომ მაგდენი ცოდვა ჩამედინა, სასაც შენ ამბობ, თუნდ მაგასედ მეტიც, თვით მაღალი ღმერთიც კი გაიგონებდა ჩემს თხოვნას და შემიწყენარებდა. შენ იმაზე უფრო შეუწყენარებელი ხარ.

ნოეფო. აბა რა გინდა? სთქვი, მაგრამ ძალე და მოკლედ გი სთქვი, იმიტომ რომ დიდ ხანს ვერ დაგჩები აქა.

შინან. ნუ აჩქარდები... ნუ!... გვედრები... მეცა მაქვს ჭკუა, გონება, გულიც და ეს უკვლავური საშინლად ამიძოვოდ და ამერი. ნება მშობოქ, გონებს მოვიკრიფო, მაგრამ შენ არ დამიჯერებ... მე ვიცი... შენ არ დამიჯერებ.

ნოეფო. შენი სიტყუე დღესედ უფრო ცხადია, და გინდა, რომ დაგიჯერო? შენ ამბობ, რომ შენ არ მოგიკლავს? მშ გინ მოჭკლა, ვინა? ვინ: მოჭკლა ის წმინდა სული, რომელსაც უბრალო ჭინჭკელაც კი არ დაეძღურებოდა? შენ არ მოგიკლავს? მე შეუბნები მაგასა, მე? მე, რომელმაც ჩემის თვალთ ვნასე, რომ სელები, გულ-მკერდი, ტანისამოსი სულ სისხლში გქონდა მოსკრილი?

შინან. ვაიჭ, რომ იმისი სისხლი მეცხო, მკვლეელი კი მე არ ვარ.

ნოეფო. მამ ვინ არის, ვინ? რატომ არ დამტვიცი? რატომ თავი არ გაიმარტლე სასამართლოში? ჭსტუეი, მიჭჭარავ!

შინან. მამავ! ადამიანი. სიკვდილის წინ ვერ იტყუებს. მე საცაა უნდა წარგუდგე ღმერთს განსაკითხველად და გიფიცები უოვლად შემძლებელს ღმერთსა, რომ მე არა მაქვს დანაშაული ჩემის ცოდვის სიკვდილში, ისე უბრალო ვარ, როგორც შენ, მამავ! როცა, სადამოხედ, იმ უბედურის ქოწილის შემდეგ იმის ოთახში შევედი, ღიუბიცა სისხლში გასკრილი

ეგდო, სულთ-მოხრძავი; მე რომ დამინახა, რაღაცა წაი-  
ბუტბუტა და სული მისცა საწყალმა. ვერ შევიტყუე, თვი-  
თონ მოეკლა თავი, თუ სხვამ მოჭკლა . . . გესმის, თუ  
სხვამა მეტქი? მე მეფიქრება, რომ ის ქალის ხელით  
არის მოკლული; მე მგონია, რომ ქალის შუკრის-ძიებამ  
და იჭვნეულობამ მოუღო იმას ზოლო . . .

ნოეკო. მეტ აგრე მეგონა კითქმის; მაგრამ ის სისსლი რა-  
ღა იყო შენს ტანზედ? დანა რაღად გეჭირა ხელში?

შივან. რაღაცა დავინახე, რომ ის საწყალი ისე სეში' ლად იტან-  
ჯებოდა, ხელში ავიყვანე, გულს მივიკარი, მაგრამ ხელ-  
ში მკვლავილა შემჩნა. ძირს დავეშვი მასინ და წარ-და-  
ცემული განზედ გავედგე. თუ არა, მასსომს დანას და-  
ვადგი იყენი; დავწვდი და დანა ხელში ავიღე. კარები  
როგორ გაეღო, მე აღარ მახსოვს, მასინ ისე გონება და-  
კარგული ვიყავი. აი, ასე იყო, მამა-ჩემო. თუ ვტყუოდე,  
ეხლა მე შენთან, დეე, ეს ჩემი უჩანსკნელი სიტყვა  
იყოს.

ნოეკო. შენს სახეს და შენს სიტყვას ეჭვში შევეყვარ და  
იქნება შენ არ იყო მკვლელი, მაგრამ რატომ აგრე არ  
გაიძარტლე თავი უდთანაც, თავი არ იმართლე და სიკ-  
ვდილით დასჯა კი კისრად დაიდე.

შივან. მე მხოლოდ უარ-ვეოფდი ჩემს დანაშაულებას, იმიტომ  
რომ ჩინქი არ მომეცხო არც ჩემის სახელისათვის, არც  
ჩემის გვარეულობისათვის. თავის გადარჩენა მე სრულე-  
ბით ფიქრადაც არ მომსგლია, იმიტომ რომ მე სიკვდი-  
ლი მწუეროდა, მხოლოდ სიკვდილი, როგორც ერთი და  
იგივე უჩანსკნელი დასასრული ჩემის აუარებელის ტან-  
ჯვისა. მე დამინიშნეს სიკვდილი და არცა ვნახობ; მე

მხოლოდ ის არ მინდა, რომ შენ გეგონოს ვითომც მე  
კიყო ჩემის საწყაღის ცოლის მკვლელი.

ნოვკო. არ ვიცი, რაღაც სიმართლის ხმა ისმის შენს სიტყვებში და ფოკელივე შენი სიტყვა გულამდინა მწკდება. გესმის... რა მომსტუეო ვა, გაუფთსილდი. შენვე მითხარი, რომ ძალე წარსდგები ღვთისა წინაშე. მოტუეუებით ესლა გელარსიერს მოიგებ და სავიქოს კი ღოდად დაგაწივებს გულზე... მაშ, გაუფთსილდი!

შივან. რა, რა უნდო კაცი ხარ. დამიჯერე, დამიჯერე ღვთის გულისათვის, დამიჯერე. დემრთია მოწამე, რომ მართლს გეუბნები. რა სიმართლითაც მე ესლა შენ წინა ვდგეგარ, ღვთის წინაშეც მაგ სიმართლით წარგსდგე, თუ ვტუეოდე.

ნოვკო. (თავის-თავად) არა, არა სტუეის... ესლა ვა არა სტუეის, არა!...

შივან. მე ამასედა გელარსიერს გეტუეო!.. მამაკ, ნუ თუ საგმარისი არ არის!

ნოვკო. (ხელეებით პირის-სახეს დაიფარავს) მართალია, მართალია! ცოდვას ესლა კიდევ უჯინათობა გავსწიო. მჯერა, შეილო, ესლა კი მჯერა, რომ მართალი ხარ. საწყაღო ბაღლო, საცოდავო!

შივან. (მივარდება განარებული, გადაუხვევ და შეკვივრებს) ძლივს, მამაკ, ძლივს!

ნოვკო. ვაი, ჩემ თავს! ფოკელს მამასედა უბედურა მამა მე ვარ ესლა. (რამდენსამე ხანს ერთად გადხვეულნი დგანან; უცებ ნოვკო მოშორდება შეილსა და მალაღის ხმით) მაშ, უდანაშაულოდ უნდა მომიკვდე?... სრულებით უდანაშაულოდ?... აგრე უნდა წარსდე, შენ, მშუკენიერი, ხალ-გაზდა, ღო-



ნიკი?... და სხნაც არ არის? რა? არ არის? მაშ მე  
 რაღადა ვარ ქვეყანაზედ? მე დაგიხსნი, მე! შენის განთა-  
 ვისუფლებისათვის შემიძლიან ასს კაცს ხელი გამოვადე-  
 ბინო... ათასს კაცს... შენ არ იცი ჯერ რა დიდი საიდუმ-  
 ლო ძალა არის ესლა ჩემის გამგეობის ქვეშ, (მიღის კა-  
 რებთან) მელოდდე. რიყრეყზედ აქვე ვარ.

შივან. სად მიდისარ?... რას ამბობ?... რა ძალა?... რის ხე-  
 ლი?... სად მიჭყევსარ მშობლიურს მწუსარებას?

ნოეკო. გამიშვი! მე ვიცი რასაც ვამბობ... ძალე ნასამ რის  
 ქადილიცა მაქვს.

შივან. თავი დანებე, მამაკ. რისთვის იღუბავ თავს ეგრე  
 ბრძად და წინ-დაუსედავად. ჩემი სვე უნდა აღსრულდეს.  
 ნუ იზამ მაგას, რომ მე უგანასენელი წამი ჩემს სიცოცხ-  
 ლეში სატანჯველადა მქონდეს რა კი შენის სიკვდილის  
 მიზეზი მე ვიქნები. უმაგისოდაც ბევრი ცოდო მსწევს  
 თავსა.

ნოეკო. ჩემი ჯავრი ნუ გაქვს. თუნდ რომ თავი წავინდინო  
 კიდევ, ხომ ჭხედამ შეილო ამ გათეთრებულ თმასა, სულ  
 ერთია, დღესა თუ ხვალე, საილავს გამითხრინ. და შენ  
 კი ჯერ ესლა შედინარ ცხოვრებაში და ათას ჯერ ჩემზე  
 მეტს სარგებლობას მოუტან შენს ქვეყანასაც და შენს თა-  
 ვისიანებსაც. შენ ღირხარ მეტქი, ღირხარ, რომ შენის  
 გულისათვის მე ჩემი თავი დავივიწყო, თუ საჭიროება  
 მოითხოვს.

შივან. ნუ მეტყვი მაგას, ნუ!

ნოეკო. (კარებთან) განგათავისუფლებ მეტქი და იმას კი აღარ  
 მივხედავ, შენ კვ ვინდა თუ არა.

შივან. ხელსაც ნუ გასძრავ, იმიტომ რომ თუნდ რომ სელ-

ახლად მოაღწიო რეგორმე ამ საპურობილეების იტ-  
ლე, მე ცოცხალს ვეღარ მნახამ, თავს თვითონვე მოვიკ-  
ლამ.

ნოვკო. რა, ყივან, ან შენის თავის მტერი რადა ხარ, ან მა-  
მი-შენისა? (შემოდის საპურობილის მცველი).

მცველი. წადი აქედამ, ნოვკო.

ნოვკო. რა, რა?

მცველი. წადი, წადი აქედამ.

ნოვკო. გთხოვ, ერთი წამი კადევო.

მცველი. არც ერთი წამი; შუაღამე გადასცილდა, ვაი თუ მო-  
ვიდეს ვინმე.

ნოვკო. ერთი...

მცველი. ესლავ, ესლავ წადი მეთქი.

ნოვკო. შეიღო, ყივან!

შივან, მამა-ჩემო! (გადაეხვევიან).

ნოვკო. (ცირილით) ერთმანერთს ვეღარ ვნახავთ დაგვის დღე-  
ში!..

შივან. თუ ღმერთი შემიწყალებს, იქ სეტყაში შევხვდებით ერთ-  
მანერთსა, მაგრამ, მამაკ, წელს დამწყველე მე; აღსენი  
შენი წყევლა ჩემს სულს, იმიტომ რომ იქ დამწყველი-  
ლებს გზა არა აქვსთ. (ყივანი მამის წინ მუხლს მოიდრეკს.  
ნოვკო თავზედ ხელს დაადებს და ცრემლით სავსე ამბობს.)

ნოვკო. მე... ამისხნია ჩემი წყევა შენგან ჩემო საცოდავო.  
შეიღო; მომიტყეების შენთვის... დამილოცნისა... შეი-  
ღო. (თავს დაჰკლუნავს; შეიღს თავზედ აკოცებს და ისევ ისე  
დარჩება მანამდის მცველი მხარში ხელს არ წაავლებს).

მცველი. წახალ, თუ არა?

ნოვკო. რა, შე გულ-ქვარ! (შვილს). შეიღო, მშვიდობით.

შივან. მშვიდობით საუკუნოდ!... ძმები და ნათესავები მომი-  
კითხე... (ნოვკო კარებში შეჩერდება; შვილს ამოუბრუნდება,  
ფოთო-რიღასიც თქმა უნდა შვილთან, მაგრამ მცველი ხელსა  
ჭკრავს და კარებს რახუნით გაიხურავს.)

მეირიმა და შივან  
მეირიმა და შივან  
მეირიმა და შივან

შივან. (მარტო) მშვიდობით! ესლას გათავდა ეგელაიკი! (და-  
ფიქრდება) კარგი ვქმენ... შენ იცოცხლე მამა-ჩემო! სიკ-  
ვდილი მხოლოდ მე, მარტო მე... სიკვდილი ესლას აღარ  
მიძიძის, რაცა შენი მძულვარება თან არ მიძევს...  
რატ, მამის წყევლს საშინელია; მამისაგან დაწყევლილს  
ღმერთი სამოთხის-კარებს არ უღებს და შავი მიწა კი-  
დეგ მოსვენებას არ აძლევს მკვდრის ძვლებსა. ამ წუთის  
სოფლისა მე აღარა მაქვს-რა; ყოველივე გრძნობა გა-  
მიქრს გულში. ამ წუთი-სოფლის ტანჯვა-წვალებიდამ სა-  
იქიოს ცხთვარებაში გადავდივარ. რატ, წმინდას ულო მამ-  
მა-ჰანათათ, მიმიღეთ თქვენი შთამომავალი.

მეირიმა და შივან  
მეირიმა და შივან  
მეირიმა და შივან

ნ-სე სანახაში

მეირიმა და შივან:

შივან. ამას რას ვხედავ! შენ, აქა? რა გინდა?... შენ მოსკედი,  
რომ დასტკბე ჩემის უკანასკნელის მწუხარებითა, განა?  
რაც ბაღში ვერ მოასწავ, აქ გინდა შეასრულო? შენ ეს-

ლან დიდ შიამოვნებაში უნდა იყო. რაც გინდობდა, ის მოხდა ჩემს თავზედ.

მეირიმა. ძალიან კარვად კი გიტყვნივარ!... მას აქედ, რაც უბედურებად მე და შენ ერთმანეთს შეგვკასვედრავ, შენ ყოველთვის უმადური იყავ ხოლმე და ესლაც სიკვდილის წინ, იგივე უმადური ხარ. მაგრამ, შენგან არც მადლობას ვეძებ და არც აწაფერსა. აქ მოკსუფვარ, იმიტომ რომ მინდა დაგისხნა სიკვდილისაგან. წადი აქედამ თავისუფლად; საზურობილის კარები ღიაა; ეზოში ცხენი გელის და ყოველისფერი რაც კი საჭიროა შენთვის.

შივან. ეს რა შესძის! მე თავისუფალი ვარ! და შენ? შენ მამულეუ თავისუფლებას? რა კიფიქრო შენზედ?... დიდი ხანი არ აწის, რაც შენ ჩემი სიკვდილი გინდობდა და ესლა შენვე სიტოცსლეს მიბრუნებ? რა, ქალაქ ვინ მივიხვდება შენ?

მეირიმა. მაგის ფიქრს მეტეც მოესწრობი. ესლა ერთ დროს ნუ ჭკარვავ იმიტომ რომ საცაა გათენდება კიდევ. რაც შეიძლოა, გარევე ცხენი და სამძვრამდის არხად არ გაჩერდე, თორემ თუ ძდეკარი დაგადვენეს, დაგწვიან.

შივან. შენა? შენ კი აქა რჩები?

მეირიმა. (ცოცას შეჩერდება) მე აქა ვრჩები! ცოლი ქმართან უნდა იყოს; მე ოსმანის ცოლი ვარ.

შივან. შენ ხმისი ცოლი ხარ! როდის აქედ?

მეირიმა. გუშინ მოვიდენ ჩემ წასაყვანად და დღეს კრანის მივჭყევარ. მანამდის წამიყვანდენ, შენი განთავისუფლება მინდა. ასე წადი! მშვიდობით! იყავ ბედნიერი...

იყავ მთლად ბედნიერი. ეს ჩემი უკანასკნელი სურვილია შენთვის! (გასვლა უნდა).

შივან. მოხდა... რა, დიქტორ ჩემო, ეს რა ამბავია, რა ამბავი დიქტორ, დიქტორ!

მეირიმა. რაზედ მახერხებ?

შივან. მართლაც რამდენს მიჭყეები ცოტად?

მეირიმა. სწორედ ისე, როგორც შენ ლიუბიტასზე დაიწერე ჟვარი; შენს მაგალითს აყუებო შეცა.

შივან. შენ მართლაც ხარ! და მე კი წუეუდი... შეჩვენებუდი!... წადი! მე აქედამ ფეხს არ მოვიცვლი!

მეირიმა. არ მოიცვლი? სიკვდილი მექ?

შივან. დეე, იუოს! დეე, შენმა მახერხებმა ჩემს გვამზე გადაგატარონ, როცა თქვენის მჭრტალის ჩეუელებით გაიტანენ და გსახედ გადაადებენ ჩემს ლეშს.

მეირიმა. არა, ეგ არ იქნება! გაიქცე, გაიქცე, შე უბედურე! აქ სხვა ვიღაცა უნდა მოკვდეს და არა შენ...

შივან. სხვა?... ეს რას ნიშნავს? ვინა? ვინ სხვა?

მეირიმა. მალე შეიტყობ. ეს არაგისთვის არ იქნება საიდუმლო.

შივან. შესლა კი მივიხვდი. მას ეგ რა? ნუ თუ მართლაც ჭბედავ თავის მოკვლასა?

მეირიმა თავის მოკვლასა!... ვინა სთქვა? რაებს ჭბოდავ!

შივან. თუ შენ სიკვდილი აირჩიე, მე რაღად მარჩენ სიცოცხლესა?

მეირიმა. საიღამ მიმიხვდი? მას იცოდე: მე სიკვდილი მიხდა! შენ კი წადი, კიდევ გათხოვ.

შივან. როგორც დამეძალებოდა. შემოგხედავ თუ არა, მაშინვე

შევიტყობ რასა ჭფიქრობ და რასა ჭჭმობ. შენი სასუ და თვალი შენ გაგცემს ხოლმე.

მეირიმა. ვჭსტყვას, რომ მართლაც სიკვდილი მინდა, შენ რა მერე?... მე მხოლოდ მარტო ერთი მამა-ჩემი დამიტოვებს და სხვა არავინ. ოჰ, სხვა ვერავისი გული ვერ შევიძინე, მამი-ჩემის გულის მეტი.

შეიან. ნუ მომიწამლავ იმ სიხარულს, რომელიც ჩემს გულში აღანთე. ნუ მომიწრავებ სიკვდილზედ უწინ ათასჯერ უარესს სიკვდილსა. საჭირო არ არის ჩვენს შუა მაგის თანა მწარე საყვედურები და სამდურჯაობი. ესლა ვხედავ, რომ ჩვენ შუა ჭეშმარიტი სიყვარული იყო. მაგრამ ბედმა მოგვიწამლა სიყვარული, იმ ბედმა, რომელიც ყოველთვის ერთმანებრთს გვაშორებდა და მხოლოდ ესლა, სიკვდილის წინ, მსუკ ერთად შეგვეყვანა, მაშ აგრესიუს; ჩვენ ერთად დავიხრცნეთ.

მეირიმა. (თავის-თავად) ჯერ ვიდეკ ვეყარებივარ. (იმას) უიკან, რასაც შენ ჭფიქრობ, სულ ტყუილია, — მე გავთხოვდებო და შენ ვი, წადი აქედამ, გაიქეც რაც შეიძლება შორს... (უივანი პასუხის მაგივრად სასო-წარვეთილებით მიწაზე დაედება, ამითი ანიშნებს, რომ არ მიდის მეირიმა მინც დააცივდება) ჭხედავ! ცისკარი ამოდის! შიშითა კერთი შენის გულისათვის. ოჰ, თუ რადესმე ვეყარებივარ, გაიფცებ იმ სიყვარულს, ნულარ იგვიანებ, გასწი, თავი დაიხსენი!

შეიან. (აღშფოთებული) გთხოვ დამეხსნა.

მეირიმა. რა ბრძა განწირულება! მინც-და-მინც არ იშლი, სიკვდილი გინდა?

შეიან. მე შემეძლო სასამართლოს წინაშეც დამეხსნა სიცოცხლე, რომლის დასხნაც შენა გსურს ესლა; მე შემეძლო

ჩემე, ამ რამდენიმე წუთის წინ, სხვის ხელით მიძღო-  
თავისუფლება, მაგრამ მე უარკვევად უშენოდ მეირიმა,  
რად მინდა სიცოცხლე?.. ერთსა გთხოვ მხოლოდ: ან-  
ხან ჯალი მომეცი, ან სწამლავი, რომ შურტალის ჯალა-  
თის ხელით ვც მოკვდე და მეკე მოვიკლა თავი, რომ  
გონივრულად კაცობა კაცმა.

მეირიმა. მაგას თავის დღეში არ ვიხამ. შენ უნდა იცოცხლო!  
(უიჯან ცოცხალ მოიჭრეებს, მერე წამოდგება.)

შივან. რა, მამ ხანდავით გინდა რომ გაქცევით თავი გადა-  
ვიწინებ? გადავიჩინებ, რაღონდ შენც წამოდი ჩემთან.

მეირიმა. შურტი? კარ დაგეგები მაგასედ, კელარ გინდობდ: შენ  
ერთხელაც მომსტყუე.

შივან. მამ ხანდავით მომეცი.. ეს ხომ შეგიძლიან.

მეირიმა. ვაიკ მე უბედურისა! რა კენა? განა მაგ სიტუვასე და  
გაუბნებოდი: გაგიქცეთ, გაგიქცეთ მეტქი?.. მამინ რად  
მითხარი უარი, და ესლა კი შენ თვითონ მესვეწები?

შივან. რა, შენ ჯერაც ვერ მიხვდი, რა მიზეზი მახრგოლებ-  
და მამინ მე.. მიტომული პატრონისა სიტუვას და შიში,  
რომ ჩემს ჯავრს მამა-ჩემსედ ამოიყრიდენ. მაგრამ ეს-  
ლა ანტერთი ეს მიზეზი აღარ მახრგოლებს. ცოლი მო-  
მიკვდა, მამა-ჩემს კი კელარაფერს დაახრგოლებენ, იმიტომ  
რომ მე სხურობილიდამეკე გავიქცევი. ესლა მე ყოველ-  
მხრივ თავისუფალი ვარ.

მეირიმა. შენა გსურს თან წამიყვანო და არ იცა კი, რომ მე  
მოგიკალი ცოლი, და მე მოგაყენე მაგდენი ტანჯვა?...  
შეგიძლიან მამატონ? შეგიძლიან შემიხლო? მიხასხესე:  
შეგიძლიან კადეკ ჩემა სიყვარული მას შემიდეკ, შეგიძ-

ლიან კიდევ გულსედ მიმიკრა, მე, შენის ცოლის მკვლე-  
ლი, იმის სისხლში მოსვრილი.

შივან. რატო ნუღარას იტყვი მაგასედ... ნუღარას მოძაგონებ,  
მე არ მინდა ვიცოდე, კინ მოჭკვლა. ყოფილი სრულებით  
წაიშალა ჩემს გულში. მხოლოდ ერთი სურვილიდა დამ-  
რჩა ყოფილიდამ, მხოლოდ ერთი... შენი სიყვარული.  
შენ აქ რომ შემოხვედი, ხელახლად აღმინთე სიყვარუ-  
ლი. რაც უნდა ავი საქმე ჩაგედინოს, მაგ სიყვარულს  
გულიდამ ვერავინ ამოძარბეკს.<sup>61</sup>

მეირიმა. მაშ შენ ისევ ჩემი ხარ, ისევ! (უცებ გადაეხვევა) აი,  
ყოვან, შენთან ვარ, წავიდეთ ერთად, გაკვიტეთ რაც შე-  
იძლება ჩქარა! (ამ დროს ისმის, რომ მოლოა იძახის. უცებ ერ-  
მანეროს გაშორდებიან და გაჩერდებიან ზარდაცემულნი).

შივან. გესმის!

მეირიმა. დემეტო

შივან. გათენდა!

მეირიმა. ესლა კვლავ გავიჭტეკით.

შივან. აქ ცხენი არისო, ის რა სთქვი?... ნუ თუ ხმაღს კი  
ვერსად მიშოვნი?

მეირიმა. რად გინდა?

შივან. კაის ცხენით და ხმლით; ხელში თუნდა მთელი რსმა-  
ლოების ურდოში შევერეკოდი.

მეირიმა. დემეტომა დაგიფაროს, რომ მე მაგისტანს განსაც-  
დელს მიგცე.

შივან. იქნება ისევ მოხდეს, რომ ვერავინ დაგვინახოს?

მეირიმა. უბედურო! ყველაფერი ამაღს; მაშინვე ძებნას დამიწ-  
ეებენ ჩემს ოთახში, რომ საქარწინოდ მოძროან. მე  
რომ ვერა მნახვენ და შენც ამ საზერობილეში აღარ იქ-



ნები, მამა-ჩემი მასინვე მიგვიხვდება და მდეკარს გამოგვიყენებს.

შივან. ესლა კი ვხედავ რომ კაცი ვერ წაუვა თავის ბედს. მას მე დამანებე თავი და შენ შენს თავს. უშეკლე.

მეირიმა. აჰ, რა ჭაზრია მომივიდა თავში!

შივან. არა მგონია, ესლა გამოგვადგეს რამ.

მეირიმა. გაიქცეა ჩქარა, ჭაიდუკებთან მიდი, წამოიყვანე ისინი და როცა ჩვენი მყურები და ამაღლა ღამე დასადგომად ჩამოხტებიან, შენ თავს დაგვეცი უცებ და მე განმათავის-  
ნად უფლებ.

შივან. ეგ ადვილია, მაგრამ ამისთანა დროს შენ როგორ დანებდები თავი და მოგშორდე. ვინ თვის უცებ რა მოხდეს. მართალია, არც აქამდის გვეხმარებოდა ბედი, მაგრამ ესლა ხომ სულ ხელ-აღუბულია ჩვენზედ.

მეირიმა. ოჰ, დრო გადის, რა დროს ეგეებისა. ასე უნდა იყოს, სხვათნაირად შეუძლებელია! ნუ გეშინიან; იმედი მაქვს, უკუღს კარგად ასრულდეს; წადი, წადი ჩქარა.

შივან. ბატონი ხარ, წავალ, მაგრამ გული კი რაღაც უბედურებას მოელის.

მეირიმა. მშვიდობით სადამომდე. თუ ესლაც ბედმა გვიბტუნა და შენ რაიმე უბედურება შეგემთსეგვა, იცოდე, მე არაკის არ დავეკუთნები. საწამლავი და სიკვდილი ხელახლად ეერთად შეგვეყრის ჩვენ.

შივან. ოჰ, მეირიმა, დმერთმა ჭქნას, რომ საქმემ მანდადის არ მიადწიოს. (აკოცებს) მშვიდობით. (გავა კარებში).

## 7-დე სანახაში.

(თენდება. ერთ-ერთს განმარჯვებულს ქუჩაში ნოკო. ზის იმის მოშორებით მოჩანს რამდენიმე შეიარაღებული პაცი.)

ნოკო. (მარტო) ანა, თაუთი როგორ არ გამოვიდო, და არ განვათავისუფლო ჩემი შვილი! კეზირი ნეტა რას იტყვის? რა გი-ოსძალებმა თერმანის მიძღეს, მაშინვე ვეზირმა განიზრახა ხალხი ააჯანყოს, და ესა იმას აღარ მოგუცადე და უიძისოდ აქმართე დროშა აჯანყების! კარგად ჩავდივარ, თუ არა?... თუ არ ესე, სსკავთრამე როდისღა რას ვეღირსებოდით. კარგად სთქვა, პეტრო ანამბაში. ყველანაირად უარესი საქმის ნახეგრად გაკეთებაო. სულ მედამ აწევ-დაწევას, აი ასე ვქნათ, აი ისე—არ ვარგა. სოგჯერ ბრმა-ბედსაც უნდა მივინდნეთ. ოღონდ გი დაწებულ იქმნას და ყველაფერი, იმედია, კარგად წავაამაზედ უკეთესი დრო, მგონი, აღარ მოგვეტყოს. დეე ის მოხდეს, რაც მოსახდომია: სიკვდილი, ან სიცოცხლე! შვილსა და ხალხს გიდეგ ან მონება და ან თავისუფლებას! პეტრო ანამბაში ამ აზრზედ დააყენა თავისმა ჭკუამ და ვაყ-კაცურმა გულმა და მე შვილის სიყვარულმა! ჩინანს საჭირო იყო ჩემთვის ჯერ ანამბაში ტანჯვა გამოძევლო, რომ მეტი მეგრძნო ხალხის ტანჯვაც და სძლიებულა ამელო. ყოველივე დონის-ძიება კარგია, რომელიც ამ საქმეს მიგვადწევენებს. მე ხალხი ამიჯანყებია შვილის გულისათვის და სამაგიეროდ შვილიც და მამაც თავს დავსდებთ ხალხისათვის. (გლახუნა შემოდის) ოჰ, კლახუნა!

## 8-ვე სანახშირი.

## მლახუშა და ნოეკო.

მლახუშა. ყველგან ვიყავი; ყველა თავ-თავის ალაგას არის რადონია თავისის კაცებით მეჩეთის უგანა დგას, დ მიატის ჯარი ვი ხიდას ჭდარჯობს. ქალაქს გარედ ხალხი თან-და-თან მატულობს. ყველანი ნიშანს მოკლდინ, რომ ომი ასტეხონ. შენ ნუ აგვიანებ. დროა, ესლავ ნიშანი მოგვეტვი. მინამ ჭსძინავთ ოსმალებს და მინამ გათენდება, ჭსჯობია, თავს დავეცნეთ.

ნოეკო. ცოტა შევიცადეთ, შვილო; რაია ჯერ ვერ მოაწევდა შორეულ სოფლებიდან და ვინც მოგროვილნი არიან, არა კმაწან. ვისოგოში ბევრმა ოსმალამ მოიყარა თავი. მინდა როგორმე ჭაიდუგებს შევატეოთ, რომ ბოლოს მაინც მოგვეშეკლნენ, თუ დაწუებამდის ვერ მოგვასწრეს. ესლავ ჭაიდუგებისა უფრო იმედია, იმიტომ რომ რაია მინამ გაიწერთნება, ერთი ორჯულ მაინც უნდა დაესწროს ომში.

მლახუშა. რაიას თავდები მე ვარ და ვუგოტა, რასაკვირველია, ჭაიდუგებს მიუსწრობდა. დავეცნეთ რაღა, მამაკ, ნუ ვაგვიანებთ.

ნოეკო. არა, ჯერ არა; მე ვინც აძისი დრო და მანამდის აი რას გეტყვი! როცა რადონია გამოვა და სახლებს ცეცხლს წაუვიდებს, რომ ოსმალებში ალაქეთი ასტეხოს, ჩვენ მაშინათვე სახეობილეს დავეცნეთ და ყივანი გავანთავისუფლოთ. მაშინ ყივანი მიატასთან წავა ნახევარის

ჩვენის ჯარით, რომ ოსმალებმა ხიდი არ წაგვანთეს; და შენ კი მეორე ნახევრით ჩადონიას მიეშველები, რომ ქალაქიდან აღვიღად გზა გვქონდეს. აქ ჩვენ დიდ ხანს ვერ დავრჩებით. უკვლავ ჯარები მიინდვრად უნდა გავიდენ და იქ მოიყარონ თავი. იქ სოფლებიდან მოსული ჯარები გველიან, მე რე სომ ჭაიდუკებსაც წინ შეგვეყრებით. გესმის? ასე დავიწყეთ, და ბოლო როგორი იქნება, ის ღმერთმა იცის. ჩვენ კიდევ დღესვე გავგზავნათ კატებს მთელს ბოსნიისში, რომ რაიმე ყოველგან გამოიღოს ხელი. ეხლა, წადი შენ, თავი დამანებე პატარა სანს (გლახუშა მიღის).

### 9-რე სანახაში.

ნოეკო. (მარტო) დიას, ბოლო მარტო ღმერთმა იცის. ოჲ, წმინდა რატოა და ხალხთა მამა, ნუ თუ არ მომხდავ ამ ყამად... როცა საცოდავი მამა ასე მხურვალედ მიიწევს შეილის სიცოცხლის დასახსნელად, როცა მამულის შეილი მიიღვწვის, რომ თავისი დათრგუნვილი ქვეყანა განათავისუფლოს, ნუ თუ შენ არ მოუძარტავ ხელსა და იმასთან არ იქნები?! ეჭვი მაშინ მექნებოდა, თუ... კინაღამ არ წამომცდა და არ გავარისხე ღმერთი! არა, ყოველი ჩემი იმედი, ღმერთსედა არის. მაგრამ ღმერთი ბძანებს, შენ თვითონ უშველე შენს თავსა, მაშინ მეტი გიშველიო! (ამ დროს წარბაზნის ხმა მოისმის) ოჲო!... წარბაზანი!... მეორე!... მესამე!... ეს რას ნიშნავს?

## 10-თე სანახაჲნი.

(შემორბის ვლახუშა და ბეგრი სხვა.)

მლახუშა. ზაწბაზანს ისკრინ ალი-ფაშის ციხიდაძე.

ნოეკო. ალი-ფაშის ციხიდაძე?!

პრთი ყმაწვილ-კაცთაგანი. ოსმალებმა შეგვიტყვეს.

მეორე. ჩქარა, ჩქარა! დაუშუქენით ოსმალები ესდავე იაწაღს მოჭვიდებენ ხელს. ან ნიშანი მიეცე, ან დავიშაღნეთ.

ნოეკო. (წელიდამ დამბაჩას გამოიძრობს და ზეცას მიუშვერს; ერთს მუნღზედ დადგება და ამბობს) ყოვლად ძლიერო დემეტრო, რომელმაც ყოველი კაცი თავისუფლად და თანასწორად გააჩინე, შენის წმინდის სახელით დაწყობილ იქმნას ეს საქმე. (დამბაჩას ცაში გაისვრის. მერე ვლახუშაც გაისვრის და სხვანი დაიყვირებენ «ურა». ამ ხმაზედ მთელი ჯარი უცებ მოგროვდება, ხმლებს იშიშვლებენ და ყვირიან: «ურა! ურა!»)

რამდენიმე ხმა. საწმუნოება და თავისუფლება!

ნოეკო. საწყობილისაკენ! (ყველანი მიჰყვებიან ყვირილით «ურა!»)

## 11-ტე სანახაჲნი.

ალი-ფაშა, ჩამილ-ბეგ, ასან-ალა: ბეგრი შეიარაღებული ხალხი ოსმალოღს.

ალი-ფაშა. ჩქარა, ჩქარა, საწყობილეს მიეშველენით! თორემ რაია იქიდაძე თავის კაცებს გამოიყვანს! (ჩამილ და

ზოგნი სხვანი გავლენ) საიღამ მოგროვდა იმდენი ქრისტიანი ვისოკოში; თითქოს შუა-გულ ჯოჯოხეთიღამ გამოდიანო. ასან-ალა. და ჩვენ კი არა ვიცოდით-არა! ისე უცებ დაგვესხნენ თავსა!

ალი-თაშა. ახა ესლა იწვნიონ ჩვენმა სულელებმა.

მრთი ოსმალო. აგერ ცეცხლი!

ასან-ალა. ეს რა არის? ცეცხლი წაუკიდეს?

ალი-თაშა. საითკენ არის?

მეორე ოსმალო. ძველ მეჩეთის უკან.

მესამე ოსმალო. იქ მარტო ოსმალოები დგანან.

მეოთხე ოსმალო. ჩვენს სახლებს წაუკიდეს ცეცხლი! ჩვენს ცოლ-შვილის გადაწვა ჭნდომებიანთ! (სიჩქარით გადის).

ალი-თაშა. აი ეშმაკებმა წაიღონ და შიგ შუა-გულ ჯოჯოხეთში ჩაჭკიდონ იმათი თავი! მე გამომეუკით. (გზას უჩვენებს).

მრთი ოსმალო. (შეზღებუა) სად მისვალ, ალი-თაშა? მინდვრებში საშინელი ომია; იქ ჩვენები ქრისტიანებს შეებნენ.

ალი-თაშა. ასან-ალა, შენ იქ წასახი შენი სალხი! ცეცხლი სად უკიდია? (თავიანთებს ეტყვის) თქვენ მე წამომეუკით სიღისკენ.

მრთი ოსმალო. სიდი რასხანია რაიას სელშია.

ალი-თაშა. ან უნდა წავართვათ, ან თავები დაკისოცოთ. (ყველანი გავლენ. შემოდინ სხვა ოსმალოები.)

მრთი. (კოჭლობს) ნელა, მუიო! ფეხში ვარ დაჭრილი.

მეორე. (არ გაჩერდება) ჩქარა წადი, მინამ მეორე ფეხი მანც მთელი გაქვს...

მესამე. (წინ წამოდგება) ესლას ცოტა დასცხრას ჩემი ქადაქილამ  
გადიან.

მეოთხე. (მას მოჰყვება) გესმის, საპურობილესთან რა თოფის  
სროლას?..

12-ტე სანახამი.

(საპურობილე).

ნოეკო, შემოდის ხმლით ხელში. მოჰყვება მლახუშა  
და სხვა რამდენიმე, ისმის თოფის სროლა.

ნოეკო. აჩსადა სჩანს, აჩსად! ყველა ვიპოვეთ აქა, იმის გარ-  
და! დავიგვიანეთ. უთუოდ მოუვლამთ, მანამ მოვიდო-  
დით. (ხმაღს ძირს დაადებს) ესლას თუნდ მეც მომკლან,  
სულ ერთია.

მლახუშა. ვაიბე, მამა-ჩემო!..

ნოეკო. გასწით, თავს უშეკლეთ... მე აქ მიხდა მოვჭკვდე.

პირველი მეგობარი. სალხს შეჭსწირო შენი თავი, და თუ  
სიკვდილია, ქვეყნისათვის მოჭკვდე! აქ რა გინდა? კატა-  
სავით დაგადრჩობენ.

ნოეკო. უკეთესი შეიღვი მომიკლეს! რა, ჩემო საცოდავო  
ყივან!

მეორე ამხანაგი. როგორ? შენ თვითონ აგვადებინე იარაღი  
ხელში და ესლას შენვე თავს გვანებებ!... ნოეკო, შენ მო-  
დალატე ყოფილხარ.

ნოეკო. ეს რა მესმის? მე, მე ვარ; მოდალატე მე!... უგუ-

ნურა, შენ არ გესმის მამის მწუნარება. შენმა საყვე-  
დურმა გამაგულისა და ხელახლად აღმადგინა. გასწი, და  
ნახე ვაყ-კაცი როგორც კვდება. სოლმე. (მიწიდან ხმალს  
აიღებს).

მესამე ამხანაგი, (სიჩქარით შემოდის) აქედ ბევრი ოსმალთ  
გროვდება. ხმლით გზა უნდა გაკვიკაფოთ.  
ნოგო. (პირველი გარბის ყვირილით) ურა, ძმებო!

(ფარდა.)



## მოქმედება მეხუთე.

(ოთახი ალი-ფაშის სასახლეში.)

### 1-ლი სანახაპი.

ალი-ფაშა და მომაკი.

ალი-ფაშა. ამ სამიოდ დღის წინად ერთი მძიმედ დაჭრილი  
ჭაიდუგო ტუგედ დაგვრჩა. საზატომროშა; წადი და აქ  
მოიყვანე. (მომაკ გადის) ჩისთვის ვჭკარგაკ ძვირ-ფასს  
დროს, აქედ-იქით გამოძიებაში. ნოვეკო უგელასუედ უგეთ  
ამიღსნის, თვითონ ვეზირმა წააქეზა: აჯანყებაზედ, თუ  
თავად აიშალა შვილის გამო. საჭიროა, ესლავე შვიტ-  
ყოთ ამის მიზეზი, რომ ვიტოდეთ ვინ არის ჩვენი მტე-  
რი. (შემოდის ჩამილ-ბეგ) ეჭვი! ჩამილ!

### 2-რე სანახაპი.

ჩამილ-ბეგ და ალი-ფაშა.

ჩამილ. მშვიდობიანად დაკვირვებულ წუსელის და მშვიდობიან-  
ხადვე გამოკვირვებულ დღეს, ფაშა, მაგრამ რსმაღრონი  
ჯერ სოფლებში დაბრუნებას ვერა ჭბედვენ და რაია ვი

მთებს აწა შორდება. ერთმანერთის შირ-და-შირა ვდგე-  
ვართ იაწაღით ხელში, მაგრამ ჯერ მშვიდობიანობაა. ისე  
ვართ, როგორც რჩი ძაღლი, რომელნიც ერთმანერთს  
შირ-და-შირ უწვანან და ღვინავენ ძარტო.

პლი-თაშა. ეკ მშვიდობიანობა დიდ ხანს ვერ გასტანს; რაიას  
სახლებში ძინც დაბრუნება არ უნდა, მას შეძლება რა-  
ცა მე აღთქმა დავუდე, გახატებინებთ მეტქი?

ჩამილ. არ უნდა, არა.

პლი-თაშა. სწორედ ამიტომაც მგონია, რომ ეს აჯანყება და  
აშლილობა ვეზირის საქმე უნდა იყოს. ვეზირი თითქოს  
გვიყვავებს, რომ უფრო უკედ თვალი აკვირვიოს. რა!  
ეს სამარცხვინო ღალატია!

ჩამილ. ვინ იცის, იქნება ღალატიც არ იყოს! იქნება წრფე-  
ლის გულისთ გვირიგდება, და დრო აღწას აქვს, რაიას  
შეაყენოს. ერთხელ თუ თოფის წამალში ჩავარდა ნაპერ-  
ვკალი, წამალმა უნდა იფეთქოს.

პლი-თაშა. დასწევლას ეშმაკმა, ვერა გამიგია-რა. იქნება ნოკ-  
გომ ძინც შეგვატყობინოს ძართალი. ამისათვის დავი-  
ბარე, აქ მოვიდეს.

ჩამილ. აი, ისიც.

### 3-მე სანახაში.

ნოკო, პლი-თაშა და ჩამილ-ბეგ.

პლი-თაშა. შენ, ნოკო, დღეს უნდა გამოესაღმო წუთის-  
სოფელს. მე მსურს გავაუქმო ეს გარდაწვევატილება, ერ-  
თის შირობით კი.

ნოვკო. რა შირობით, იყაშა?

ალი-ფაშა. შირველად, მითხარე ვინ იყო აშლილობის დამწყობი, იმიტომ რომ შენ მხოლოდ ხელი იყავ და თავი სხვა უნდა ყოფილიყო. მეორედ, მითხარე, ვისთვის რაიას აქვს რამე შირობა დადებული დანარჩენ ბოსნიის გლეხობასთან, თუ არა? მესამედ, ვინ არის იმათი წინამძღოლი? ეს გამაგებინე და, გეფიცები, ერთი თმაც არ დაგაკლდება მაგ ჭკლარს თავსე.

ნოვკო. მხოლოდ ამისათვის დამიბარე აქა? მითამ მე ვინა გგონივარ?... თუნდ რომ მცოდნედა კიდევ, რასაც შენა მკითხამ, მე ერთს სიტყვასაც არ გეტყვოდი, არცერთს ჩემს მოძმეთაგანს არ გავტეპდი, იყაშა, თუნდ არამც თუ ჩემი სიტყვასაც, მთელი დედა-მიწის სიმდიდრეც მოგეტა ჩემთვის. დანაშაული და სირცხვილი ხმალზე უარესად ჭკლავს ვაცსა. სიტყვასაც ორის დღით მეტი იყოს თუ ნაკლები, არაფერია! მაგრამ, ზატოილსება და ნამუსი — დიდი რამ არის. ესლა რომ მიცანი რა ვაციცა ვაჩნება მომეტ ისევე სანატორიში წავიდე. (მიდის კარებთან).

ჩამილი. გახუბდი, შე რხერო! შანთს ქვეშ გამოგათქმევენებეველათერს, რის თქმაც ნებით არა გაუერს!

ნოვკო. ბეგო! შენ შენი სიტყვასაც ხორცის ნებივრობაში გაგიტარებია და გგონია, რომ ხორცის ტვივილი ჩემთვისაც ისეთი სამძიმო იყოს, როგორც შენთვის. ჩემი ხორცი, ჩემი გული დიდი ხანია ყოველ-გვარს წვალებას შეჩვეულია. როგორც ვინდა მწვალე. შანთით: იქნება, თუ შამფურით, დამწვი, დამდაგე, მაინც ჩემის შირობად ერთს სიტყვასაც ვერ გამოიღებ, როგორც აი ამ კედლიდამ.

ჩამილ. ფაშა, ნუ თუ ამას შეაჩხენ და აგრე გაუშვებ აქედამ?  
 ალი-ფაშა. ხომ გაიგონე? ახა ეხლა ამისთანა კაცი იზონე,  
 ჩვენში სადმე? ჭმ! რაია ყველანაირში გვეჯობნის. ჩამილ,  
 ჩვენი საქმე წასულია!

ჩამილ. ერთი ნეტავი გამომცდელინა, საქმითაც ძართლას ისე-  
 თიან, როგორც სიტყვით? ალი-ფაშა, ერთი შინდი და  
 ძაგის ჯანი.

ალი-ფაშა. არა, არ შემიძლიან! თავის გულგონობით გამა-  
 გვირგას! მოჭკვლენ, ესეც საკმალას ძაგისათვის. (ხელით  
 კარებს უჩვენებს; ნოვკო ამაყად გავა).

#### 4-ზე სანახაში.

მსმან-ბეგ, ჩქარა შემოდის; აგინივე, მერე მომავი.

მსმან. ძთელი გლეხობა აშლიდა! წინამძღოლად ზეტკო არამ-  
 ბაშა ჭყავთ!

ალი-ფაშა. ვინც ეგ გითხრა, სსსაცილოდ აუგდისარ!

მსმან. ეს ამბავი ერთმა ჩაუშმა მომიტანა!

ალი-ფაშა. (ოთახში ჩქარ-ჩქარა დადის) ზეტკო, ზეტკო! რა,  
 შეჩვენებულა ზეტკო!.. შეტყობილია, რა განკარგულება  
 მოუსდენია?

მსმან. დიან! ერთი ჯარის გუნდი დრინისაკენ გაუგზავნია,  
 ხალხისათვის იარაღის დასარიგებლად, და თვითონ კი  
 მეორე გუნდით აქეთკენ მოდის.

ალი-ფაშა. ვისოგოსაკენ?

ჩამილ. არამბაშა ნოკოს მობილია და ნათლია; იმის გულისათვის საშინლად გადაგვიხდის. განვათვისუფლოთ.

პლი-ფაშა. ნოკო განვათვისუფლო და ჩაიას მაგისტანსა წინამძღოლი მე თვითონვე მივსტე? არა, ამას მე არ ვიზამ, თუნდ იმის გულისათვის თავიც გამაგდებინონ.

მსმან. ამ ამბებმა ძალიან შეაშინა ჩემი ძაყრები და ყველა ერთ-ხმად იძახის, რომ თავს ვუშეგლოთ როგორცა, იმიტომ რომ ყველასა ჭყავს ვინმე: ზოგს მოხუცი მამა, ზოგს დედა, და, ცოლი, შვილები. დღეს თუ არ დაითხოვ, იმუქრებიან, ჩვენ თვითონ წავალთ.

პლი-ფაშა. მეირიმაც კი, გუშინდელს აქედ სულ წასვლას მუხუჭებს. ერთი მითხარით, როგორ გაატანო ამ საშინელს ცეცხლსა? ჭაიდუკები რომ დაგეცნენ გზაში ან აჯანყებულნი ქრისტიანენი, მაშინ რაღასა იქო? ცოტა მოითმინეთ მანც, მანამდის ნამდვილს გაკვიგებდეთ, რამდენნი არიან, სად არიან და როგორ მიჭყავთ საქმე.

მსმან. ჩვენი გზა ჯერ შევრული არ არის და არაფერია საშიში; რაც შეეხება ჭაიდუკებს, იმაზედ ნაკლები ხალხი არც მე მყავს, ვერ მოგუბედაძენ. მანც და მანც ვიცი რომ წასვლა არ ვარგა, მაგრამ დიდ ხანს რომ ველოდოთ, ვინ იცის, იქნება უარესი; მოხდეს? დღესვე წავალ კრანას.

მომაკი (შემოდის) ვიღაც კავასიო გახლავს, დალალოლობით ძლივსღა სუნთქავს, ტრავნიკიდან გიანხლათ და თქვენი ნახვა უნდა.

პლი-ფაშა. უთუოდ ვეზირის კავასიო იქნება; შემოიყვანე აქა. (მომაკი გადის) ესლა გაკვირებთ მანც საქმე როგორ არის. დაბძანდით. (ყველანი დასხდებიან).

## 5-თე სანახაპი.

ივინივე და ვეზირის ძაფასი.

ძაფასი. ყოვლად ჰსტივ-ცემულთ ფაშა, კეზირმა მოგიკითხათ და ეს წერილი მოგართვათ ტრავნიკიდან.

ალი-ფაშა. გაუძარჯვოს კეზირს! მოველოდი იმის წერილს. (წიგნს წაიკითხავს და ეუბნება კავასს) შენ წადი და შეისვენე ცოტა. ერთს საათს უკან მზად იყავ, ისეკ უნდა წახვიდე. (კავასსი გადის) მადლობა ღმერთსა, კეზირი ჩვენკენ არის! აი რასა მწერს: აბეკრგან აჯანყდა რაია; კეშიობ რამ ყოველგან არ აიშალოს; ამიტომაც ადრევე უნდა საქმეს როგორმე ვუშეკლოთ. კრანისა და ჭერცოგოვინა ოსმალების შუაგულა. შენი იმედი მაქვს ფაშა, რომ იქ ყველაფერს მოაწყობ ისე რომ ჯარები ერთად შეეყვართ და ერთად წინ დაუხსვდეთ. მოსტარს ვინმე სხვა სახდო ბეგი გაგზავნე შენს მაგიერად და შენ თვითონ კი კრანისას წადი, თორემ მეშინიან ქრისტიანებმა მხარი არ მიტყსტენ იქ ერთმანეთს. ვისოკოს ფიქრი ნუ გაქვს: მე მანდ მოვალ თვითონ ჩემის ჯარით. ვისოკო იქნება უმთავრესი ბანაკი ჩვენის ჯარებისა, კრანისა და ჭერცოგოვინისა შუა და ხიდი ჰოსაკინაში შესასვლელად. მოგიკითხავ შენ და ყველა ბეგებს.

ჩამილ. მასმ აქედ მოდის რადა?

ოსმან. იქნება სვალაც მოადწიოს ვისოკოს.

ალი-ფაშა. ჩამილ-ბეგ, შენ მოსტარს წადი; შენზე ერთგული არავინა მყავს. (ჩამილ თავს უკრავს) დღეს კიდევ დროა

წახვიდე. (ასმანს) მე და შენ კი, შვილო, ჩემო ერთად-  
კრანას უნდა წავიდეო, და ამით გარდა ვიდეო რასს  
ვისოკოელს წამოვიყვან. ამ ჯარით, რაც გინდა ჭაიდუკე-  
ბის გუნდი იყოს, ყოველთვის ვძლეო.

ჩამილ. ვისოკოს ვისდა ჩაბარებ, მანამ ვეზირი მოვიდოდეს?  
აღი-ფაშა. ასან-აღას. ესლა შეადღეს; დროს ნულარ ჭკარგავთ!

გინც წასასვლელნი ხართ, ნულარ იგვიანებთ. (აღი-ფაშა  
ადგება) ახლა მშვიდობით! (მომაკს ეუბნება) ერთი უთხარი,  
მეირიმა აქ დამიძახონ. (მომაკი უევა მეირიმასთან, რომელიც  
იმ წამსვე გამოდის. ყველანი გაუღენ.).

აღი

### 6-სე სანახაში.

აღი-ფაშა და მეირიმა

აღი-ფაშა. მეირიმა! შენი სურვილი აღსრულდა! ამდამ აქ  
აღარ ვიქნებით!

მეირიმა. მივდივართ, მამა? (ხელზედ აყოცებს).

აღი-ფაშა. შენს მარჯებს ერთი ასალი მარჯი მოემტა, რა-  
მელსაც არ მოელოდი.

მეირიმა. ვინა?

აღი-ფაშა. თვითონ მე.

მეირიმა. (შეშინებული) შენა, მამა? რას ამბობ!

აღი-ფაშა. რაგორ? გეწყინა თუ? იქნება მართლას!

მეირიმა. (თავის-თავად) ყივანს გზა შეკრული იქნება, ჭაიდუკე-  
ბი გზაში გვისხედან. მე მამა-ჩემს ხაფანგი მოკუმზად!

მე უნდა მოგაკვლევინო მამა-ჩემი!

ალო-თაშა. რა დაგეძმართა? მან და (მეტი) გეძმართა?

მეირიმა. (ნაზად) გთხოვ, მამა, ნუ წამოხვალ ჩვენთან!.. გზა-  
ში ეხლას უოგეღვან შიშინობას... ნუ წამოხვალ, ნუ!

ალო-თაშა. ნუ გეძინიან, ჩემთან რჩასი ვისოგოელი იქნება.  
მეირიმა. მაინც ნუ წამოხვალ, დამიჯერე... რა, ღმერთო,  
ღმერთო!

ალო-თაშა. გუშინ ძალიან გუღზედ იყავ და ეხლას გი შიშობ?  
რა ამხავია. ერთიცა და მეორეც უდროა. შენ ჩაღვ-  
ბის თადარიგს შეუდექი და მარცხისათვის საგზადი მო-  
ამხადე და სხვა გი მე ვიცი. (გადის).

მეირიმა. (თმებს იგლეჯავს) ღმერთო! ღმერთო! მამა, შეიღი-  
სათვის უნდა დაიდუმოს... მეც ამისთანა მამა?!.. ეს  
ცოდვა უკვლავ ცოდვად, რაც მე ჩამიდენია, გარდამე-  
ტებულა. ჩემი თავი მევე შემოუღდა. რა, შავო მი-  
წავ, გასკდი და თან ჩამიტანე მამის მკვლეელი! ვაიმე,  
ვაიმე! (გადის სასო-წარკვეთილებით).

## 7-დე სანახაში.

(ჭაიდუგები საფარში დამალულან. იმათ შუა ყოვანია, რადათ და იაქმა.)

რადათ. სამი დღეა, რაც აქ ვიცდით და არც მეფიონი მოდის  
და არც არა ვიცით-რა იმითი ამხავია.

იაქმა. აქ რისთვის ვუცდით? რატომ პირ-და-პირ ვისოგოს  
არ წავაღთ? იქ, მგონია, ადგილად ვიპოვნით.

რადათ. მეც აგრე მგონია. ერთბაშად რის საქმეს გავარბი-  
გებდით; ქალაქსაც წავართმევდით და ქალსაც მოვიტა-



ცებდით, თორემ ეხლა ესე ტყუილად უბრალოდ დრისა-  
კვარავთ, და მგონია რომ ერთიცა და მეორეც სული-  
დამ წაგვივიდეს.

იაკობა. ჭო, ღმერთმანი, თორემ ჩინას უსაქმობა მოჭსწუინდე-  
ბა და დაიშლება.

რადათ. საუბედუროდ ჩამბაშისაც კერა გავიჯეთ-რა. ნოკკო-  
ხომ მოგვიკვებს! ამდენს ხანს როგორ შევიძაგრებთ  
ხალხსა.

შინან. კარგი, ცუცსლს ნუღარ მიმატებთ. განა უკვლავ ებ მქ  
კი არ მსწუხებს. ცოტა უიდეგ მოვიტადოთ, იქნება მი-  
ღუტინი მოვიდეს, გვიამობს ქალაქში რა ამბავია და მე-  
რე ვნახოთ. ნუ გგონიათ კი, რომ მე ხალხი გავწირო,   
ერთი ვილაც ქალის გულისათვის. აჭა, აი მიღუტინიც!

8-ვე სანახაში.

მილუტინ და იგინივე. (ყველანი ადგებიან და გარს შემოწნევიან.)

მილუტინ. გამაჯობათ, გამაჯობათ!

ყველანი. ღმერთმა გაგიძაჯობოს!

შივან. ახა გვითხარი, ქალაქში რა ამბავია?

მილუტინ. მე ჩემის თვალით ვნახე მამა-შენი, როცა ფაშის-  
სახლიდამ მოჭყვავდათ.

შივან. მამა-ჩემი?!

მილუტინ. და ისიც გაგვგე, რომ ხალხი უნდა თავი-  
მოეკრათ.

შივან. მამა-ჩემისათვის უნდა მოეკრათ თავი? რას ამბობ?!

მილუტინ. თქვენ რომ მატოვკეთ, მკვდარ გეგონათ, და მხოლოდ დაჭრილი კი იყო.

შივან. ნუ თუ მართლაც? რა, ჩემო საცოდავო მშობელო!

მილუტინ. მოიცა, ყური დამიგდე—მყრებმაც ქალი წაიყვანეს.

შივან. შეიძინა?!

იაქმა. როდის?

მილუტინ. ესლახანს; ეს ეს აჩის იმით შორის ვიყავ და ისე გამოვკეპარე, რომ ვერც კი დამინახეს.

შივან. ეს რა ამბავი მოგვიტანე! იქ მამა-ჩემსა ჭკველენ და იმავე დროსვე ქალიც მიჭყვავთ! რომელს ერთს მიგეშეგელო, რომელს ერთს?

იაქმა. ჩვენი ხალხი შუაზე გავჭყვავთ, ერთით შენ ქალაქს დაეცი და მეორით ჩვენ მყრებს დაკეცებით.

მილუტინ. აქ რამდენნი ხართ?

რადათ. ოთხსანი.

მილუტინ. სხვა რომ არა ვსთქვათ, ჯერ მარტო მყრიონი ხუთასია. როგორ გავიყვით? რას ამბობთ? ჩვენი ჯარი სად არის?

რადათ. აქედამ ორი საათის სავალზეა.

მილუტინ. ძალიან შორისა ჭყოფილან. საითაც გინდა გავზავნეთ ისინი, დაგვიანდება. დალაშქრებდის ვერც ქალაქამდის მივლენ, რომ ნოვკო განათავისუფლონ და ვერც მყრებს დაეწვიან, რომ პატარძალი წაართვან — მაშ სექმე ესლახანს ჩვენსედ ყოფილა. (რამდენიმე ხანს დაფიქრდება) ყივან, შენ, ან მამაზედ უნდა აიღო ხელი, ან ქალზედ. რომელიცა ვსურს, ამოიჩნიე, მაგრამ მაღე, ჩქარა, ამ წუთსავე, იმიტომ რომ ოსმალოს ცხენმა ჩქარი სიარული იცის და არც ჯალათის ხმალს უყვარს ცდა.

მივან. მას, არიქა ცხენები?... აბა, ძმებო, ცხენებს მოასტით და ვისოგოს კეცნეთ ყველანი ერთად. მე ყველაზედ უწინარეს შეიღვი ვარ; მე რე, როცა მამას დავიხსნი, ქალის დახსნას შეკუდგები. ჯერ მამა და მე რე სხვა...

რადათ. ჩვენ აქვე თუ შევებმით, რომ ოსმალები შეკაყენოთ, თორემ არა მგონია, ქალაქი წავართვათ. შენ, იაქმაკ, ჩქარა წადი და ვლახუშას შეატყობინე, რომ ძალე მოგვეშველოს. აბა, ჩქარა! (ყველანი გადიან).

### 9-რე სანახაში.

(მინდორში დიდი კარავი. კარავში დგას საწოლი; ზედა ზის ფერწასული და დაფიქრებული მეირიმა; შემოდის შერიფა.)

შერიფა. არა, აქედამ აღარსად მივდივართ. მადრებს ამდამ აქ უნდათ დგომა.

მეირიმა. წადი, შემიტყე, რა ადგილას ვართ?

შერიფა. ეხლავე. (მიდის კარებთან.)

მეირიმა. არა, მოიცა! საჭირო არ არის! აქედამ ნულარ გავკალ. აქ იჯექი!

შერიფა. იქნება კაბის გავდა გინდა? გიშველო?

მეირიმა. ჭო... რატომ... არა, თავი დამანებე, მე თვითონ გავიხდი. ოჰ!... ეს ფარდა ჩამოიღე კარებიდან. ამ კარავში სული მიგუბს; რა სიცხეს!

შერიფა. რას ამბობ, სიცხე გი არა, ძალიანა ცივა.

მეირიმა. კმარა, კმარა, ჩამოუშვი ფარდა; ამ დამის სიბნელეს ვერ ავიტან!

შერიფა. ღმერთსა ვუთხრა, შეიძინა, შენი მსურველი ღამის  
 შიშმა წამიღოს! მაგ უფოთ შენ ჯერ არ მინასკინსა.  
 შენი ძნა გადგება-რა. რასაც ერთხელ ისურვე, ერთს  
 წამს შეძლებ ატარებინდა! რა დაგეძრათ, შეიძინა?

მეირიმა. ხომ გვიან არის ესა, არა? ხომ გვიან არის? მსურ-  
 ვები ვასმამს მალე გაათავებენ?

შერიფა. ძეგონა, მალე გაათავონ. ცოტა გამხიარულდი, რომ  
 ქმარმა აგრე მოწყენილი არა გნახოს; ცოტა გამოიდა-  
 რე, რომ მთელის შენის მშვენიერებით ვჩვენო შენს  
 ქმარსა.

მეირიმა. ჩემს ქმარსა? რა სთქვი? რაგორ იქნება? რიგი არ  
 არის. ჩვენ გზაზედა ვართ. მე არა მსურს მეთქი! გეს-  
 მის თუ არა? არ მინდა მეთქი! შენ თუკ აქა ხარ? წადი  
 და ასე უთხარი ჩემ მსვირარე...

შერიფა. მაგას მე ვერ გავუბედავ.

მეირიმა. (სიჩქარით ადგება) მამა-ჩემო სად არის? მამა-ჩემს და-  
 მიძახე აქა, მამა-ჩემს!

შერიფა. მამა მსურებთან არის. იქ მე ეხლა შესვლას ვერ გავ-  
 ჭებედავ!

მეირიმა. ოჰ, შენც იმათგენა ხარ? შენცა!... შე საძაგელო,  
 ვადი აქედამ. (ძალად გააგდებს).

### 10-თე სანახაში.

მეირიმა. (მარტო) უფანი ჯერ არა ჩანს, არა! მეტი ღოდინი  
 აღარ შემიძლიან. მალე ან გული გამეზვის, ან ჭკუილამ  
 შევიძლები... ოჰ, რა ტანჯვას ეს ჩემი ტანჯვა!... ოჰ,

დედავ, დედავ, ნეტავი არ გეშობნე! (გაჩერდება და უერს უგდებს) ვერ არა ჩანს, არა! მითამ კი მოვა? ყველაფერზედ ეჭვი მქვს. ნუ თუ მამა-ჩემიც მაყრებთან არის? ისიც რომ იმათში მოჭყვეს და მომიკლან!.. მამა, მშობელი მამა მომიკლან! ოჲ, თავის დღეშიაც არა. ჭაიდუგების შუა ჩავდგები და იმის მაგიერ ჩემს გულს მიკუშვერ ტყვიასა. არა, მინამ მე არ მომიკვლეს, მამა-ჩემს ხელს ვერ ასლებენ. (კიდევ უგდებს უერს) ოჲ!.. მთი-დამ რაღაც ხმაურობა ისმის... ამ დამეში რამდენჯერ მოგუტუეობივარ ხმაურობას! გული საშინლად მიტემს, ცოტა რამ რომ სადმე გაინხმუროს, მოკნება ის არის, ის!.. მაგრამ ბოლოს კი არავინა ჩანს!.. გახა შოვა კი! აქამდის თუ არ მოვიდა, აღარც მოვა. ოჲ, ის მოხდა, რის შიშიცა მქონდა. იქნება მიცადა, მიცადა და ბოლოს რომ ვეღარ მოგვდით, დაეკარგა იმედი, საფარს მიახება თავი და წავიდა, (ამ ფიქრით გაჩერდება, შუბლზე ხელს დაირტყამს და საშინელით ზარდაცემით იტყვის) იქნება მიღალატა კიდევ, ვინ იცის! განა არ შეიძლება? რატომ ვითომდა? მინამ ციხეში იჯდა, ეშინოდა, ესლა რომ თავისუფალია, რიღას შიში ექნება! რა დაუშდის რომ ჩემზედ ხელი აიღოს! ოჲ, რა ჯოჯოხეთური ფიქრია! ნუ თუ ეს შეიძლება? დიერთო, ნუ თუ შენ თვითონ არ შეაჩვენებ საშინელის შეჩვენებითა?.. ოჲ, რა ფიქრები მომდის თავში! არა, არა, შეუძლებელია, რომ ყივანმა აგრე გამომიძეტოს, აგრე მიღალატოს! შეუძლებელია, შეუძლებელი! (საწოლზე დაჯდება და თავს ხელებზე დაიურდობებს). სისხლი თავში ამივარდა. აი მდიდარი სამკაული, აი მკირფასი თვლები? რად მინდანან! შორს ჩემგან, შორს!

თქვენ ჩემთვის მეძვის ეკლები ხართ. წყეუდიმც იუოს ხელი, რომელმაც გუშინ ასე მომერთო. (თოფის ხმა) ეს რა ამბავია! ესლა გი სწორედ თოფის ხმა იუო. აგერ მეორედ, მესამედ... (სწრაფად წამოხტება და ხელებს ცისაკენ გაიწვდის) ვაიძე!... წყეული მასრები ისკრიან სადღეგრძელობის სმასედ. (რამდენსამე ხანს გაჩერებულა, მერე ისევ სიარულს მოჰყვება) ღზინს მოჩნენ. ეს ჩემი უგანსკნელი საათია. ყივანის მაგიერ აქ საცაა ოსმანი შემოვა. ანა, ცოცხალს ის გერ მომეკარება. მეკვართან გაატარებს ღამეს. (უბიძამ პაწია მინას ამოიღებს, ფენის ხმა მოესმის, გაჩერდება და ყურს უგდებს) დიად, ის მოდის, ის! აგერ შედგა... ყურს უგდებს... ჭოი საწამლავო, სხვისთვის ზანდამცემო და ჩემთვის კი ნეკტარზედ უფრო ტკბილო! ნუ დაიშურებ ჩემთვის შესს სამაკედინო ძალას. (სვამს და მაშინვე შეძრწუნდება, მინას გადისგრის, მარჯვენა ხელს გულზედ დაიდებს, ღრმად ამოიოხრებს, მერე უბლზედ ხელს გადივლებს) ციკი ოფლი დამასხა. ანაფერი, ანაფერი! ყოკელივე ტანჯვა ამით გამითავდება. ესლა თუ უნდა მოხმანდეს! (ღდება სარეცელზედ.)

## 11-ტე სანახაში.

მსმან და მეირიმა.

მსმან. (დიდ ხანს შეჰყურებს) ჭოი ქალო აღის-ფაშისაკ! რასაც შენზედ ამბობენ, მართალი ყოფილა: შენ სამოთხის ოფრიასზედ უფრო უემშენიერესი ჭყოფილხარ. მაგრამ რა

ქნია შენი ელეერი? ტუხები რად გაგლურჯებია ეგრე! მეირიმა, იქნება სწუხარ, რომ მამი-შენის სახლს შორ- დები. ხემს სახლში მალე დაგაკვიწებ მამი-შენის სახლსა. იქ ისე გაცხორებ, როგორც დედოფალს. ასი მოახლე თავს გადგება, რომ შენი მცირედი სურვილი ავისრულან; დედა-ჩემი ყოველ-დღე მოგმართამს ოქროთი და თვალ- მარგალიტით. მე გაგანებიერებ, გილოლოებ, შემოგსა- რებ ისე, როგორც ხემს ორს თვალს. (გვერდით მოუქდება)

მეირიმა. ნულარს იტყვი, ბეგო? რამდენსა მე ხანს თავი დამა- ნებე, გეხვეწები.

მსმან. თავი დამ მიშორებ, მაგდებ აქედამ!? აგრე რადა ჭიან- კალებ? ხელები გაცტიებია. (ადგება) აი ძვირფასი თვლე- ბი აქედ-იქით გადაგიყრინ. რად ავიხსნია ეს სამკაული? ეს რას ნიშნავს?

მეირიმა. იმას ნიშნავს, რომ მამიძებდენ, მეც ავიდე და გად- ვისრულე.

მსმან. მე შენი არა შესმის-რა.

მეირიმა. ბეგო, განა კუბოში საჭირთა ძვირფასი თვლები?

მსმან. კუბოში?

მეირიმა. დიად, შენი საცოლო შირკელს და უკანასკნელს და- მეს კუბოში დაიძინებს.

მსმან. შენ ან ხუმრობ, ან შენად არა ხარ...

მეირიმა. ოჰ! ვხუმრობ! მაგრამ ეს საშინელი ხუმრობა იქნე- ბა. მეტი არ შემძლიან. (საწოლზე დაწვება).

მსმან. რა გეძრთება. მეირიმა? (თოფის ხმა; მერე მეორე, მესამე, მეოთხე. მეირიმა თავს აიწევს),

მეირიმა. თოფს კინ ისვრის?

ოსმან. მათლები შეეჭვებიან. (თოფის ხმის ძლიერდება, ისმის დიდი ძახილი და კიჟინა).

მეირიმა. გესმის!.. ეს ყვირილი მსიარულებისა არ არის!

ოსმან. მაშ რა უნდა იყოს?

მეირიმა. (მარცხენა ხელზე დაყრდობილია და მარჯვენას კარებისაკენ გაიშვერს) უური დაუგდე! უური!

ოსმან. (მირბის კარებთან) მაჭმადის მადლსა ვიფიცავ!

მეირიმა. (ადგება) ეს მათლები არ არიან, არა, არა.

პირველი ხმა. ოსმან, მისად იყავი!

მეორე ხმა. ნუ გძინავს ოსმან; ჭაიდუკები მოგვიბტენენ. ადექ ჩქარა, მატარძალს უშველე.

მეირიმა. (საწოლზე დაეცემა)

ოსმან. ნუ გეძინიან, შენ აქ იყავი და იმათ მალე გაგუძლევ-  
ბით.

## 12-ტე სანახაში.

მეირიმა. (გავიუხუხუსავით დარბის კარავში) მიშველეთ, მიშვე-  
ლეთ! ვინა ხართ, მიშველეთ!.. ყივანი მოვიდა, და მე  
გი სწამლავი დავლიე!.. ოჰ! სატანა, ეს შენი სჯამა, შე-  
ნი! ოხ, ოხ, ოხ! სწამლავმა ღამის გულ-ღვიძლი და-  
მიფუფქოს... ვინა ხართ? სადა ხარ, შერიფა, შერიფა!  
ჩქარა, ჩქარა, ღვთის გულისათვის მომეშველენით! არავინ  
მოდის, არავინ! რადა ვქნა ესლა! რაგორ მოვიჩინო  
თავი!.. რაგორ, რაგორ, რითი?.. რა წამალი დავლიე?  
არ ვიცი. ჭკუა და გონება მეტყვა... მამაკ, მამაკ, შენ  
მანც მიშველე. რატომ არა მიშველი? ვაი უბედურო მშო-



ბელო, იქნებან ესლან სიჩანჯვანი ეტთად გუელში უაქეს ჩარტმუნის დაესენით, დაესენით!.. მამა-ჩემი, მამა!.. (მივა კარებთან, მაგრამ წაიბარბაცებს და კარვის პალოს მიებრძინება) ოჰ! გული მეწვის და მედაგვის... (მიღის სარეცელთან) რაღაც მძიმე სული ეტანება ჩემს გულსა... სიკვდილის სულია, სიკვდილისა! სიტყვსდე, დემეტო, სიტყვსდე დამიბრუნე! კაიძე, ყველაფერი ამოა, ჩემთვის... ყველები (მუნღობზე დაეცემა.)

13-ტე სანახაში.

(აღი-ფაშა ნმალ-ამოღებული, მეირიმა წევს, მერე შემოდის ჟივანი, ესეც ნმალ-ამოღებული, პოლოს ნოვო, ვლახუშა და ბეგრ სხვა.)

აღი-ფაშა. მხევენები ყველა დაისრცნენ. მე რისღა დამჩენია, რომ ჩემს შუღლთან დავლიო სუელი, ესლანაქ არის ჩემი ადგილი!

მეირიმა. (თავს აიწევს) ვინა სარ?... ოჰ!.. მამა, გაეჭეტ, გაეჭეტ!.. ნეტა არ დამენახე; შენი დანასვა ისე მძიმის ესლა, როგორც ცილამ წამოსულის მესისა. ჩვენა წადი საბოძე, გაეჭეტ!

აღი-ფაშა. კედარსად გაეჭეტეო. ესლა, მხელსასცოდავო შვილად, ურთად უნდა დავიხრცნეთ; მინამ კიდევ ბიწში სული მიდგა, მოდი ერთი გულს მიგიკრავ, მოგეხვიო. შეუნდე მამა-შენს, რომ თვითონა ყვდება და შენც მიგცა სიკვდილსა, იმიტომ-რომ უმაჯისოდ შენს ნამუსს ვერ დაიფარავდა.

მეირიმა. ოჰ, ოჰ, ნუ მომესკვები, ნუ! დამწყველე, შემაჩვენე,  
მომკალ, შენივე ხელით გულს ხანჯალი დაძეცი.

შივან. (შემოდის) სად არის, სად?

ალი-ფაშა. ჟივან!

შივან. ალი-ფაშა!

ალი-ფაშა. შენ ცოცხალი ხარ!..

შივან. შენ აქა ხარ?

ალი-ფაშა. მინამ ცოცხალი ვარ, შენ ჩემს ქალთან კერ მი-  
გიშვებ.

მეირიმა. ჟივან, გეკედრები, ხელს ნუ ახლებ მამა-ჩემს! შენ-  
თვის ჩამიბარებია მამა-ჩემი!

შივან. მოხუცო! შენ გადამიწყვიტე მე სიკვდილით დასჯა;  
მეც არ უნდა დამეზოგე, მაგრამ რა კი? მეირიმა მთხოვს,  
შენ ნულაჩაფრის ფიქრი გაქვს. ამ კარაკ ჭკეშ-შენ ისე  
იქნები, როგორც შენს სახლში.

ალი-ფაშა. მე არ ვიჩუქებ შენგან სიცოცხლესა, მე მინდა ჩე-  
მი სისხლი აქ დავაქციო და მით დავიხსნა შეგინებისა-  
გან ნამუსი ჩემის შვილისა.

მეირიმა. რაზედღა მოგდით ღაპარაკი. მე ესლას ცოცხლებში  
აღარ ვუჩუქებარ... მე საწამლავი დაუღიე და მოკრჩი გი-  
დეც.

შივან და ალი-ფაშა. საწამლავიო! (ორივენი გაჩერდებიან გაშე-  
შებულნი. ალი-ფაშა უნებლიეთ ხმაღს გაავდებს ხელიდამ; ჟივან  
გონზე მოვა, დაუფიქრებს შეიარაღებულ ხალხს, რომელნიც კა-  
რავში შემოდინ.)

შივან. მიშველეთ რამე, ძმებო! საწამლავი დაუღივია. ვინც  
მომიჩინებს, ყველაფერს მივცემ, რაც კი მახადია; სულს-  
მიუყიდი, სულს, ოღონდ მომიჩინეთ!

მეირიმა. (ნელა და სიძნელით) ესღა გვიანდაა! მე სულთ მებრძვის!... მამაკ, შეძინდე!.. ყივან, ჭხეღამ მე სიტყვა მტკიცედ შეგინახე. შენ ხომ იცი, რასაც ვამბობ... შენ უჩემოდან მიხედები, რა გაჭირებს დამადგა რომ საწამლავი დაკლიე. ნულარას მათქმევენებ ჭ ამ მოხუცს მწარე ცრემლს ნუ დააღვრევენებ. გაუფთხილდი, ისე როგორც საკუთარს მამას და ხან-და-ხან მოიგონებდე ხოლმე შენს უბედურს მეირიმას. (შემოდის ნოვკო და ვლახუშა რამდენიმე ხალხით)

ალი-ფაშა. მოკვდა, მოკვდა!

შივან. (თავის მოკვლა უნდა) მეც მაგასთან ერთად!

ნოვკო. (ხელსა სტაცებს) გაჩერდი! უბედურო!

შივან. (უნდა გაშორდეს) გამიშვით!

ნოვკო. (ყივანი უჭირავს) ხანჯალი წაართვით! გაიყვანეთ გარედ! (ყივანს რამდენიმე კაცი სტაცებს ხელსა და ძალად გაიყვანენ. ნოვკო ეუბნება ალი-ფაშას) ფაშაკ, ვგძმნობ შენს უბედურებას და...

ალი-ფაშა. მე ვგძმნობ, რომ სიტყვისლის მათვი ჩემი წუდება. აქ დამტოვე მე... მე... მე მიხდა ჩემის შვილის გვერდით დავლიო სული. (კარავს გარედ ყვირილით).

ნოვკო. ეს რა ყვირილია?

მართი. თითქო მთელი ჯარი მოვიდაო.

ნოვკო. წადი, იაქშა, ნახე რა ამბავია.

ბევრნი. (კარავს იქით) გაუძარჯლოს, გაუძარჯლოს!

იაქშა. პეტრო არამბაშა თავის ჯარით მოსულა! (ნოვკო მივა კარებთან; ამ დროს კარებში არამბაშა გამოჩნდება).

## (14-ე) სანახაში

არამბაშა, ჩოგინი და სხვა მრავალნი.

ნოეკო. ზუტკო! (გარდაეხვეიან).

მრავალნი. გაუძარჯოს, გაუძარჯოს!

არამბაშა. გაუძარჯოს, სამშობლოს და მის თავისუფლებას! მთვიდა დღე წმინდისა აღდგომისა და ცაზედ გაქრს ოს-მალაების მთვარე. ზოსავინა, ძველი ვლასი, ზოდრინიე, — ყოველივე ეს თევზედან დგას შეიარაღებული. მე აქედ მოძავალი შეეშთხვიე კეზირას ჯარს და დავაძარცხე, ეს-ლა ვისოკოდაძე სულ გავრეკამთ ოსმალაებს.

ნოეკო. ვისოკო, ჩვენს ხელშია კიდევ.

არამბაშა. რადის აქედ?

ნოეკო. გუშინ საღამოს.

ალი-ფაშა. ეს რა მესმის! ვისოკო ამით ხელშია და კეზირიც დაუძარცხებინათ.

არამბაშა. ჩვენთან წრის ღმერთთ ყოველგან კურთხეულ იყოს სახელად ამის!

ნოეკო. ესე კარგად რომ დაგვეყურა საქმე, კრთი კარგი პი-რობაც დავდვით: ჩვენ დიდ ძალი დონე გვინდა, დიდ-ძალი მოწილება, ერთგულება, კაცთ-მოყვარება, სამარ-თლიანი ქცევა თვითვეულის კაცის მიძარცვით.

შველანი. მართალა, მართალა.

ნოეკო. მამ ღვთის სახელით შემოძვიცეთ, რომ ყველანი ბრძად დაემოწილებით თქვენს უფროსებს.

შველანი. (ქედებს იხდიან) ვიბრძავთ.

ნოეკო. თქვენი ფიცი წყევლად გადაქცეს მას, ვინც ამ აღ-  
თქმას გადავა.

შველანი. ამინ! ამინ! (ქუდებს იხურვენ).

ნოეკო. კიდევ ერთი რამ მაქვს სათქმელი. ომბ განთავისუფ-  
ლებისათვის—წმინდას წმინდათა და აწ უნდა იქმნას შე-  
გინებულ მტაცებლობითა და ავ-კაცობითა. ამიტომაც ეს-  
წავე სასჯელი დასდეთ იმათთვის, ვინც სხვისას ხელი  
მოჭყიდოს.

შველანი. მაგისტანები შენ თვითონ დასაჯე, როგორც ვინ-  
მის დიდეს.

ნოეკო. აბა ესაა ვართ ჩვენ ერთი ღირსი თავისუფლებისა;  
მოდიოთ აქ, ძმანო, გუელს მივიკრათ და გადავკოტუნოთ  
(ეხვევიან ერთმანერთს)

პლი-ფაშა. ძველი ქვეყანა ინგრეობ და ჩანგრევენდამ გამოდის.  
ახალი, ამ ახალში ჩემთვის დადგილი არ არის. ძველის  
ჩანგრევეს ქვეშ მოკვებები მეც ჩემ შეილთან ერთად. (ხან-  
ჯალს აიღებს დედა-მიწიდან და ჩოტემს გულში).

მართი. თავი მოიკლავ.

ნოეკო. საცოდავო!

მეორე. ისე მოიქცე, როგორც ჭეშმარიტი ოსმალი.

პრამბაშა. გამარჯვება ჩვენ და ყველა ქრისტიანს.

შველანი. გაუმარჯოს, გაუმარჯოს!

პრამბაშა. გაუმარჯოს გაკრთებულს ექს. სერბიასს.

შველანი. გაუმარჯოს, გაუმარჯოს!

პრამბაშა. გაუმარჯოს სერბიის თავისუფლებასაც.

შველანი. გაუმარჯოს, გაუმარჯოს!... (უვირილია და მხიარულქ-  
ბის თოდის სროლა. ამ ყოფაში ფარდა დაეშვება.)

ბ. შათიანი.

## განმარტებითი წერილი

სწავლების პლანისა, რომელიც მიღებულ უნდა იქმნას სამეურ-  
ნო სკოლაში ს. წინამძღვრიანთ კარს \*).

სწავლების პლანი ჩვენის სამეურნო სასწავლებლისა სამს-  
საგანში განსხვავდება იმ სწავლების პლანისაგან ჰარკველ-დაწ-  
ყებით სასწავლებლებში, რომელიც ჩვენს ქვეყანაში რეალობა-  
რად მიღებულია. ეს ცვლილებანი საჭიროდ დავინახეთ იმი-  
ტომ, რომ უძირდად ჩვენი სასწავლებელი კერძო მიაღწევდა თა-  
ვის დანიშნულებას და სრულადად უნაყოფოდ ჩაივლიდა.

\*) დიდი ბაასი იყო ატყეხილი ჩვენს ლიტერატურაში პირველ-  
დაწყებით სასწავლებლების შესახებ, მაგრამ ჯერ-ჯერობით გადაწყვე-  
ტილს გზას არ დასდგომიან. ამიტომ საჭიროდ დავინახეთ ამ წერილის  
დაბეჭდვა, რადგან ეს წერილი, თუმცა განსაკუთრებით შეეხება იმ სა-  
მეურნო სასწავლებლის პროგრამას, რომელიც ფუძნდება ს. წინამ-  
ძღვრიანთ კარს ბ. ი. წინამძღვრიულის ღვაწლით და თავოსნობით,  
მაგრამ ამ წერილის აზრები და საბუთები საზოგადოდ საჭურადლებოდ  
მისაღებია. მართალია «ივერიის» რედაქცია იმ აზრისაა, რომ ერთ-კლას-  
იან სასოფლო სკოლებში, სადაც ბავშვები სამს ან ოთხს წელიწადს  
რჩებიან, რუსულის ენის სწავლება უნაყოფო იქნება და ამ ენის სწავ-  
ლება მხოლოდ იმისთანა სასწავლებლებში მოხერხდება, სადაც სწავლა  
ექვსს წელიწადს მანც გრძელდება, მაგრამ, «განმარტების წერილ-  
ში» გამოთქმული აზრები მანც გაჰყვანტავს იმ ბინდ-ბუნდს, რომელ-  
შიაც ჯერ კიდევ მოცულია ეს მძიმე და საჭირო საგანი. რედ.

პირველი ცვლილება შეეხება იმას — რამდენი ხანი უნდა გაგრძელდეს პირველ-დაწვებითი სწავლა, რომელიც წინ უნდა მიუძღოდეს სამეურნო საგნების განსაკუთრებულს შესწავლას. თუმცა ობიექტურს სწავლების პლანს სამი წელიწადი აქვს დანიშნული ამ პირველ-დაწვებით სწავლისათვის, მაგრამ ჩვენ მივიღეთ ოთხი წელიწადი და აი რისთვის:

1) უკვლავ ევროპულ პედაგოგებს და მმართველობათ უცნობიათ რომ ოთხი წელიწადი მანაც აუცილებლად საჭიროა პირველ-დაწვებით სწავლისათვის, და ესაა ალბათ არის იმისთანავე შესიერად მომართული პირველ-დაწვებითი სასწავლებელი, სადაც სწავლა ოთხს წელიწადზედ ნაკლებ იყო. იმ ევროპულ სასკოლოწიგებში კი, რომლებშიაც ზოგან უცხო ტომით დასახლებული თემებია და სახალხო სკოლებში დედა-ენას გარდა მთელს სასკოლოწიგში მიღებულს ენასაც ასწავლიან, სწავლა კიდევ უფრო დიდ ხანსა სწევს. მაგალითად, ავსტრიის იმპერიაში პირველ-დაწვებით სკოლებში სწავლის კურსი ექვსი წელიწადი გრძელდება და ეს ხანი საჭიროდ ცნობილია თვით კლერიკალებისაგან, რომელნიც მტრულის თვალთ უცქერდნან სახალხო განათლების რიგინად წინ-წაუვანას. შლეზვიგისა და ბელგიის ორ-ენიან სასწავლებლებში სწავლება აგრეთვე ხუთს-ექვსს წელიწადსა სწევს \*).

2) თვით ვაკანაიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი გვაუწყებს — გამოცდილებამ დაგვიძვირებინა, რომ რუსულს სახალხო სკოლაში სამსა და ოთხს წელიწადსაც ძლივსა სწავ-

\*) ნახე, სხვათა შორის, ანგარიში უცხო-თემელებისა და რუსულს სამასწავლებლო სემინერიოზზედ, შედგენილი გორის სამასწავლებლო სემინერიის დირექტორის სემიონოვსაგან და დაბეჭდილი ვაკანაიის სამოსწავლო ოლქის ცირკულიარში 1881 წ. № 6.

ლობენ ბავშვები წყრას, ჭითხვას, წრითმეტეკის ოთხს წესს და პირველს ცნობებს საძვეთო წერილიდან; ჩვენს სკოლაში ამ საგნებს ემატება აგრეთვე რუსული ენა, რომელიც ქართულიდან უცნაო ქართველ ბავშვებისათვის, ამნელებს, მეტად სწავლას და აუცილებლად საჭიროდა ჰქნდის—სწავლის კურსის გადიდების ერთის წლით მანცხილად.

3) ვაკვასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ სასოგადოებებს ჩვენამ იცნა საჭიროდ ოთხის წლის კურსი თავის სკოლებში და საქმემ უჩვენა, რომ თუ სწავლა ამასევე ნაკლებს ხანს ყოფილიყო, მისი სკოლები ნაყოფს ვერაფერს მოიტანდნენ, თუცა სხვათაგან კარგად მოწყობილნი არიან.

4) როდესაც ახლად დაარსებული წერა-კითხვის გამავრცელებელი სასოგადოება ქართველთა შორის აიფუძნებდა პირველდაწყებითს სასწავლებლებს თბილისში და ბათუმში, იმან მიიღო აგრეთვე ოთხის წლის კურსი, რადგან მის აზრით პირველის სწავლის გარდაცემა ქართველ ბავშვებისადმი ოთხს წელიწადზედ ნაკლებს ხანში არ მოხერხდება.

5) მასწავლებლთა ორმა კრებამ თბილისში და ქუთაისში ერთ-ხმად გადასწყვიტა: თუ გვინდა რომ სასოფლო სკოლებმა ნაყოფი მოიტანონ რამე, სწავლა მათში ოთხს წელიწადზედ ნაკლებ არ უნდა გაგრძელდეს.

ესრედ, ევროპის მაგალითმა, რუსულის პირველდაწყებითის სკოლის გამორცდილებამ და აქაურ სწავლა-განათლების გამგეობათა გადაწყვეტილებამ დაგვარწმუნა, რომ ოთხის წლის კურსი მანც აუცილებლად უნდა იქმნას მიღებული პირველდაწყებითს სასწავლებლებში.

მეორე ცვლილება ჩვენს სწავლების პლანში არის შემდეგი: სწავლა მთელის ექვსის წლის კურსის განმავლობაში უნ-



და იყოს ქართულს ენაზედ, რადგან ეს ენა არის დედა-ენა იმ საგურამოს ხეობის ბავშვებისათვის, სადაც ტყუილდება ჩვენი სკოლა. ეს ჩვენი განზრახვა იმაზედ არის დამყარებული, რომ შეველა პედაგოგებმა იცნეს სწავლისა და აღზრდისათვის მადალი მნიშვნელობა. დედა-ენისა, აი რა გრძობიერ სიტყვებითა ჭნატავს დედა-ენის მნიშვნელობას უშინსკი, თვით მკაპირ-და-პირეთაგან დიდ რუსის პედაგოგად ცნობილი.

(ეს ადგილი ისეთი დიკს-შესანიშნავია და უოკელს სიტყვას ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ჭერ რუსულად ამოკწერთ მას და შეძლებ ქართულადაც ვთარგმნით.)

«Языкъ народа—лучшій, никогда неувядающій и вѣчно вновь распускающійся цвѣтъ всей его духовной жизни, начинающійся далеко за границами исторіи. Въ языкѣ одухотворяется весь народъ и вся его родина; въ немъ претворяется творческою силою народнаго духа въ мысль, картину и звукъ небо отчизны, ея воздухъ, ея физическія явленія, ея климатъ, ея поля, горы и долины, ея лѣса и рѣки, ея бури и грозы,—весь тотъ глубокій, полный мысли и чувства голосъ родной природы, который говоритъ такъ громко въ любви человѣка къ его иногда суровой родинѣ, который высказывается такъ ясно въ родной пѣснѣ, въ родныхъ напѣвахъ, въ устахъ народныхъ поэтовъ. Но въ свѣтлыхъ, прозрачныхъ глубинахъ народнаго языка отражается не одна природа родной страны, но и вся исторія духовной жизни народа. Поколѣнія народа проходятъ одно за другимъ, но результаты жизни каждаго поколѣнія остаются въ языкѣ—въ наслѣдіе потомкамъ. Въ сокровищницу родного слова складываетъ одно поколѣніе за другимъ плоды глубокихъ сердечныхъ движеній, плоды историческихъ событій, вѣрованія, возрѣнія, слѣды прожитаго горя и прожитой радости,—словомъ весь слѣдъ своей дѣ-

ховной жизни народъ бережно сохраняетъ въ родномъ словѣ. Языкъ есть самая живая, самая обильная и прочная связь, соединяющая отжившія, живущія и будущія поколѣнія народа въ одно великое историческое живое цѣлое. Онъ не только выражаетъ жизненность народа, но есть именно самая эта жизнь. Когда исчезаетъ народный языкъ, народа нѣтъ болѣе. Пока живъ языкъ народа въ устахъ народныхъ, до тѣхъ поръ живъ и народъ. *И нѣтъ насилія болѣе невыносимаго, какъ то, которое желаетъ отнять у народа наследство, созданное безчисленными поколѣніями его отжившихъ предковъ. Отнимите у народа все, и онъ все можетъ воротить; но отнимите языкъ, и онъ никогда болѣе уже не создастъ его; новую родину даже можетъ создать народъ, но языка никогда,— вымеръ языкъ въ устахъ народа, вымеръ и народъ. Но если человѣческая душа содрогается передъ убійствомъ одного не доловѣчнаго чело-вѣка, то что же должна бы чувствовать она, посягая на жизнь многовѣковой исторической личности народа—это-го величайшаго изъ всѣхъ созданій Божіихъ на землѣ?...* Являясь такимъ образомъ полнѣйшею и вѣрнѣйшею лѣтописью всей духовной, многовѣковой жизни народа, языкъ въ то же время является величайшимъ народнымъ наставникомъ... Усвоивая родной языкъ, каждое новое поколѣніе усвоиваетъ въ то же время плоды мысли и чувства тысячи предшествовавшихъ ему поколѣній, давно уже истлѣвшихъ въ родной землѣ. Все, что видѣли, все, что испытали, все, что перечувствовали и передумали эти безчисленные поколѣнія предковъ, передается легко и безъ труда ребенку, открывшему глаза на міръ Божій, и дитя, выучившись родному языку, вступаетъ въ жизнь съ необъятными силами. Не условнымъ звукамъ только учится ребенокъ, изучая родной языкъ, но пьетъ духовную жизнь и силу изъ родной груди родного слова. Оно объясняетъ ему природу, какъ

не могъ бы объяснить ее ни одинъ естествоиспытатель; оно знакомитъ его съ характеромъ окружающихъ его людей, съ обществомъ, среди котораго онъ живетъ, съ его исторією и его стремленіями, какъ не могъ бы познакомить его ни одинъ историкъ; оно вводитъ его въ народныя вѣрованія, въ народную поэзію, какъ не могъ бы ввести ни одинъ эстетикъ; оно наконецъ даетъ такія логическія понятія и философскія воззрѣнія, которыхъ не могъ бы сообщить ребенку ни одинъ философъ. (Ушинскій. Собр. педагог. соч. стр. 201—203).

(ქართულად:)

«ენა ხალხისა არის საუკეთესო, დაუმტკუნარი და ყოველ-  
თვის ახლად გაფურჩქნაილი ყვავილი იმის სულიერის ცხოვ-  
რებისა, რომელიც იწყობა შორს, ისტორიის სამზღვანს იქით.  
ენაშია შთაბერილი სული მთელის ხალხისა და მთელის იმის  
დედა-ქვეუნიას. ხალხის სულიერ შემოქმედობის ძალით ენა გა-  
ნახორციელებს და შექმნის აზრად, სურათად და ხმად სამ-  
შობლოს ცასა, იმის ჭკეცს, იმის ზეციურ მოკვლენათ, იმის  
ჭკვას, იმის მინდვრებს, იმის მთა-ღელეს, იმის ტყესა და მდი-  
ნარებს, იმის ქარიშხალს და ელვა-ტექვას, — ყოველს იმ აზ-  
რითა და გრძნობით საკეს ხმას დედა-ბუნებისას, რომელიც  
ისე აშკარად მოსჩანს კაცის სიუვარულში მის ხანდისხან მკაც-  
რის სამშობლოსადმი, რომელიც ისე ცხადად გამოითქმება  
მშობლიურს სიმღერაში, მშობლიურს კილოში, ხალხის პოე-  
ტების ენით. მაგრამ ხალხის ენის ნათელსა და გამტკვირვალე  
სიღრმეში მოსჩანს აწა მარტო. დედა-ქვეუნიის ბუნება, არამედ  
სრული ისტორია ხალხის სულიერ ცხოვრებისა. ჩამომავლობა  
მისდევს ჩამომავლობას, მაგრამ ყოველ მათგანის ცხოვრების  
ნაყოფი გამოიხატება ენაში შემდეგს თაობათა სამკვიდროდ.  
ჩამომავლობა ჩამომავლობაზედ აგროვებს დედა-ენის სალაროში

ღრმად გრძნობათა ნაყოფს, ნაყოფს ისტორიულ მოვლენათა, მათ-  
 სარწმუნოებს, გამომსატკელოებას; სტოკებს კვალს გამოკლი-  
 მწუნებაებისა ჭსინთისა, — ერთის სიტყვით თავის სულიერ-  
 ცხოვრების ნაყოფს ერი მოწიწებით ინსახავს დედა-ენაში. ენა არის-  
 ცხოველი, მკვიდრი კავშირი, რომელიც ერთობის სულს უღ-  
 გამს ყოფილს, აწმყოს და მომავალს თაობას ერისას. ის არა  
 თუ ხალხის სიცოცხლის გამომსატკელოა, — ის არის თვით  
 სიცოცხლე. როცა ხალხი ენა ჭკრება, — ჭკრება ხალხიც. ვიდ-  
 რე ენა ცოცხალია და ხალხი იმასევე ლაპარაკობს, — ხალხიც  
 ცოცხალია; და იმისთანა აუტანელი ძალადობა არა იქნება-რა,  
 რომ წაართვა ხალხს საძველრო, შექმნილი და დატოვებული-  
 აურციხველი უწინდელ თაობათაგან. წაართვით ხალხს ყოველ-  
 ლისივერი — და ის ყოველისივერის დაბრუნებას შეიძლებს; მაგ-  
 რამ, თუ ენა წაართვით, — ის თავის დღეში ეკლავ შექმნის მას;  
 ახალს სამშობლოს კიდევ შექმნის ხალხი, მაგრამ ენას კი ვე-  
 ღარ; მოკვდა ხალხის ენა და მოკვდა ხალხიც! და თუ ვაცს  
 აძრწუნებს ერთის ადამიანის მოკვლას, რომელს უმიხილავს დი-  
 დი დღე არა აქვს, — რა უნდა ვიგრძნოთ მასში, როდესაც ვუ-  
 პირებთ მოკვლას მრავალს საუკუნე გამოკლილს და ისტორიულს  
 პირს — ხალხს, ამ დიდებულს ღვთის ქმნილებას?... ენა არის  
 სრული და სარწმუნო მატთანუ ხალხის სულიერ და მრავალ-  
 საუკუნე — გაკლილ ცხოვრებისა და იგივე უდიდესი ხალხის  
 მოძღვარი. ბავშვი ითვინებს დედა-ენას ჭ მასთან ერთად ითვი-  
 სებს აზრისა და გრძნობის ნაყოფს ახისა და ათასის განკლილ  
 თაობისას, რომელნიც ღიღი ხანია, რაც განსწწნილან დედა-  
 მიწაში. ბავშვი აკვირდება ქვეყნიერებას და ყოველივე ნახული,  
 ნაცადი, ნაგრძნობი და ნათქვამი იმ აურციხველ ჩამომავლობა-  
 თა გარდაცემს მას ადვილად, უშრომლად, და როცა სწავლობს

იგი დედა-ენას, შუადის ცხოვრებაში უძლეველის ძალით შე-  
 ტურვილი. ბავშვი არა სწავლობს დედა-ენას, როგორც უბრა-  
 ლო ნიშნებს და ზიტყვებს, — ის სწავს სულიერს ცხოვრებას  
 დედა-ენის მკვებაჲ მუშუდამ. იგი უმარტებს მას ბუნებას ისე,  
 როგორც კერც ერთ ბუნებას, მეცნიერი ვერ განუმარტებდა,  
 იგი აცნობებს მას ადამიანთ ჩასაიას, საღვსსა, საზოგადოებას,  
 მის ისტორიას, მის ლტოლვილებას ისე, როგორც კერც ერ-  
 თი ისტორიკოსი ვერ განცნობდა; იგი უხსნის მას ხალხის  
 რწმენას და მის პოეზიას ისე, როგორც კერც ერთი ესტე-  
 ტიკოსი ვერ აუხსნიდა; იგი ისეთს ნათელსა ჭებენ მის მსჯე-  
 ლობასა და ძილარსოფიურ შესედულობას, როგორცა ვერც  
 ერთი ფილარსოფოსი ვერ მოჭებენდა.

დიდი შეცდომა იქნებოდა — გვეთქვას, რომ სკოლაში  
 შესკლის დროს ბავშვმა სრულად იცის დედა-ენა — ეს უძლი-  
 რესი საუბრე; ბავშვს განცნობილი აქვს მხოლოდ მცირედი ნა-  
 წილი დედა-ენისა, ის გუნტული, რომელიც საჭიროა იმისთვის  
 სხვა-და-სხვა პირობათს და საგნებთან ყოველ-დღიურ დამოუ-  
 დებულებისათვის; ის ნაწილი კი დედა-ენისა, რომელშიაც გა-  
 მოისატება ნაყოფი მთელის ხალხის სულიერის ცხოვრებისა,  
 სრულიად უცნობია მისთვის. თუ გვინდა რომ ბავშვს გავუ-  
 ზიაროთ ის აღმზრდელი წესრო, უნდა გულ-დადებით და და-  
 ლაგებით ვასწავლოთ მას დედა-ენა; დედა-ენავე უნდა იყოს  
 გზადა და ხიდად ბავშვის გულთან. იმ საგნებისა და ცოდნისა,  
 რომელიც წილად სვდება მას მთელის კურსის განმავლობაში.

გარდა ამისა, თითონ ჩვენის სკოლის განსაკუთრებული  
 დანიშნულება საჭიროდ ჭნდის საგნების დედა-ენაზედ სწავლე-  
 ბას. ეს დანიშნულება ბავშვების სხვა-და-სხვა სასწავლებლები-  
 სათვის მომზადება როდისა; ჩვენმა სკოლამ უნდა გაუხსნას

ბავშვს გონება, გაუნათლოს, შესძინოს ჭკუისა და ზნეობის ამაძღვებელი და საღებო კეთილ-დღეობის მოძიებელი ცოდნა. ამ განსწავლის შესრულება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ სწავლა დედა-ენაზედ იქნება; მართლაც და რამდენი გაკეთილიც უნდა დაინიშნოს რუსულის ენის სასწავლებლად და რაც უნდა ეცადონ ამ ენის რიგიანად სწავლებას, მაინც სოფლის სახალხო სკოლაში შეუძლებელია ისე წავიდეს საქმე, რომ საგნებს რუსულს ენაზედ სწავლობდენ შეგნებით, გონივრულად, და ამ სწავლაში არ შეერიოს გონების დამახლეობელი ზეპირად სწავლება, თუთიყუშობა. რუსულს ენას სრულად მრავლმანაზიულ კლასებშია ცი კი ვერ ითვისებენ და იქაც მრავალი ჩვენი უმაწვილთაგანი ირიცხება სასწავლებლებიდან, სწორედ იმიტომ, რომ არ ესმით კარგად ის ენა, რომელზედაც საგნებს ასწავლიან; და ესა ხდება ქალაქებში, სადაც საზოგადოება ნახევარზედ რუსულად ლაპარაკობს, შველის სკოლას და უადვილებს ბავშვებს ამ ენის შეთვისებას. ადვილად წარმოსადგენია, როგორ უფრო ძნელი იქნება სოფლელ ქართველის ბავშვებისათვის ცნობიერად გაგება საგნების აღსნისა რუსულს ენაზედ, რომლისაც ხმაც კი არ გაუგონიათ სკოლაში შესვლამდის და არც სწავლის დროს გაიგონებენ, სკოლის კარების დიქეს გასტილდებიან თუ არა. ამას გარდა განსაკუთრებულის სამეურნო კუროსისათვის ჩვენს სკოლაში ორი წელიწადია დანიშნული და ეს ვადა საგნების შესწავლისათვისაც კი ცოტაა, თუნდ რომ ის ენა, რომელზედაც ასწავლიან, ბავშვებისათვის სრულიად ძნელი არ იყოს; და თუ სწავლა იქნება სხვა ენაზედ, რომელიც ბავშვებს კარგად არ ეუყრებათ, მაშინ დიდძალს დროს მოითხოვს უცხო ენის ფორმებისა და ფრაზების შეთვისება და შეუძლებელი იქნება ცოტაც არის რიგია-

ნი აღსრულებს პირველ-დაწყებითის და განსაკუთრებულის კურსის პროგრამისა.

განმანათლებელი მნიშვნელობა ჩვენის სკოლისა მთელის სოფლის ხალხისათვის მოითხოვს აგრეთვე სწავლებას დედა-ენაზედ: თუ ჩვენის სკოლის მოწაფენი შეიძენენ ცოდნას დედა-ენის საშუალებით, შეეჩვევიან ამ ენაზედ ოქმისა და მსჯელობას, — მაშინ სკოლიდამ გამოიტანენ ცხოველს აზრს, შესაფერს ხალხურს ენაში განხორციელებულს; ეს გაუადვილებს მათ თავიანთ ცოდნის ცნობიერად ხალხისადმი უკრძა-ღმას, ხალხში მეცნიერების მოფენას და ზრუნვას მის გავითარებისათვის; ხალხისათვის უცხო ენაზედ სწავლება კი სრულიად მოსზობს ცხოველს კავშირს სკოლასა და ცხოვრებას შორის, არ მისცემს შეძლებას სკოლის მოწაფეთ — იქონიონ განმავითარებელი გავლენა ხალხზედ; მათგან სანახევროდ შეძენილი ცოდნა ნახევრობით გაუგებარს ენაზედ არ დაუღაგებს ისე აზრებს, რომ მათმა ხალხთან საუბარმა ნაყოფი მოიტანოს რამე და არც ამ საუბრისათვის საჭირო გონიერულს დახმარებას იქნებიან შეჩვეულნი. ისინი დაემზგავსებიან იმ უსარგებლო და მავნებელ მთარგმნელებს, რომელთაც საკმაოდ არც ის ენა იციან, რომლიდამაც სთარგმნიან და არც ისა, რომლის გამდიდრებაც უნდათ თავიანთ მთარგმნებით.

ამ მოსაზრებებს რომ თავი დაგანებოთ და მავალითები გავსინჯოთ, იქაც ჩვენის აზრის საფუძვლიანობას ცხადად დავინახავთ. ჯერ მივაქციოთ ყურადღება იმ სკოლებს, რომელნიც ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებასა აქვს გამართული. ეს სკოლები თხუთმეტის წლის წინად დააფუძნეს და არაფერი არ დაიშურეს მათთვის, რაც კი რიგზედ-განწყობილ სკოლისათვის საჭიროა. მასწავლებლები უკვლავან თავიანთ საქ-

მას მცოდნენი იყვნენ; სახლები უკელგან წესიერად მოწყო-  
ბილნი: წიგნები და სწავლისათვის საჭირო ნივთები უკელგან  
უხვად მისდიოდათ და ამ სკოლების 'ხელმძღვანელობაც' მინ-  
დობილი ჰქონდათ იმისთანა შიკვებს, რომელნიც კარგად იც-  
ნობდენ ჰედაგოგის მოთხოვნილებას. მაინც ამ სკოლებში არ-  
სად არ გამოიწვეეს ხალხში გულ-წრთველი თანაგრძნობა, არ  
სად არ იმოქმედეს განმავითარებლად; არსად არ გაუწია გლეხ-  
კაცობამ ამ სკოლებს შემწეობა თუელით ან სხვაფრივ და ამ  
გუარნი შემწეობა ვი საზოგადოებისათვის საჭირო იყო. ვისაც  
ვი ჰქვანია შემთხვევა ამ სკოლების გაცნობისა, ერთ-ხმად ამ-  
ტკიცებენ რომ მიზეზი მათის ცუდად წასვლისა არის უარ-  
ყოფა დედა-ენისა, როგორც საგნისა და როგორც სწავლების  
საშუალებისა. აქაურს სომხურ სკოლების მაგალითი ჩვენს აზრს  
ვიდეკ სხვა გზით ამტკიცებს: ამ სკოლებში საგნებს დედა-  
ენასეუდ ასწავლიან და სადაც ვი ეს სწავლა ჰედაგოგის შესა-  
ფერად არის მოწყობილი, ჩინებული ნაყოფი მოაქვს შესახებ  
უკელს საგნებისა და აგრეთვე კერძოდ შესახებ რუსულის ენი-  
საც. ასე მიდის საქმე მაგალითად საქალბო წმ. გაიანეს სკო-  
ლასში, თბილისში, სადაც ყოველისთერს სომხურს ენასეუდ ას-  
წავლიან, და ასწავლიან ისე კარგად და საფუძვლიანად, რომ  
იქიდან გამოსულიები მშვენიერად იტყვიან ეგზამენებს. საქალ-  
ბო გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების შესაფერ კლასებში გა-  
დასასვლელად. ჩვენს აზრს ამტკიცებს აგრეთვე ბალტიის გუ-  
ბერნიებისა და თბილისის სკოლების მაგალითიც, სადაც  
სწავლა დედა-ენასეუდ არის და ჩინებული ნაყოფიც მოაქვს.

ყოველს ევროპიულს სახელმწიფოში სახალხო სკოლებში  
სწავლება ბავშვების დედა-ენასეუდ ჰედაგოგის ტექნიკურად  
ცნობილია და უკელგან მტკიცედ შესრულებულიც. ერთი საუ-



კეთესო რუსული პედაგოგიური ყურნალი ამბობს: «ახსად ევროპაში არ შემოუტანიათ ეტვი, რომ სწავლა დედა-ენასედე უნდა იყოს და ამ წესს საზღვებლობის მეტი არა მოუტანია-რათა.» იქაც კი, სადაც ხალხის დედა-ენა სასკელმწიფოში მიღებულ ენის შტოს, დიალექტს, შუადგენს, — სწავლება ამ ენის შტოსედე საჭიროდ ცნობილია. მაგალითად, მცირე რუსიული ენა რუსული ენის შტოა და დიდი მზგავსებაცა აქვს მასთან; მაგრამ ყველა პედაგოგები და განათლებულნი პირნი, რომელნიც ჩაწიონალურის მიდგომით დაბრძავებულნი არ არიან, იმ აზრს ადგანან, რომ კარგი იქნება და ნაყოფსაც უფრო კარგს მოიტანს, თუ სამხრეთ-რუსეთის სკოლებში სწავლა მცირე-რუსიულს ენასედე იქნება და არა რუსულსედათა. «ჩვენ ვიცითთა.» ამბობს ვგივე ყურნალი, «რომ საზოგადო სასწავლებლების წესდების პრექტი და აგრეთვე მე-ნო წლებში შედგენილი პრექტი სახალხო სკოლების მომართვასედე უმაღლესის ნება-რთვით გაეგზავნა სამოსწავლო ოლქების მსრუნველებს უნივერსიტეტისა და გიმნაზიის პედაგოგიურ რჩევებში განსახილველად. ამ პრექტების განხილვის დროს სახალხო სკოლების ენასედეც იყო მოლაპარაკება. თითქმის ყველა სამხრეთ-რუსეთის გიმნაზიების პედაგოგიურმა რჩევებმა და აგრეთვე კერძო პირთ, რომელთაც კარგად იცოდნ პედაგოგიაც, ხალხიც და იმისი ცხოვრებაც, წარმოსთქვეს ის აზრი, რომ აუცილებლად საჭიროა მცირე-რუსიულ სახალხო სკოლებში სწავლა მცირე-რუსული ენასედე იყოსთა.»

«თუ სკოლა — ამბობს უშინსკი — რომელიც დედა-ენასედე არ სწავლის, ვერ გაიდგამს იფესეს ხალხის ცხოვრებაში და სასარგებლო ნაყოფს ვერ მოიტანს, — ეგ გასაკვირველი არ არის და არც უნდა გაგვიკვირდეს. ჯერ ერთი ესა რომ ამ

გვარი სკოლა ბევრით დაბლა სდგას ხალხსად: რა არის ამის-  
თანა სკოლა თავის ასიოდ ცუდად შესწავლილ სიტყვებით იმ  
უძირო სიღრმესთან, იმ ცხოველ და სრულს სიტყვასთან შე-  
დარებით, რომელიც შეიმუშავა და ტანჯვით შეიძინა ხალხმა  
რამდენიმე ათასის წლის განმავლობაში?! მეორედ: ამ გვარი  
სკოლა უღონოა, რადგან ბავშვის გონების გასწავლა არ აფუძ-  
ნებს ერთად-ერთს ძლიერს და ნაყოფიერს სულიერს ნიადაგ-  
ზე—ხალხის ენაზე და მასში გამოხატულს ხალხის გრძნო-  
ბაზე; მესამედ: ამ გვარი სკოლა უსარგებლოა, რადგან ბავ-  
შვი მასში შედის არა თუ სრულიად უცხო სტერეოტიპში, იქიდან  
გამოსვლის დროსაც სრულიად უცხო სტერეოტიპში გამოდის. ის  
მალე ივიწყებს სკოლაში ნასწავლს ასიოდ რუსულს სიტყვას  
და მათთან ერთად ივიწყებს იმ ასრებსაც, რომელიც ამ სიტ-  
ყვებით გამოითქმებოდენ. ხალხის ენა და ხალხის ცხოვრება  
ხელშეორედ ესევე მას გაცხს და შლის იმის გონებიდან სკო-  
ლაში შექნილის კვალს, როგორც სრულიად უცხო მისთვის.  
რა გააკეთა მას სკოლამ? ანაფერსად კიდევ უარესი. სკოლამ  
რამდენიმე წლით შეაჩერა ბუნებრივი განვითარება ბავშვისა;  
მართალია, წერა-კითხვას სწავლობენ, იმასაც სანახევროდ; მაგ-  
რამ ესეც ეგვლას არ შესვდება წილად და თუ შესვდება მხო-  
ლოდ იმისთვის, რომ დამტკრეულ რუსულის ენით რაიმე წიწ-  
კი სახივარი დაბლაჯნოს; ადამიანის სულს ამისთანა სკოლა კი  
არ ამატიონებს, რყვისა.

დასასრულ, საგნების სწავლება დედა-ენაზე არამც თუ  
სასოფლო სკოლებში, არამედ საქალაქო სკოლებშიაც უმადლე-  
სად და დაურღვეველად საჭიროდ ცნობილია წამებულის ხელ-  
მწიფე იმპერატორის ალექსანდრე მეორის სიტყვებით, რომ-  
ელიც დაწერილი არიან პოლშის მთავარ - მმართველისადმი.

რესკრიპტში 30 აგვისტოს 1864 წ. და შესანიშნავი შალაის ბრძნულის შესედულობით სასელმწიფო საქმეებზედ. აი ეს სიტყვები: «სამოსწავლო გამგეობათ არც სხვას უნდა მისცენ ნება და არც თითონ იკისრონ მეცნიერების ტაძრის გარდაქმნა პოლიტიკურ განზრახვის საშუალებად; იგინი უნდა განათლებას მიუდგომელად ემსახურონ. ამის გამო ჩვენ ვაძლეოთ ნებას პოლშის სახლ-გაზდობას მიიღოს სწავლა თავის დედა-ენაზედ...» და სხვ. სასწავლებლების წესდება პოლშის გუბერნიებისათვის, უმაღლესად დამტკიცებული იმავე წელს 49-ე პარაგრაფში ამბობს: «ყოველ პირველ-დაწყებით სასწავლებლებში სწავლა უნდა იყოს იმ ენაზედ, რა ენაზედაც ლაშარაკობენ იმ ქალაქისა და სოფლების მცხოვრებნი, სადაც სკოლას გამართული.» ეს უმაღლესად ცნობილი საჭიროება და აუცილებლობა დედა-ენაზედ სწავლებისა მით უფრო შესანიშნავია, რომ ეს მოხდა სწორედ პოლშის აჯანყების დამშვიდების შემდეგ. თუ კი განსვენებულმა ხელმწიფე იმპერატორმა სცნო საჭიროდ და მიანიჭა აღკვეთულს ხალხს საუკეთესო უფლება — უფლება დედა-ენაზედ სწავლებისა, — ცხადია გულ-წრთველად მოისურვებდა აგრეთვე მიენიჭა იგივე უფლება იმ ერთგულ ხალხისათვის, რომელმაც თქვი ჩაადგმეინა რუსეთს კავკასიაში და გულ-წრთველად ეწეოდა მას ამ მოფლობელობის გაგრძელებასა და დამკვიდრებაში.

მესამე ცვლილება ჩვენის სწავლების პლანისა არის ეს, რომ რუსულის ენის სწავლება იწეობა ჩვენს სკოლაში მესამე წელიწადის დასაწყისს და არა პირველის წელიწადის მეორე ნახევრიდან. ეს ცვლილებაც მოვანდინეთ ჩვენ შემდეგ საფუძვლიანის მოსაზრებისა. ჯერ ერთი ესა რომ ეს ცვლილება სრულიად შეეფერება პედაგოგის მოთხოვნებს. ერთი უმთავ-

რესი კანონი ჰედაგოგისა ამბობს თითოჯერ თითო სიძნელეო. ქართველი სოფელი ბავშვი პირველს რის წელიწადს სკოლაში ებრძვის ერთს სიძნელეს—დედა-ენაზედ წერა-კითხვისა და თითონ დედა-ენის სწავლას. ვიდრე ეს სიძნელე არ დაუძლევიან, ჩვენ რომ მას სხვა ტვირთი ავიდოთ და რუსული ენა დავაწყებინოთ—ამით ძნელად შესასწრულებელს საქმეს ვაკისრებინებთ და შეუძლებელია მაშინ—სკოლაში სწავლა რიგაიანად წარმოებდეს. სცდება ის, ვისაც ჭკონია რომ რა კი ბავშვმა დედა-ენაზედ ჩათვლით კითხვა ისწავლა, ძლივს-ძლივით ასოების დაბლაჯნა და დედა-ენაზედვე უკაჟირო მასწავლების მიცემა, —ამით პირველს სიძნელეს დასძლიაო. ეს სიძნელე მხოლოდ მაშინ იჭება დაძლეული, როცა ბავშვს დედა-ენაზედ ძაღად კითხვა ეცოდინება, თავისუფლად წერა და რიგაიანი სიტყვა-მასწავლა. ამის შესწრულება სასოფლო სკოლებში რის წელიწადსაც კი ძნელია. ერთი უკეთესთაგანი თანამედროვე ნემეცის ჰედაგოგი შმიტი ამბობს: «მხოლოდ მაშინ უნდა მიჭყონ უცხო ენის სწავლებას ხელი, როდესაც ბავშვი დედა-ენას ისე გაიცნობს, რომ შეეძლოს თავის აზრისა და გრძნობის შესაფერ სიტყვებითა და ძრავებით გამოხატვაო თავის ჩინებულ თხზულების მეორე დგილას იგივე ჰედაგოგი დაზარაობს—როგორის სიოთხილით და თან-და-თანობით უნდა შეეჩვიონ ბავშვები ძნელს საგნებს პირველ-დაწყებითს სასწავლებლებში და ამბობს კიდევ: «მეტადრე უცხო ენის სწავლება იმანზედ ადრე არ უნდა დაიწყებოდეს, ვიდრე ბავშვი თავის დედა-ენას კარგად არ გაიკეთავსო.» ნიჭიერი ჰედაგოგი უშინსკიც სწორედ ამავე აზრისაა და პირ-და-პირ ამბობს რომ მესამე წელიწადზედ ადრე შეუძლებელია უცხო ენის სწავლების დაწყებაო. იმის შესანიშნავს თხზულებაში: «ჰედაგოგიური

მოგზაურობა „შევიცარიაში“ არის შემდეგი ადგილი: «ბეჭნის ოთხ-კლასიან სკოლაში ჭრანცუხუელს ენას მხოლოდ მესამე და მეოთხე წელიწადს ასწავლიან და მე ამას მეტის-მეტ აჩქარებდა: ჩვეთელიდი, თუ რომ ბავშვები საკმაოდ განვითარებული იყვნენ ჭრანცუხუელს და გავწვრთნილნი დედა-ენაში. ჩვენს ათის წლის ბავშვებს ვი ეს სიკეთე არა სჭირთ.» თვით იმ ქაყენებშიაც, სადაც ბავშვების დედა-ენა შტოა სასჯელმწიფოში მიღებული ენისა, ძლიერად წააგავს მას და უადვილებს ბავშვებს მის შეთვისებას და შესწავლას, — იქაც ვი სასჯელმწიფოში მიღებულს ენას სკოლაში მეორე წელიწადზედ ადრე არ ასწავლიან და წერა-კითხვას იმ ენაზედ კიდევ უფრო გვიან აწყობინებენ — არა უადრეს მეორე წლის მეორე ნახევრისა, თუძცა ვი ევროპელი ბავშვები ბევრად უფრო გონებას გახსნილნი არიან სწავლის დაწეების დროს, ვიდრე ქართველი ბავშვები. ზემოხსენებულს წესზედ მოწყობილია მაგალითად ორ-ქიანის სკოლები ბელგიაში და შლეზვიგში\*).

უეჭველია, რომ რაც უფრო ენა ძნელია, იმდენად მისი სწავლება გვიან უნდა დაიწყობოდეს, მეტადრე სასოფლო სასწავლებლებში. რუსული ენა ყველასაც უძნელეს ენად არის ცნობილი. ინგლისის გენიოს-ისტორიკოსმა ბოკლმა, რომელმაც შეისწავლა რუსული ენა სხვა ცხრამეტ ევროპიულ დაზიურ ენათა შორის, აღაარა რომ არც ერთ ენის შესასწავლებლად იმდენი დრო ჭკავია არ მომინდობებია, რამდენიც რუსულს მოკანდომეო. ქართულ სასოფლო სკოლებში რუსულის ენის სიმწიფე კიდევ უფრო ცხადად გამოჩნდება: ქართულსა და რუსულს ენას შორის არაფერი მზგავსება არ არის, არც გრამა-

\*) ნახე ზემოხსენებული «ანგარიში» სემიონოვისა.

ტიკული, არც ლექსიკური. ცხადია, რომ ქართულ სკოლის შე-  
 გირდებს მხოლოდ მაშინ შეუძლიანთ რუსულის ენის სწავლის  
 დაწყება, როდესაც გონება საკმაოდ გაეხსნებათ და ორს წე-  
 ლიწადზე ადრე ეს შეუძლებელია... რუსულის ენის კარგად  
 შესასწავლებლად საჭიროა შედარების მეთოდა, ე. ი. რუსუ-  
 ლის ენის თვისებისა და აგებულების შედარება ქართულის ენის  
 თვისებასა და აგებულებასთან, და ეს მეთოდა მაშინ არის გამო-  
 საყენებელი, როდესაც ერთი საგანი მაინც შედარებისა ბავშვი-  
 საგან კარგად შეგნებულა; თუ ორივე საგანი უცნობია, ბავ-  
 შვი ვერა სძლევეს სიმკვლევს და ეს ჩინებული მეთოდა ფუჭად  
 ჩაივლის. «ისე მოაწყეთ საქმე—რომ დედა-ენის გრამატიკის  
 სწავლება უცხო ენის გრამატიკის სწავლებას წინ უსწრობდეს»  
 ამბობს უშინსკი. ამიტომ დიდად მკვებელი შეცდომილება იქ-  
 ნება, თუ წარმოვიდგინოთ რომ, რაც რუსულს ადრე დავიწ-  
 უობთ, უფრო ადრეც და კარგადაც ვასწავლით ბავშვებსაო. ეკ-  
 კი არა, ამ შემთხვევაში მოსწრაფება რუსულის ენის სწავლე-  
 ბისა შეახერხებს ბავშვების გონების გამოფხინვლებას, წესიერს  
 განვითარებას, აღუძრავს სიმკვლეულს რუსულის ენისადმი და  
 უგან დააყენებს სწავლას სასოგადოდ და რუსულის ენისას კერ-  
 ძოდ. ბავშვს რომ უცხო ენის სწავლა დააწყებინოთ, როდეს-  
 საც დედა-ენაზედ კარგად ვერც კი ვითხულობს—ამბობს ივი-  
 ვე უშინსკი— განა ეს გულის-ფურისა და სწავლის სურვილის  
 დასაწყისშივე მოკვლა არ იქნება? მეორე რუსის შედარებით  
 ბარონი კორძი თვით რუსულის ენის წინაშე ცოდვად სთვლის  
 მის საადრევს სწავლებას უცხო-თემელებში, რადგან ამ შემთხვე-  
 ვაში სიუვარულის მაგივრად ბავშვებში იღვიძებს სიმკვლეული  
 სახელმწიფოში მიღებული ენისა. მაგრამ, თუ რუსულს ენას  
 შესაძე წლიდამ დავიწყობთ, როდესაც ბავშვებს ეცოდინებათ

წინა-კითხვა დედა-ენაზე და უმთავრესი კანონები ქართულის გრამატიკისა, რუსულის ენის სწავლა მასში საინტერესო და სრულიად შესათვისებელი იქნება და ნაყოფსაც კარგს მოიტანს. ამ სწავლით ჩაიყრება საძიკველი, რომელსედაც მოწათენი სკოლიდამ გამოსვლის შემდეგაც დააფუძნებენ რუსულის ენის შესწავლას... ეს აზრი რუსულის ენის შესახებ ჩვენს სკოლაში მტკიცდება აგრეთვე სახალხო მასწავლებლების კრებათა გარდაწვევებით, რომელიც ამბობს, რომ უფრო ჰედაგოგის შესათეერი იქნებოდა წესიერი სწავლება რუსულის ენისა შესამე წელიწადს დაწყობილიყო.

ჩვენის სამის აღნიშნულა ცვლილებათ საფუძვლიანობას და საჭიროებას თვალ-საჩინოდ ამტკიცებს სსვა-და-სსვა ბედი ქართულის სასოფლო სკოლებისა ქუთაისისა და თბილისის გუბერნიებში. ქუთაისის გუბერნიასში სახალხო სკოლებში სამის წლის გურსით რუსულის ენის სწავლება პირველს წელიწადსკ იწყებოდა და გურსის მეორე ნახევარში ყველა საგნები რუსულად ისწავლებოდენ. მერე რა მოჭყვას ამას? თორმეტის წლის არსებობის შემდეგ სკოლამ ქუთაისის გუბერნიასში თავის სრულის უნაყოფობით აღძრა მცხოვრებლებში ჯერ გულ-გრილობა და შემდეგ ცხადი სიძულელი. სოფლების განხილების ძალით დაიკეტა ბევრი სკოლა, თუმცა აღმინისტრაციას ყოველის დონითა ცდილობდა ხელი შეეშალა ამ გვარ განხიებათა შედგენისათვის; პირველში კი ეს სკოლები ხალხმა დიდის ხალხით დააფუძნა, რადგან განათლება მსურვალე წადილს შეადგენს ქუთაისის გუბერნიასში. სრულებით სსვა ბედი ჭჭონდა სახალხო სკოლას თბილისის გუბერნიასში. თუმცა აღმოსავლეთის ქართველებში ბევრად ნაკლებ არის სწავლის სურვილი, ვიდრე დასავლეთის ქართველებში, მაგრამ სახალხო სკოლამ აქ

ბევრად უფრო კარგად მოივიდა ფეხები, უფრო ბევრი სარგებლობა მოიტანა და ხალხშიაც თანაგრძნობა გამოიწვია. დასავლეთის საქართველოში სკოლები ათობით და რაობით დაიხურა და აღმოსავლეთისაში კი არც უფიქრია ამ გვარში მაგალითი უფროდ ამის მიხედვით ის არის რომ სსსრ-ის სკოლას თბილისის გუბერნიისში უფრო გონივრული სწავლების პლანი ჰქონდა! სწავლის გურსი ოთხს წელიწადს სწევდა, ასწავლიდნენ საგნებს მხოლოდ ქართულს ენაზე და რუსულს ენას მესამე წელიწადს აწეობინებდნენ. ამასთანავე ივრიად შესანიშნავია შემდეგი: თუშტა დასავლეთის საქართველოს სახალხო სკოლაში რუსულს ენას პირველის წელიწადში ასწავლიდნენ და მასუგან სწავლების ენადაც ჰხდიდნენ მას, მანტ შეგიძლება ეტა გრძნობდნენ მისდამი ინტერესსა და სიუფარულს; აღმოსავლეთის საქართველოში კი თუშტა უფრო გვიან იწეობდნენ მის სწავლებას, მანტ იმოდენა თანაგრძნობა მოიპოვა რუსულმა ენამ ზოგიერთ ყმაწვილებში, რომ გურსის შესრულების შემდეგაც გულ-მოდგინედ ეკიდებოდნენ მის შესწავლას; თავის ცდით ისე ითვისებდნენ ამ ენას რომ შემდეგში სახალხო მასწავლებლის ადგილსაც შოულობდნენ. ეს ტაქტი ცხადად ამტკიცებს — რუსულს ენის წადრეკად სწავლება ქართველს ბავშვებს სამკვიდრო ნაყოფს გერ მოუტანს და თუ თავის დროზედ იქნება ამ ენის სწავლება, აღმკავს მათში თანაგრძნობას და სახალხო სკოლის გურსის დასრულების შემდეგაც წააქეზებს უფრო საფუძვლიანად შეისწავლონ იგი.

დასასრულ, სახალხო განათლების ისტორია ევროპაში წარმოადგენს საოცარს მაგალითებს, რომელნიც სრულიად ამართლებენ ზვეს სწავლების პლანში შემოღებულ ცვლილებათ. ეკელგან, სადაც კი დედა-ენა სწავლების საშუალებად გასაღეს და



სადაც სასწავლებელი მისდევდა მხოლოდ თავის წმინდ და პირ-და-პირს დანიშნულებას—ე. ი. ხალხის გონებრივ და სხე-ობრივ აღადგენას, მასში ცოდნის გავრცელებას იმ გზით, რა გზაც უფრო ადვილი იყო, — იქ სახალხო სკოლა უდიდეს ძალად შეიქმნებოდა ხოლმე, გაუვითარებდა ხალხს გონებასაც, ზნეობასაც და იმისთანა კეთილ-დღეობასაც ჭებენდა, რაც უწინ აჩაკის მოსწიკნებოდა. ჩვენ სხვა მაგალითებს თავს დავანებებთ და მხოლოდ ერთს დავაკვირდებით: სახალხო სკოლის გაკლებას შოტლანდიის ყოფა-ცხოვრებაზედ შეხვიდეთუ საუკუნის დასასრულს. წარწინებულნი ინგლისის ისტორიკოსი და სასკოლოწიგო კაცი მაკოლეი ამ სიტყვებითა ჭსატაკს ამ გაკლებას: \*) «ას ორმოც-დაათის წლის წინად ინგლისი იყო აუკავებელი და კარგად მოწყობილი ქვეყანა სხვა ევროპის ქვეყნებთან შედარებით. შოტლანდიან ვი, ვკონებ ყველა ქვეყნებზედ, რომელთაც ცოტაც არის განათლების ნიშან-წყალი ეტუობოდნით, ღარიბი და უმეტარი იყო. ინგლისში შოტლანდიელის სახელი ზიზღით იხსენებოდა. შოტლანდიის ნიჭიერი სახელმწიფო კაცნი თითქმის განწირულებით შეჭყურებდენ ღარიბ თანამემამულეთა უკანასკნელს მდგომარეობას. ყველამ იცის რომ ჭეჭტრეკ სალტაუნი, მამაცი და განათლებული კაცი, თავისუფლებისათვის მებრძოლი და მის სიყვარულისათვის სამშობლოდამ განდევნილი, ისეთის ზიზღის თვალით უტყუროდა სიღარიბეს, უმეტრებას, სიზარმაცეს და კანონების წინააღმდეგობას შოტლანდიის მღაბალის ხალხისას, რომ მოიწადინა მათი მონად გასდამა. ამ ჭეჭტრობდა, რომ მხოლოდ იმავე საშუალებით შეიძლება შოტლანდიის უბინადრო და ქვეყნის ამომ-

\*) მაკოლეი, ტომი X<sup>წ</sup>, გვ. 177-178.

გდები ხალხი კაცმა მუდმივს შრომას შეაჩვიოს, რა საშუალებითაც შაქრის პლანტაციის წანგებში მშვიდობიანობას ჩამოედებუდი და ეს კელური ხალხი ძალით მუშაობას შეჩვეულია, ე. ი. ძათწახით და ხუნდით. ამიტომ, რეკლამაციის შემდეგ იმან დაბეჭდა ერთი წიგნი, რომელშიაც ამ საშუალების ხმარებას უჩვენებდა მთავრობას და ეს წიგნი ჩემის აზრით კაცთ-მოყვარეობისა და პატრიოტულის გრძნობისაგან იყო ჩაგონებული; ეს სასტიკი ზომა იმას ერთად-ერთ ღონედ ეგონა შემოსვენებულ უწყსობების მოსასპობელად. რამდენიმე თვის შემდეგ ამ წიგნის დაბეჭდვისა სრულებით სხვა გვარი საშუალება იხმარეს; ედინბურგის პარლამენტმა გამოსცა კანონი სახალხო სკოლების გამართვის თაობაზედ. უმაგალითო და საკვირველი ცვლილება მოხდა ხალხის ზნეობრივსა და გონებრივს მდგომარეობაში: თუმცა ამ ქვეყანაში საშინელი მკაცრი ჭკავა და უნაყოფო ნიადაგი, მაგრამ საუკეთესო ქვეყნები ამას შეტანატრადენ. შოტლანდიელს ყველგანა ნახავდით და ყველგან პირველი ადგილი ეჭირა. საზოგადო ასპარეზზედ მალალს ხარისხამდე აღიოდს; ქაწხანებში პირველი ოსტატი იყო; თუ დუქანს გახსნიდა, იმ უბანში იმისთანა დუქანი არავის ექნებოდა; თუ ამერიკის კოლონიებში გადასახლდებოდა, იმის მინდვრები სხვეზედ მეტად ჭეკავოდენ. ღონდონში მეზიდმეტე საუკუნის შოტლანდიელზედ ისე ლაპარაკობდენ, როგორც ესლას ესკიმოსებზედ ვლასარაკობთ; მეთვრამეტე საუკუნის შოტლანდიელი კი შურსა ჭბადებდა და არა ზინლსა. ყველანი ამბობდენ—შოტლანდიელი სადაც უნდა მივიდეს, ყველგან განწესებულს ფასზედ მეტს იღებსო; ინგლისელთან ჭქონოდა საქმი, თუ ირლანდიელთან, ყოველთვის იმას პირველი ადგილი ეჭირა, როგორც ზეთი წყალს პირზედ მოექცევა

ხელმე. როგორ მოხდა მერე ეს საკვირველი ცვლილება? შოტლანდიის ჭკვა უწინდელებრივ ცივი იყო, შოტლანდიის კლდეები უწინდელებრივ უნაყოფონი. ბუნებრივი სასიათიც შოტლანდიისა არ შეცვლილა მას აქედ, რაც სწავლული და კეთილისმყოფელი კაცი საჭიროდა სთვლიდა შოტლანდიელების მათრახსით გარკვეას სამუშაოდ დატვირთულ ცხენსაკით. არა, სასელმწიფომ იზრუნა ამ ხალხის განათლებისათვის, და ეს განათლება, მართალია, ისეთი არ იყო, როგორიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ცივსა და ქვიშიანს ნაპირებს კლადისას და ჭოროტისას მანც მეტი სარგებლობა მოუტანა, ვიდრე მდიდარმა ნიადაგმა და საამო ჭკვამ კაზუას და ტარენტოს.

რა იყო მიზეზი, რომ მეჩვიდმეტე საუკუნის სახალხო სკოლებმა ამისთანა გასაოცარი ნაყოფი მოუტანეს შოტლანდიას? იქნება მასწავლებლებად ჩინებულად მომზადებულნი პირნი იყვნენ? არა, მაშინ მომზადებული მასწავლებლები არც კი იყვნენ შოტლანდიაში; სკოლებში უფრო პასტორები ასწავლიდნენ, რომელთაც არც კი იცოდნენ პედაგოგია, რა იყო. იქნება სკოლის გურსი დიდი იყო და ვრცელის პრეგრადით ასწავლიდნენ? არა, ამის თქმაც არ შეიძლება. მაშ იქნება სკოლის სახლები და გარეგანი წიობულება კარგად მოხერხებული იყო? არა, შოტლანდიის სკოლას არც კი მოსჩვენებია ეს სიკეთე. მაშ რით მოახდინა სკოლამ ისეთი სასწაული, ისეთი ცვლილება ხალხის მდგომარეობაში? მხოლოდ იმითი, რომ დედა-ენასეუდ დააფუძნა მთელი სწავლა და თვითონ ენასაც საფუძვლიანად ასწავლიდა, ცდილობდა აქაღლებინა გონება და ზნეობა თავის მოწაფეებისა და მათის შუამავლობით მთელის ხალხსაც.

პოლიტიკურის მხრითაც საოცარი ნაყოფი მოიტანა შოტლანდიის სკოლამ. ვიდრე შოტლანდიელები უმეტესნი იყვნენ და

ველურს ხალხს ემსგავსებოდნენ, ტყუილი გამოდგა ცდა, რომ მოტლანდია მჭიდროდ დაეკავშირებინათ ინგლისთან: მოტლანდიელებს კერპულად ცალკე ყოფნა უნდოდათ და ინგლისთან დაკავშირების უარსუდ იდგნენ. მაგრამ, რა კი სახალხო სკოლამ გაუვრცელა მათ მსკდველობის ასპარეზი და მოჭყდინა ნათელი მათს გონებას, მოტლანდიელებმა თითონვე აღმოაჩინეს კავშირის სურვილი და მალე ბრიტანიის ორს ნახევარს შორის სრული პოლიტიკური ერთობა ჩამოვარდა. მოტლანდიის მაგალითი მშვენიერად ამტკიცებს იმ აზრს, რომ მხოლოდ უმეტრება ჭბადავს, შიგონს სხვა-და-სხვა ხალხში, და სახელმწიფოს ერთობისათვის საუკეთესო ღონე არის უმეტრის ხალხში განათლების გავრცელება დედა-ენის საშუალებით.

მეორე გასაოცარს მაგალითს ამ საქმის შესახებვე წარმოადგენს ავსტრიისა და პრუსიის სკოლების ბედი ამ საუკუნეში. ავსტრია და პრუსია ორს სხვა-და-სხვა გვარს წესს მისდევდნენ უცხო-თემელების გასანათლებლად. ავსტრია სძირად წინააღმდეგობას უწევდა პირველ-დაწყებით სკოლებში დედა-ენის სწავლებას და ცდილობდა, რაც შეიძლებოდა ადრე დაეწყოთ ნემეტურს ენაზედ სწავლება. პრუსია კი დედა-ენას ყოველ-გვარს უფლებას აძლევდა და ითხოვდა კიდევ, რომ სწავლა ამ ენაზედ ყოფილიყო. და რა მოხდა? ავსტრიამ ამ გვარის მოქმედებით არამც თუ თავის წადილი ვერ შეისრულა და თავისი ქვეშევრდომი უცხო ხალხები ვერ განემეტა არამედ უფრო აუყარა გული ნემეტობაზედ. პრუსიამ კი მჭიდროდ დაიკავშირა ქვეშევრდომი უცხო-თემელები. აი რასა სწორდა ამ საგანზედ ერთი რუსის პედაგოგი ვესელი სახალხო განათლების სამინისტროს ყურნალში\*) «პრუსიის თვისდაში შე-

\*) ნახე ყურნალი ხალხის განათლების სამინისტროსი 1869 წ. დეკემბერი.

ერთებულს შრომინციებს ისეთის თვალთ უცქეროდა, თითქმის ისინი იმის ძველის-ძველ საკუთრებად ყოფილიყვნენ და მათ მცნოვრებით — როგორც თავის ერთგულს შვილებს: ანიჭებდა მათ ყოველსავე უფლებას, რომელიც კი შრომისელებსა ჰქონდათ. შრომისა თავის ხალხის განათლებასზედ ბევრსა ცდილობდა, მაგრამ შეერთებულ შრომინციების განათლებისთვისაც თუ არ მეტს, ნაკლებს არა ზრუნავდა. ამ შრომინციებში სრულებით არ იყო გამართული სახალხო სკოლები და ხალხიც სიღარიბეს მეტად შეეწუხებინა. შრომისამ დიდ-ძალი თუთლი დახარჯა თითონვე მათში სკოლების გასამართავად და ისე მოაწყო ის სკოლები, როგორც შიგ შრომისაში ჰქონდა მოწყობილი. სწავლა ამ სკოლებში დედა-ენაზედ იყო და შრომისა თხროლობდა მხოლოდ რომ ნემეცური ენაც ესწავლებინათ. შირველში შრომისის მთავრობა ამ უკანასკნელ პირობის შესრულებაზედაც არ აღიანდა ძალას, რადგან იმისთანა მასწავლებლებს ვერ იშოვიდა ჯერ-ჯერობით, რომელთაც ნემეცური ენაც სცოდნოდათ და ადგილობრივიც. ამიტომ შრომისამ თითონ იკისრა სრული ხარჯი შირველის მასწავლებლების მომზადებისა შეერთებულ შრომინციის სკოლებისათვის და ესეთი მოქმედება სწორედ რომ კაცობრიული იყო და დიდი საარგებლობაც მოიტანა. შრომისის მთავრობა ყველაზედ მეტად ხალხის გაუნათლებელ ნაწილისათვის ზრუნავდა და ცდილობდა გაეკარებინა მისი მატერიალური და ზნეობითი მდგომარეობა; თავის მოქმედებაში იგი არ მისდევდა წიკრილმანობას და მიზეზიანობას... შრომისის მაგალითი გვასწავებს, რომ სახალხო სკოლა საუკეთესო საშუალებას ნაციონალურ მძღვარების მოსახზობელად, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც სკოლა არა სჩავრავს და არ ასუსტებს დაზერობილ ხალხთა, არა-

მედ ამაღლებს მათ სულიერს და ზნეობრივს მხარეს, ნათელსა ჭიფენს, ავითარებს მათს ჭკუა-გონებას, საწმინდობას და დააყენებს მათ კეთილ-დღეობის გზაზე.»

ასე არ იქცევოდა ავსტრია მეტეონიხის დროისა. «როდესაც ავსტრიის მთავრობა სახალხო სკოლებს აწესებდა—ამბობს იგივე ვესელი—თავის ქვეშევრდომ სლავიანებისა, მადიარებისა და სხვა არა-ნემეცების ქვეყნებში, იმასა ჭქონდა აზრად მხოლოდ მათი სრული განმეცება, ეროვნულ თვისებათა მოსპობა და არა ამ ერთა ზნეობრივი განვითარება, კეთილდღეობის აღდგენა. მაგრამ ამ გვარმა სკოლებმა არამც თუ არ შეუსრულა ავსტრიას მისი პოლიტიკური წადილი, არამც თუ არ შეუთვისა და შეუერთა სხვა-და-სხვა ხალხნი, არამედ განაშორა იგინი და ჩაუნერგა ავსტრიისადმი სიძულელი. ავსტრიის მთავრობამ ამ გვარს საშუალებით მხოლოდ ცოტათი გაავრცელა ნემეცური ენა თავის უცხო-თემებში და სწორედ ამ მხრით ავსტრია წარმოადგენს საგულისხმო და გასაოცარს მაგალითს იმისას, თუ როგორ ძალადობით გავრცელებას სასულიეროში მიღებულ ენისას არ მოაქვს არავითარი კარგი ნაყოფი: არც ზნეობით ამაღლებს ხალხს, არც კეთილ-დღეობასა ჭიფენს; და რადგანაც ეს ძალადობა ეროვნობი მოსასპობელად არის სმარებული, იგი აღძრავს ხალხში ნაცოლანაღერს გრძნობას, რომელიც თვით ძალადობითვე იკავებება და აქეზებს ხალხს—იხმაროს ყოველი მისი დონე ეროვნობის დასაცველად.»

მაშასადამე, ევროპის სახალხო სკოლის ისტორია, მისი ესლანდელი მოწეობილება, ევროპიულ და რუსის პედაგოგების აზრები, რუსულისა და კავკასიის პირველ-დაწყებითის სკოლის გამოცდილება, — ყოველივე ამოწმებს ჩვენის სწავლების პლანის საფუძვლიანობას და გვარწმუნებს, რომ მის შესრულებას უნ-

და მოჭყევეს ხალხის გონებისა და ზნეობის გაკითხვებს და კეთილ-დღეობის აღდგენას.

P. S. ეს წერილი მოძინადებულ იქმნა მმართველობის წინაშე წარსადგენად და არა ყურნალობით დასაბუქლად; და თუ ყურნალობით მოეჭყა, ეს მოხდა ჰედაქციის ნებით, რომელმაც სასარგებლოდ დაინახა, ეს წერილი თავის მკითხველებისათვისაც წარედგინა. რადგანაც იგი ყურნალობისათვის არ არის დაწერილი, ამიტომ ზოგიერთა მხარე საქმისა საკმაოდ არ არის განკითხებულად. ჩვენს გვსურს რომდენიმე სიტყვის დამატებით ეს ნაკლულეკანება შევავსოთ.

ჩვენ, ქართველებს, ჯერედ არა გვაქვს გამოცდილი დიდი მნიშვნელობა ხალხის განათლებისა. სწავლას ჩვენ ვუყურობთ, როგორც სასწავლს ჩინებისა, რომდენებისა და ჯამეგირიანადგილების მიღებისათვის; და რადგანაც სახალხო სკოლას არასახუქრებს თავის მოწყობით არც პირველის სიკეთით, არც მეორეთ და არც მესამით, ამიტომ ბევრს იგი თითქმის უსარგებლოდ მიანჩნია. თვითონ იმ პირთ, რომელნიც განათლებულის გვამის სასულებს იხეძებენ, არა აქვთ გამოცდილი «სიღრმე და სიგანე» სახალხო სკოლის ნაყოფიერის გავლენისა და მხოლოდ ნახევრობით და მეოთხედობით ესმით მისი მნიშვნელობა. ამისთანა შემთხვევაში ფერად სასარგებლოა საზოგადო არხის განმტკიცებისათვის იმ გვარნი მაგალითები, როგორც დაცემულ შოტლანდიის ფერხედ წამოყენება და აყვავება სახალხო სკოლების მეოხედობით. მხოლოდ ამ გვარს მაგალითებს შეუძლიათ თვალს აუხილონ საზოგადოებას, მსურველთა თანაგრძნობა აღძრან მის გულში და გამოიწვიონ თანხრობა და დახმარება ამ საქმეში. ჩვენ არ ვიცით, რამდენად ღრმა კვლას ჩასახავს მკითხველის

გონებაში შოტლანდიის საოცარი მაგალითი. ჩვენში კი თექვსმეტის წლის წინად ამ ისტორიულ მაგალითის ამოკითხვამ მაკოლეის თხზულებაში იმ გარკი ღრმა ჩაბეჭდილება მოახდინა, რომელიც ხდება საძიკველი დედა-აზრისა კაცის ცხოვრებაში, ცენტრი მის მოქმედებისა და უმთავრესი მიზანი სურვილთა და წადილთა. ჩვენ უნებლიედ ვიფიქრეთ—თუ იმისთანა ბუნებით ღარიბი ქვეყანა, როგორც შოტლანდიას, სახალხო სკოლამ მოკლე ხანში კეთილ-დღეობას მისწია, ჩვენს ბუნებით მდიდარს კუთხეს ხომ უფრო კიდევ მომეტებული სიკეთე უნდა შესძინოს. თუ საშინლად დაცემული და დაზარალებული შოტლანდიის სახალხო სკოლამ ფეხსედა წამოაყენა და მუხობლებზედ ბევრით მაღლა ასწია ჭკუითაც, მსხეობითაც, მსხეობითაც და სიმდიდრითაც, უეჭველია, რომ უფრო მომეტებულია აღმავლებს ჩვენს ხალხსა, რომელიც აუარებელმა ტანჯვა-წვალებამ ვერ დასცა მიწსა და ვერ ააწრუებინა გული მსხეობაზედ და გამძვველობაზედ.

მაგრამ მარტო შოტლანდიის მაგალითი როდი ღაღადებს ხალხის განათლების დიდ მნიშვნელობას. მთელი ახალი ისტორიის კაცობრიობისა ამისივე მქადაგებელია. ბუნებით ღატაკი და მკაცრის გარემოებით მოცული ნორვეგია სახალხო სკოლების მეოხებით ისეთს კეთილ-დღეობას ეწია, ისე შეამცირა სიკვდილის მოკლეხანა და ისეთი მტკიცე სიუყარული თავისუფლებისა, დამოუკიდებლობისა და პატრიოსებისა დაამყარა გლეხთა შორის, რომ ბუნებით უმდიდრეს ქვეყნებისათვის ჯერედ კიდევ სანატრელია. შევეცამ და დანიამ სახალხო სკოლებისვე გაკლეხით ავ-კაცობა და ცუდ-კაცობა მეტად იშვიათი მოკლეხანა გასადგეს. ამ საუკუნის დამდეგში უძლეური, მიმსხვრეული და ღარიბი პრუსიის სახალხო სკოლამ გარდააქცია ჩვენს ღრეს იმის-



თანა მძლავრ სასკლმწიფოდ, რომ არამც თუ მთელი გერმანიის ჰეგემონია, უფროსობა, იგდო ხელში, მთელის ევროპის ლატბარცე შეიქნა. ამერიკა გადაიქცა უმდიდრეს ქვეყანად, რადგანაც იქაური გლეხი და მუშა, სკოლაში სწავლით განვითარებული, იმოდენა ხერხსა და სიმარჯვეს იხენს მუშაობაში, რომ დღეში ერთი-ორად მომეტებულს აკეთებს ევროპიელ მუშასკდ... ევროპის სასკლმწიფონი, რომელნიც ჯეროგანს ყუ-რადლებას არ აქტევედნენ აქამდის ხალხის განათლებას, დიდად დასჯილ იქმნენ.

ინგლისის ისტორიის იღბლიანი მსგლელობა, მეტად მარჯვე მდებარეობა ოკეანეში, ბუნების სიმდიდრე და თავისუფალი სასკლმწიფო დაწესებულებანი ფრად ხელს უწყობდენ ამ ქვეყანას და იგი უნდა ყოფილიყო უბედნიერესი სასკლმწიფო მთელს კაცობრიობაში: მაგრამ რასა ვსედავთ? უფრო მომეტებული ნაწილი ინგლისის ხალხისა იმისთანა სიღატაკეშია, რომ მილიონ ნახევარი მცხოვრები მხოლოდ მოწყვლებითა სცხოვრობს; არც ერთ ევროპიელ ქვეყანაში არ მოიძებნება შუა საუკუნის იმდენი მავნე დაწესებულებანი, როგორც ინგლისში, არსად არ სუფევს ისეთი სასტიკი იერარხიული ქვეშევრდომობა, როგორც იქა. რამ შეუშლას კვალი ინგლისსა და რამ დაატრიალას მასში ამოდენა მოტვეი ვაჭარებისა და უბედურებისა? ხალხის გაუნათლებლობამ. ინგლისის მიმართებლობა ან სრულიად არა ზრუნავდა ხალხის განათლებისათვის, ან ძლიერ ნაკლებ. მის აზრით თვითონ ხალხს თავში ქვა უნდა ეცა და, თუ სურდა, თავის ნებით და სარჯით გაქმართნა სკოლები. ინგლისის მქამუელეთა და ვაჭართათვის ეს სასარგებლო იყო, რადგანაც უმეტარი ხალხი უფრო ძნელად გამოვიდოდა მათის ყურ-მოჭრილ ყმობიდან; მაგრამ თვითონ

ხალხისათვის კი ეს გარემოება შეიქნა დამღუბანო. ესლა ინგლის-  
ში მრავალჯერ სიმდიდრე და ცოდნა ტრიალებს, მაგრამ ვისთვის?  
მხოლოდ უმცირესას ნაწილისათვის. უმრავლესობას კი მხო-  
ლოდ თვალები ებრცება შორიდგან და მისი წვალება მატუ-  
ლობს სიმდიდრის ცქერით, რომელიც იმისავე ოჯლით და  
შრომით არის მოპოებული.

ამ გვარსავე მაგალითს წარმოგვიდგანს საფრანგეთის ის-  
ტორია. არა ქვეყანას არ გამოუჩენია იმდენი მხნეობა, გაბე-  
დულობა და თავ-განწირულება თავისუფლებისა, ძმობისა და  
ერთობის მოპოებისათვის, რამდენიც აღმოაჩინა საფრანგეთმა;  
მაგრამ ბოლოს სწამდის ყოველივერი ამაოდ მიდიოდა. ყო-  
ველის გამარჯვების შემდეგ თავისუფლების მზე მხოლოდ რავ-  
დენსამე თვეს უნათებდა ამ საკვირველს ხალხსა და მეტე ისევე  
ხანგრძლივი სიბნელე დესპოტიზმისა დამყარებოდა ხოლმე. ესე  
ხდებოდა იმიტომ რომ საფრანგეთი ასალ შენობას სასულეწი-  
ფო წუობილებისას ზევიდგან იწუობდა და ყუწადლებას არ  
აქცევდა მაგარის სამიწვეულის ჩაყრასა; მისი თვალი მიპურობი-  
ლი იყო შუა ღ მალალ წოდებისაგენ და დაბადის ხალხის გონე-  
ბის განათლებისათვის სრულიად არა ცდილობდა. ხალხის უმეტ-  
რებაზედ აშენდა პირველის ნაზოლონის დესპოტიზმი, იგივე  
უმეტრება იყო ბურბონების მფლობელობის სამიწვეული, ამავე  
უმეტრებაზედ დაამყარა თავისი გამრყენელი და ქვეყნის დამ-  
ღუბველი სისტემა ნაზოლონ მესამემ, რომლის პლებიციისტებ-  
მა აშკარად დანახვეს განათლებულს ნაწილს საფრანგეთისას,  
რ საშინელი ძალაა ხალხის უმეტრება დესპოტის სელში და  
რ უდიდესი შეტდომა მოუვიდა საფრანგეთს, რომდესაც ისე  
ნაკლებად აქცევდა ყუწადლებას ხალხის განათლებას. სრული ჭეშ-  
მარიტება აღიარეს მათ, ვინც საფრანგეთის და პრუსიის ომის

შედგებ სთქვეს: სახალხო მასწავლებელმა სძლია საფრანგეთსა და დიად, გერმანიას საშინელი მოკავშირე ჰყავდა თავის მტრისათვის საფრანგეთთან ომის დროს, და ეს მოკავშირე იყო — უმეტრება საფრანგეთის დაბადის ხალხისა. იშკიათი, თითქმის უმაგალითო უბედურება დამართა ხალხის უმეტრებში საფრანგეთსა. ხსენებულ ქვეყნას ეს უბედურობა, ძირს დასტყმდა, მიწასთან განადგურებდა; მაგრამ სასიხარულოდ უნდა ვეფლოს კაცობრიობის მოყვარისა, საფრანგეთმა ამოიჩინა საღვრადი ძალა ამტანელობისა, და საკვირველის მხნეობით შეუდგა ძირიანად ამოფხვრას თავის უმთავრესის სენისას. ხუთი-ექვსის წლის განმავლობაში საფრანგეთის რესპუბლიკამ ხალხის განათლება ისეთს ფესვად დააყენა, რომ ათის წლის წინად ყველა სწავლამწიფოზად უკან ჩამოიხრამილმა საფრანგეთმა ახლა ყველას წინ გაუსწრო სახალხო განათლების ორგანიზაციით. ეს ორგანიზაცია ახლო მომავალშივე დიდს ჩაყოფს მოუტანს ამ ქვეყნასა და ძირიანად შესცვლის ხალხის გონებოთს მდგომარეობას; ნასწავლი ხალხი შეიქნება შეუწყვეელი ბურჟოაძობისა, თავისუფლებისა და თანასწორობისა და ყოველად შეუძლებელს გახდის მოკლენას იმ ჭკარ ავანტიურისტებისას, რომორიც იყო ნაპოლეონ მესამე.

ახლანდელი ბრძოლა შრუსიაში ბისმარკსა და შარლამენტს შორის ცხადად გვიხატავს, თუ რა ძნელია ხალხის თვალის აბმა და მოტყუება, როცა მას სწავლა მიუღია თუნდაც იმისთანა მიმართულებით ვიწრო სკოლებში, რომორნიც არიან გერმანიის სკოლები. ბისმარკს დიდი ღვაწლი მიუძღვის გერმანიის წინაშე; თუ იგი ესლა ერთს და მძლავრს სახელმწიფოს წარმოადგენს, — ბისმარკის მეოხებით; ბისმარკს არის დიდის ჭკუის, იშკიათის ნიჭის და რკინისაგით მტკიცე

სასაათის პირი და ამასთან უზომოდ ნდობა აქვს მისი იმპერატორს. უსწავლელს ქვეყანაში ამისთანა პირი რასაც მოინდომებდა იმას იქმნადა, რადგან ხალხიც მას დიდის წაღიით გვერდს დაუგრავდა. მაგრამ გერმანიაში კი ბისმარკს ძალიან უჭირდებოდა თონში გასვლა და გერც ეწვეა თავის გულის-წაღილს, რომ გორც ეტყობა. რა ოინები არ ჩაიდინა, რომ სასულძიფიფოს მართვა მარტო თავის ხელში ჩაეკლრა და მარტო თავის ნებაზედ ეტარებინა; დაბალის ხალხის მდგომარეობაზედ დიდი გულის-ტკივილი აღმოჩინა, რასაკვირველია, სიტყვით, — სოციალისტობაც კი დაიწყო და ხალხს ეუბნებოდა: ოღონც ჩემს ნებაზედ მოაგდე საქმე, ჩემის აზრების თანამგძმობნი აღმოჩნები დეპუტატებათ, და მე ვიქნები ისეთი მწიფნველი მამა, რომ საყოველთაო კეთილ-დღეობას დავამყარებო. მაგრამ გერმანიის ჩასწავლმა ხალხმა ეს პასუხი გასცა: გერც მორგართვიო! რომელ თავის-ნება გაცს დაუმყარებია სასულძიფიფოში კეთილ-დღეობა, რომ შენ დაამყაროგო. ჩემი გაცჩირება, ჩემი ლხენა, ჩემი საქმეები მე უფრო უკედ მესმის, მე უფრო შემტკივა ქვეყნის სიკეთეზედ გული და ისე რეგგენი ოლოდი ვარ, რომ სასულძიფიფოს მართვა მთლად ხელიდამ გაუუშვარ, — და გაუგზავნა პარლამენტში ისეთი დეპუტატები, რომელნიც სასტიკი მოპირდაპირენი არიან ბისმარკისა და ერთს ნაბიჯსაც არ დაუთმობენ მის თავის-ნებობასა. ეს შეუპოვარი ბრძოლა მძლავრის ბისმარკის წინააღმდეგ ცხადად გვიტკიცებს გერმანიის ხალხის მოძიფიფორობასა და უქადის მას მოკლე ხანში ბედნიერს და დიდებულს მომავალსა. . . .

საქართველო ეკუთვნის იმ ქვეყნების დასსა, სადაც ხალხის განათლება უდიდესს საჭიროებას შეადგენს და სადაც მას შეუძლიან უდიდესის სიკეთის მოტანა. რუსეთზედ აშობენ,

გლეხების სახელმწიფოაო. ეს სიტყვები მომეტებულის სიმაკ-  
 თლით შეიძლება ითქვას საქართველოზედ. ერთ მილიონ ხალ-  
 ხში ასი ათასი ქალაქის მცხოვრები არ ურევია, თითქმის მთე-  
 ლი ქართველობა სოფელადა სცხოვრობს. თვითონ ქალაქელებ-  
 შიაც მომეტებული წილი ქართველებისა მუშა ხალხს შეადგენს.  
 ვაჭართა წოდება ჩვენში თითქმის არ არსებობს, თავად-აზნაუ-  
 რობას, როგორც წოდებას, მომაკალი არა აქვს. ერთის სიტ-  
 ყვით მთელი ჩვენი ქვეყანა შესდგება თითქმის მარტო მეოთ-  
 ხე წოდებისაგან. ამიტომ ჩვენის ქვეყნის ბედი და უბედობა  
 დამოკიდებულია ამ წოდების აღორძინებაზედ, ხალხის წარმა-  
 ტებაზედ. ამ აღორძინებას, წარმატებას ჩვენ თავის დღეში ვერ  
 მოკვსწრებით, თუ ხალხის განათლებას მხნედ და მხურვალე  
 გულით არ შევუდგებით, თუ დვიძლის დედის სამსახურს არ  
 გაუწყობთ და თუ დედი-ნაცვლის ანაზრად დავტოვებთ მას.  
 სკოლებმა, განათლებამ ჩვენი ხალხი გონებით უნდა განავითა-  
 როს, სწეობით აღამაღლოს, დავლათი შესძინოს და კეთილ-  
 დღეობა დაუმყაროს. სახალხო სკოლა ამასთან არის უკეთესი  
 დონისძიება ჩვენის ვინაობის აღდგინებისათვის. ჩვენი ლიტერა-  
 ტურა, ჩვენი მწიგნობრობა იქამდის იკოჭლებს ორთავ ფეხებით,  
 იქამდის იქნება ღონე-მოკლებული და გაკლებით უძღური, მა-  
 ნამ ხალხი არ დაიწყებს ჩვენის ნაწარმოების კითხვასა, და კით-  
 ხვა მხოლოდ მაშინ შეიქნება მისთვის აუცილებელ საჭიროე-  
 ბად, როდესაც იგი სკოლას გაივლის. ყოველი დაბრკოლება,  
 რომელიც კი ხალხის განათლებას უშლის ჩვენში, უნდა გზიდ-  
 გან ჩამოვაცალოთ მას, ყოველი კარემობა, რომელიც ამ  
 გზაზედ გადაგკეობება, უნდა გაუქმებულ იქმნას. ყველაიერ-  
 ზედ უწინ ის უნდა გვანსოვდეს, რომ ხალხის განათლება ძნე-

ლი და რთული საქმეა და ითხოვს განუწყვეტელს სიბეჯითეს და უხვს შეწირულებას. გრძობით აქ აჩაფრებია გაკეთდება.

ეკრძაში კერძო საზოგადოებანი, საღვთის განათლების დასასმარებლად დაწესებულნი, ყოველ-წელიც მილიონობით ეწევიან ამ საქმეს. ჩვენ კი წელიწადში რაღაც საცოდავს სამასა, რათხასს თუძანს ვაწოდებთ წერა-კითხვის საზოგადოებას და ძალიან ვუწყრებით, რატომ რჩის წლის განმავლობაშია ქართველობა მთლად არ განათლება. იმის მაგივრად რომ ჩვენი გულგრილობა გავამტყუნოთ, ის გულ-გრილობა, რომელიც ექვსის მანათის მიწოდებასაც წელიწადში შეუძლებელს საქმედ ჭნდის, ჩვენ გადავწოდებთ საზოგადოების მმართველობას და მისი კიდევსა ყოველ-დღიურ უსაქმო — საქმედ გაგვიხდია. არა, ბატონებო. გაუგებრობით, ღანძლით, გინებით, ჭოროთ, ცილის-წამებით, მოქმედების გადასაკავებრებით და ბავშურის სიბრყვით რომ საქმე კეთდებოდეს, აქამდის ჩვენი ქვეყანა ასის კერძის სიმორჩულედ გაუსწრობდა მთელს ეკრძასსა. მაგრამ უკვლავ ეს შემოკლებლობა აღაძიანისა მხოლოდ სელს უტარავს საზოგადო მოქმედებას და წარმატებით მსგულლობას ერთად ათად უძინელებს. თუ ჩვენ მართლად გული წრთელად გვიტერის. ხაღვის განათლების წარმატებისათვის, თუ ფართი-ფურთობის იქით რაიმე ნამდვილი გრძნობა და წადილი გვიღვივის, ჩვენი ყოფა-ქცევა ძირეულად უნდა შევცვალოთ: გულ-წრთელად დაკვამაროთ საზოგადოებას ყოველის დონისიებით, მივაწოდოთ დროსად, რამდენისაც შეძლება გვაქვს, მოკუძრით სული სახალხო სკოლების დამართვას; სადაც კი ენა მიგვიწვდება ყველგან ვიჭადგოთ საჭიროებასად და მნიშვნელობასად საღვთის განათლებისა, თვალს და ყური ვადევნოთ საზოგადოების მმართველობის მოქმედებასა, მივსცეთ აწონილი და გონივრული

ჩვენნი, ვიხასოთ მის შეცდომილებასუდ, გავხსოვდეს, რომ ყოველი ჩვენგანი ზნეობით ვაღდებულა სწიოს ის უღელი, რომელიც მხოლოდ მძაწთკელობის წვეგრების კისერზედ დაგვიდვია და გადაკეციოთ იმ ბაკშურს—ბრიყუს კილოს, რომელიც გონიერს და დაზიანეს ადამიანს სრულიად არ შეჭყერის, რომელიც ჩვენ, შეიღველებს, გვარცხვენს საზოგადოების წინაშე და უგარგავს ჩვენს სიტუკას და ნაწერს ყოველს მნიშვნელობას.

ჩვენ ვიხენტ საშინელს წვრილმანობას ამ საქმეში უფრო იმიტომ, რომ მისი დიდი მნიშვნელობა სრულად არ გვესმის. ეკრძა, რომელსაც ახლას შეგნებული აქვს საღხის განათლების ძლიერი გავლენა ქვეყნის ბედის ტრიალში, მოქმედობს სრულიად სხვა გვარის იარაღით ღ ისეთის უურადლების დამყარებით და მხნეობით ებძვის საღხის უმეცრებას, რომ ჩვენ დროს დაეჩქვა შედაგოგიური დრო, შედაგოგიური საუგუნე. ჩვენც უნდა დავამტკიცოთ, რომ დროს მოთხრვნილება გვესმის, გვესმის საღხის განათლების მნიშვნელობა კეთილად წარმართვისათვის საარსო ბრძოლისა, რომელმაც ჩვენშიაც ბოლოს დროს ცხარე მსუღელობა მიიღო. დავამტკიცოთ, რომ შეგნებული გვაქვს შემდეგი მრავალ-მნიშვნელობიანი სიტუკები ერთის გამოჩენილის ინგლისეღისა: მომავალი ეკუთვნის სახალხო სკოლას; მალე დადგება დრო, როდესაც ქვეყანას მონადირებს, უმაღლეს პატივისცემას დაიმსახურებს სახალხო მასწავლებელი.

\*  
\* \*

გულ-დაწვეკით ცაზედ ვაძებ  
ჩემის ქვეყნის ბედის ვარსკვლავს,  
მაგრამ მისი უჩინრობა  
სულს მიწუხებს და გულს მიწულავს.

სად ხარ, სადა, ჭე ვარსკვლავო?  
გელოდებით გულის ძეგლით;  
უშენობით წამთრის სუსხით  
გავთოშლით და დავიძვრით.

აკი ძველად ბრწყინვალეობით  
თავს ადებო შენს ივერსა,  
და ბრძოლის ველს უნათებდი  
სახელგანს იმის ერსა,

აწუ გვაჯით გამობრწყინდი,  
სხივნი შენნი მოგვავარე  
და ესდენ ხნის შაკი ბინდი  
გაჭყანტე და გადაჭყარე.

ი. ბაქრაძე.



\*  
\* \*

ტუროვს ვარდად,  
დაუმტყნარად,  
მსუგის სატროფოვო მარად იყო,  
მე კი ჩიტი,  
ანუ გვრტი,  
თავისუფლად მივრენი ვიყო,  
რომ შენს გულში,  
აღვზნებულში,  
გავაკეთო ტროფობის ბუდე,  
ზამთარ-ზათესულ,  
დღე ღ ღამ სულ,  
შენს სიტუროფეს დაკმდეტოდე.  
და იმ მღერით,  
გულის ძკერით,  
მთა და ველი იმკობოდეს;  
კინტ ისმენდეს,  
უველს სძკერდეს,  
და ჩვენს ბედსა დანატროდეს.

ი. ბაკრაძე.

## ნახული და გაგონილი.

(მგზავრის შენიშვნები).

თბილისიდან გასვლა. — თელავის აღმართი. — ცალ-მხარეს თბილისი, მეორე მხარეს სომხეთი. — ჩემი მგზავრად და ადამის-ყასისებური ბასი. — მარაბდა. — არახლო და არღლი. — არეული მოსახლობა. — კაცის კვლა - ქათმის კვლა. — ნემეცების კოლონია. — გლეხ-კაცის აწინდელი ჩივილი. — უცხო-ქვეყნელები ჩვენში. — მინისა და ყველის ქარხანა. — ნემეცები თრიალეთში.

ცივს ნოემბრის დილას მე და ჩემი მგზავრი გავედით ცხენებით თბილისიდან და შევუდექით თელავის აღმართს. პირველი სოფელი, რომელსაც ჩვენ გავივლიდით, უნდა თქვითი ყოფილიყო. თბილისიდან რა გზა მიდის ამ სოფელამდის, ერთი ურმისა და ქაეტონისა გარშემო უკლის თბილისის სამხრეთით ამაღლებულს მთას და მეორე, თითქმის ერთი-რჩად უფრო მოკლე, გადადის პირ-და-პირ ამ მთაზედ. ეს მოკლე გზა, კლდე-ღრეებში რას წვალებითა და ტანჯვით გამოქანდაკებული და ათასს ალაგას მისვეულ-მოხვეული მართლ ქვევითის საღისისათვის არის კარგი და ცხენიანებისათვის, თუ, რასაკვირველია, ესენიც აღმართზედ დაიქვეითებენ. როგორც მოგასახსენეთ, იყო დილა და ქალაქიდან თითქმის მგზავრი არავინ გამოსულიყო; ქალაქისკენ კი კარგა საღისი მოდიოდა: ჩვენ შემოგვხვდნენ წინ სამიოდ სოფელი დედან-

კაცი; იღლებში ზოგს კარიები ამოეჩანა, ზოგს კვერცხებით სავსე კალათი; ცოტა უკან მოდიოდა მძიმედ დატვირთული გირი ისევე ამ გვარივე სოფლის ნაწარმოებით, და თან ხტომითა და თამაშობით მოსდევდნენ ჰატარა სოფელელი ბატკები. გავცდით კიდევ ჰატარა გზას, კვერდზედ ნახად-წამოსხმული სოფელელები შემოგვხვდნენ და მწკრივად მიეშურებოდნენ თბილისისკენ—მწკრივად იმიტომ რომ ვიწრო ბილიყზედ ორის კაცის ერთად გავლა შეუძლებელი იყო. ეტუობა, ამ სერზედ და სერს იქით მდებარე სოფლები დიდს მონაწილეობას იღებენ ქალაქის ვაჭრობაში, თუ ვი ათის-თორმეტის ვერსის საძნელა გზის გავლას არ ერიდებიან, ოღონდ ერთ ვარაში ან ერთს კალათს კვერცხში ათი შაური ან ერთი მანათი აიღონ და ისე იმავე სატანჯავ გზით საღამოზედ შინ მიიტანონ.

გიორგობისთვე იყო, მაგრამ ოფელში ვცურავდით ჩვენცა და ცხენებიც, როცა მალეობ სერზედ აკედით და ორსავ მხარეს ჩინებული სურათი წარმოგვიდგა. ჩრდილოეთით მოსჩანდა თითქმის მთელი თბილისი, მხოლოდ მთა-წმინდის ეკლესია მერცხლის ბუდეცავეთ მთის იღლიაში შემალულიყო და მარტო ერთი გუნჭული-ღა უჩანდა. შორიდან ეს უზარ-მაზარი ქალაქი მკვდარს უძრავს ქალაქსა ჭკვანდა და სიცოცხლე მხოლოდ ბუნებრივად ამოსულს კვამლზედ ეტუობოდა და გაურჩეველს, თანახარს ხმაურობაზედ, რომელშიაც ოდნავ მოისმოდა ზარების რეკის ხმა და კარვად გარკვევით ყურების-ვამომტედი წივილი. გავარჩიე კიდევ მიზეზი ამ წივილისა, შორს, ქალაქს გარედ, მოსჩანდა ორთქლით მატარებელი და ხამუშ-ხამუშად ისვროდა ბუნრიდამ შავს, გატყვარტულს კვამლს.

მეორე მხარეს, სამხრეთისკენ, სხვა სურათი წარმოვიდ-

გებოდათ; გადაშლილი, უტყუო მინდვრები, მარცხნივ დაკლავ-  
 ვნილი მტკვარი, მარჯვნივ, მთის კალთებში მიკუნჭული ზა-  
 ტარ-ჰატარა სოფლები და შორს, სამხრეთისკენ მთები, რო-  
 მელნიც ერთი-ერთმანერთს თითქო ზურგს უკან ამოჭყარე-  
 ბოდენ და მხოლოდ მათი წვეკები სხვა-და-სხვა ფერად გა-  
 მოსჩანდნენ ცის კამარზე: დაბლა შავის ტყეებით დაფარულ-  
 ნი; მაღლა ესლა მოშიშვლებულნი, მაგრამ ზაფხულაობით აძ-  
 წვანებულ სამოვარ ბალახით მოსილნი; კიდევ უფრო მაღლა,  
 მთის სერებზედ, გაუდნობელის თოვლით დატვირთულნი.

საზოგადო სასიათი თბილისის არე-მარისა არის უტ-  
 ყუობა. თბილისის მცხოვრებთათვის ამის მაგალითებით და-  
 მტკიცება საჭირო არ არის. ყოველის მხრიდან თბილისს მო-  
 ტიტულებული, უნაყოფო, კლდისანი მთები ასევეა, მაგრამ ამ  
 მთების მეორე მხარეებიც მოკლებულია ხე-ტყეს. სერის გა-  
 დაღმა, მთის კალთებზედ მდებარე სოფლები: ფელეთი, ყუმი-  
 სი, ერტისი, კაშლოვანი და სხვ. შესანიშნავნი არიან იმითი,  
 რომ ჩრდილოეთის ციკს ქარს არავითარი, გაკლენა არა აქვს  
 მათზედ. აი ამითი აიხსნება, რომ სადაც კი ამ სოფლებში ვე-  
 ნახი და ხესილი არის გაჩენილი, ყველგან ტკბილი და გემ-  
 რიელია. ხილისა და ყურძნის სიტკობა იმ შაქრის სიბევრზედ  
 არის დამოკიდებული, რომელიც ზაფხულის განმავლობაში  
 ჩნდება მათს წვენში, და რაც უფრო მხურვალე მზე დაჭურვებს  
 ხესილს და კენასს, და რაც უფრო ჩრდილოეთის ქარები არ  
 აციკებენ მათს არე-მარეს, იმდენად შაქარი მეტი ტეთდება და  
 ხელიც უფრო ტკბილი გამოდის. აი ამიტომ არის მაგალი-  
 თად ქალაქში გათქმული სიტკობითი ყუმილისი ლეღვი.

მაგრამ მუდამ სამხრეთის ქარების ბერვას და სამხრეთის  
 მზის სიმხურვალეს თავისი ცუდი თვისებაცა აქვს. სემოხსენე-

ბუღს სოფლებში წყალი ნალექები აწის და გვავამ ძალე იცის ჭინწახულის ამოგდება. მათ მოტიტკლებულ მინდვრებს მწკნრიც უფრო ეტანებიან და თბილისის ანუ-მარე საუკეთესო საბუღანთაგანია კალიისა და სხვა მავნებელ მწკროთაჲც.

მაგრამ მგონი მკითხველს მოსწყინდა უსულს საგნებზედ აძღენი ლაპარაკი. მგონი იმასაც მოუნდა აძღენ «აღწყრასთან» ცხოველი სიტყვა გაიგონოს, წაიკითხოს ისთანმე ნალაპარაკე. ბარემ მეც მომწყინდა, ბარემ მეც მომწყურდა ცხოველი სიტყვა, მაგრამ რა გაეწყობოდა: გვერდით, მართალია, ჩემი თანამგზავრი მოძღვედა, მაგრამ მე და ის ერთმანერთისათვის უსიტყვონი ვიყავით. ის იყო თათრის ჩათარი, მარტინის თოფით შეიარაღებული, მაგრამ სიტყვა-მასუს მოკლებული ყოველს ენახედ, გარდა თათრულისა. მე კი, ჩემდა საუბედუროდ, ერთი სიტყვაც არ ვიცოდი თათრული და გული კი მეჩინდა გამოკლავარაკობი ვისმე. ვცადე ჯერ ქართულად: ჩემმა მგზავრმა მხოლოდ რაი სიტყვა იცოდა: «კარგი» და «ცხენი», აღბად «ქერდობაც» ეცოდინებოდა, მაგრამ ჩემთან არ გამოუარაკებია. ვცადე მასუგან რუსულად: რუსულადც მხოლოდ ცხენის სახელი იცოდა; მეცე მოკინდომე ქართულს ენაში თათრულის სიტყვების გამომეხსა; მომაგონდა «აღლას», «კერდი», «იასში», «იოლ» და შესაფერი მნიშვნელობაც ვუპოვე, გარდა «იოლისა», რომელიც «ამინდი» მეგონა და «გზა» კი გამოდგა; ჯთამდის ჩამოვავლევინე თათრულად და ამ რაიოდ სიტყვის შემწყობით მოკრთეთ საყველ-პერო ლაპარაკი, რომელშიაც, რასაკვირველია, გრამატიკის ყოველი კანონი უარ-ყოფილი იყო და მხოლოდ სიტყვების ფესვებითა ვლავარაკობდით. ძილოლოგი რომ ვყოფილავიყავ, შემეძლო, დაკვირვებოდი ჩვენს ბასს და გამომეცნო ის კანონები, რა-

მლებზედაც აწიან შემდგარნი ზოგიერთა პირველის ხალხის ენები უმიძრხვროდ და უკანკლედობოდ.

გავცდით თელეთს, მარჯვენა დატკნისა უუმისი და მარცხნივ უუმისის პატარა ტბა, რომელიც უწინდელს დროში ბევრად უფრო დიდი უნდა ყოფილიყო. ამას ამტკიცებს ის ტრიალი სარკესავით მოკრინალებული მინდორი, რომელიც მას ჩრდილოეთით აკრავს. ეს მინდორიც უწინ ტბის ბსკერი იქნებოდა, ამოკესებოდა ქვიშით უსწორ-მასწორო ალაგი და მიიღებდა იმ გადაპტეულებულს სახეს, რომელიც ისე ამკარადა სჩანს ესლას, ტბის დაშრობის შემდეგ.

მივიდით კოდას და ჩამოვხტით დუქანში პურის საჭმელად. შემდუქნემ ყველაფერი გვიმოკვა, გარდა ხორცისა; ხორცზედ კი ბოდიში მოითხოვა, დღეს პარასკევიას და შაბათობით რომ გამოგვეკლათ, ბევრს გიმოკიდითო. შობის მარხვას იყო და მე გამაკვირვა ამ შაბათ-კვირის განჩევამ; მაგრამ თურმე კოდაში სომეხები უფრო ბევრნი სცხოვრებენ ქართველებზედ, თუმცა სომეხობა არაფერში ეტეობათ, გარდა რკულისა და თავიანთ წესზედ მარხვის შენახვისა. ესლას მომაგონდა, რომ ამას წინად გაზეთი «მშავი» სჩივოდა, კოდაში სამოც კომლამდე სომეხისა და ერთმა არ იცის სომხური ლაპარაკიო. მხოლოდ მდუქნეებს დასტეობათ «მოქალაქობა» მათ მოტურტლულს წინ-საფარზედ, გაქონილს კოტიტა ხელებზედ და ფულისათვის მეტის-მეტის ზრუნვისაგან დაჭმუჭენილს სახეზედ.

რომელი სოფლებიც კი თბილისზედ ახლო მდებარებენ, მეტი სიკეთე და სიმდიდრე ეტეობათ. მაგრამ, რაც მეტს მანძილს გაივლით, სიღარიბე უფრო ძლიერად იჩენს თავს. კოდაში და იმის მიჯით მდებარე სოფლებში უფრო უწინად

შესვლებით მიწურს სახლებს და გაუზიდავს ნეხვის გროვებს ეზოებში, ვიდრე თელეთს და უემისს.

კოდადამ ოთხის ვერსის მოშორებით, ალგეთზედ ძევს სოფ. მარაბდა. რამდენი ძველებური და აწინდებური მოგონებაა ამ სოფლის სასკლთან შეერთებული: მარაბდელი არსენა, მარაბდის ბრძოლა, ცხრა ძმა ხერხეულიძე ერთად მოკლულნი იმ ომში, რომელიც მეფე თეიმურაზ პირველმა გაუწია შაჰ-ახანისაგან «სპითა დიდითა» წარმოგზავნილს ყოჩხიბაშს; ომი თეიმურაზ მეორისა ლეკებთან და მათი ძლევა.

«აჭა, ცხრა ძმანი, სასკლ-განთქმულნი,  
ძმანი გუფითად შეთვისებულნი;  
ვით წმინდა მსხვერპლი, ცად შეწირულნი,  
ერთს უამს, ერთს ომში, ერთად დაკლულნი!»

(რ. გრ, ორბ. ლექს: «სადღეგრძელო.»)

ალგეთზედ ორად იურება გზა. ერთი მიდის მარჯვნივ, აღბუღლისკენ, მეორე მარცხნივ ნემეტების კოლონიის კატე-რინძელდისკენ, სადაც მე გაპირებდი იმ დამეს დარჩენას. ალგეთამდინ მოსახლობა სულ ქართველობა და სომხობაა და სომხობაც ისეთი, რომელიც ზნითა, ჩვეულებით და ენით სრულებით შეთვისებულია ქართველებისაგან. ალგეთს იქით კი ირვეს ხალხი. აქა სცხოვრობენ თათრები იმისთანა სოფლებში, რომელსაც წმინდა ქართული სახელები აქვთ; სცხოვრობენ სომხები, ნემეტები, ქართველები, მალაგნები, დუხობორობი; ერთის სიტყვით ამ ალაგებს ეტეობათ ის აჭრელება, რაც საზოგადოდ წილად სვდათ მსუბუქად დასახლებულ ქვეყნებს გაკვასიაში. აქ გადმოფხვასლებიათ რუსეთიდან მალაგნები, დუ-

სობორები, რომელნიც განთქმულნი არიან თავიანთ წმინდა და სუფთა ცხოვრებით, შრომის-მოყვარეობით და რომელნიც იმიტომ გამოუდევნიათ თავიანთ სამშობლოდამ რომ მათი ღოჯები და საეკლესიო წესები მცირეოდენად განსხვავდებიან მართლ-მადიდებელთა წესებისაგან. სადაც კი შესვდებით კავკასიაში ამ სექტანტების სოფლებს, უკვლავნ კეთილ-დღეობითა ჭყვავიან, უკვლავნ უხვადა აქვთ მიწაც, მიწის მოსავალიც და უკვლავნ ერთმანერითი მეგობრულად, ძმურადა სცხოვრობენ.

მარტო უკანასკნელის დროის ამბავი არ უნდა იყოს ამ მხარეში უცხო-ქვეყნელების გადმოსახლება. აქაური თათრებიც, უეჭველია, სათათრეთიდან გადმოსახლებულები უნდა იყვნენ. ამას, სხვათა შორის, ისიც ამტკიცებს, რომ თითქმის უკვლავ თათრის სოფელში არის დანგრეული ეკლესია; ვინ იცის, ამ ეკლესიის მღვდლებების ჩამომავალი სპარსეთის რომელს კუთხეში იყვნენ დასახლებულნი?! გარდმოცემა მოგვიბახრობს, რომ შანგ-აბაზმა ასიათასზედ მეტი ტყვე წაიყვანა საქართველოდამ სპარსეთში და მათ მაგივრად თავისი ხალხი დასახლდა, რომ ამით უფრო მტკიცედ მოეკიდა ფეხი საქართველოშია. უეჭველია, რომ რაგი ეს საქართველოს ნაწილი, ესრედ წოდებული სომხეთი, შანგ-აბაზის ჯარის ახმარებთ იყო, აქედამაც გადასახლებდა ეს მძვინვარე ყაენი ქართველებს და დასახლებდა თავის ქვეშევრდომებს, თორემ უამისოდ რა არეკდა ასე თათრებსა და ქართველებს ერთმანერითი, როგორც ესაა არიან არეულნი.

მარბდიდამ ათს ვერსსზედ, ხრამზედ, არის რჩი სოფელი, ერთი-ერთმანერთის პირ-და-პირ: გამოდმა ქოლაგირი დანგრეულის ძველის ეკლესიით და გადმა არხლო, ან თათრულად არღლი. რჩივე სოფელი მარტო თათრებით არიან



დასახლებულნი და ერთი-ერთმანერთთან შშკენიერის ხილით შეერთებულნი. აჩხლეს იქით ზრის რამდენიმე სოფელი თათრებისა, შემდეგ ნეშტების კოლონიას და მასუგან კიდევ ქართველები სდგანან: ქვეში, დმანისში, მეუაში და სხვ. შიგა და შიგ შესვლებით თათრებისა და დუხობორების სოფლებსაც.

მარბდასს და აჩხლეს შუა სამი ცხენიანი თათარი წამოგვეწია; ისინიც ჩვენ მგზავრები აღმოჩნდნენ და ერთმა მწიგანმა ძალიან კარგად იცოდა ქართული. გამესარდა და დავაპირე მასთან გამწლასაწყება. მაგრამ ახლმა ნაცნობმა თითონვე აღარ დამაცალა; რა კი შემატოო, რომ ქართველი ვიყავ, მაშინვე შეითხა ჩვეულებრივის «სალოლის» შემდეგ:

— ან გაიგეთ ბატონო, ჭუსეინ-აღა რომ მოუკლავთ?

— ვინ ჭუსეინ-აღა?

— ჩვენი ჭუსეინ-აღა. იმ დღეს ექვსი კაცი დასცემიან გზაზედ იმასა და იმას ბიჭს და სულ ხმლით აუჩეხიათ.

ეს ამბავი მართალი გამოდგა. სამის დღის წინად თურმე ვიღაც თათრები დასცემოდნენ ერთს ნაპრისტაკალ აღლანს; რაღაც მტრობა ჭკონოდან და ჯაკრი მოკვლით ამოეყარათ. ბევრი ამისთანა ამბები ხდება თათრებში, რომელთაც კაცის კვლა და ქათმის კვლა ერთი ჭკონიათ; ეს მკითხველისათვის ახალი ამბავი არ არის: ღ ამის მგზავსის გაგონება აღარად მიგვაჩნია: ვინ იცის, იქნება როცა ვეროპაში ვაზსაკის სახელიც კი დაავიწყდეთ, ჩვენში მოგზაურობა ისევე ისე საშიში იყოს, როგორც ესაა. ძნელი ეს არის, რომ თითქმის ყოველივე დონე მოსაზობილია ვაზსაკების საზოგადოდ.

— გაგონება, ვის მოუკლავს ჭუსეინ-აღა, ვკითხე მე ჩემს თანა-მგზავრს, როდესაც აჩხლეს დაეუახლოვდით.

— რა მოგასსენო. ეჭვსი ალაღარი დაუჭერით აი ამ სოფ-  
ლიდამ (იმან მიმითითა არახლოზედ) და ქალაქში წაუყვანიათ,  
მაგრამ მოწმებს ვინ გასტყვას! მე ნამდვილად ვიცი—აქ ცო-  
ტა ხმა დაიძვინკარა—რომ მკვლელები ისინი არიან: ზოგს თა-  
ვის თავალითვე დაუნახავს, რაღა სჩებდენ თურმე, მაგრამ ვინ  
გაჭბედავს თქმასა. რომ ვისმე რამე წამოსცდეს, ისეთი დღე  
დაადგებათ მკვლელების ნათესაუებისა და ნაცნობებისაგან, რომ  
სულ თავ-ბედი იწუქვლან. წაიყვანეს ქალაქში, მაგრამ ჰატარა-  
ხანს უკან ისევ თავს დააღწევენ. თუნდა კიდევ საბუთები უზოგ-  
ნონ რამე, თავდებობით გამოუშვებენ და მამინ ვაი ამ მხარის-  
ბრალი!

ამ დროს ჩვენ მივდიოდით შუა სოფელში, გვერდზედ  
დაგვეჩხა უზარ-მასარი არახლოს ციხე, რომლისაგან თითქმის  
დაუზიანებელი კედლები მის შედარებით ახლად ნაშენობას ამ-  
ტკიცებენ. ესლა ამ ციხის გალავანში არახლოებებს ბოსტანი  
უთესიათ, მაგრამ ოდესმე კი ეს ციხე ძლიერი უნდა ყოფი-  
ლიყო და იქნება იმის წყალობითაგან დაერქვა ამ სოფელს თა-  
ვის სახელი (ხელი არ ახლო!). გზის აქედ-იქით მოჩანდა რამ-  
დენიმე ალაღარის სახლი; ეს სახლები ძალიან ცოტად განირ-  
ჩევოდენ გლეხ-კაცების სახლებისაგან; ეტყობა, ალაღარებს  
იმისთანავე მნიშვნელობა, ანუ უმნიშვნელობა აქვთ თათრებში,  
როგორც ზოგიერთა ჩვენს აზნაურებს ბლომად აზნაურებით  
დასახლებულ სოფლებში. არახლოებებში რაღაგან არჩევულებ-  
ნივი ჩინქალაი იყო, ზოგიერთა თათრები დაფაციცებით ჩა-  
ვაცქერდენ; იქნება ჩვენც ჭუსეინ-ადის თაობაზედ გამოგზავ-  
ნილები ვეგონნეთ, და ეტყობოდა, რომ მთელი ის მხარე ამ  
მკვლელობის ამბით იყო აღელვებული. ახლმა ნაცნობმა თა-

თარძა კრინტიც ალარ დასძრა, ვიდრე სოფელს სრულად არ გავსტილდით. ალბად ეშინოდა, იმასაც მეტის სიტუგის წამოცდენისათვის ჭუსეინ-ადის დღე არ დასდგომოდა.

ამდენ უსიამოვნო ლაპარაკის შემდეგ გულზედ მომეფონა, როდესაც დაკინახე უხვად ჩაჩგული ალვის-ხეები და მათ შორის ოთხ-თავიანი საყდარი ნემეცების კოლონიის — კატკინჩქელდისა. ასზედ მეტი მოსახლე უნდა იყოს ამ სოფელში და რა მოსახლე! ყველას ჩინებული სახლი უდგია, ბეკის ორ-ეტყუიანი, სუფთად მოკლილი, ლამაზის მოაჯირებით; კენახები საგანგებოდ შემუშავებულნი, სარების მაგივრად წვრილ მარგილებ-შედგმულნი; სამოკარი უხვად, სახნავი უხვად, ტყე უხვად. თავიანთ სამშობლოში ამ ნემეცებს ამოდენა მამული სიზმრადაც არ მოსჩვენებიათ. მამული ბეკრი აქეთ, მაგრამ მანც არ დაუტოვებიათ თავიანთი გამჭრიახობა, შრომისა და ცოდნის მოეგარება და რა გასაკვირველია, რომ აქ უფრო უკეთესად სცნოვრობდენ, ვიდრე თავიანთ ქვეყანაში.

კატკინჩქელდში ისეთი სასტუმრო ყოფილა, რომელთანაც ბეკრი ჩვენი მანრის ქალაქის სასტუმროები ჩაჩხნადაც არ მოვლენ. მთელი დღე ცხენით სიარულის შემდეგ კარგი მომსახურებელი მანა იყო პორცია კარგის (ანტრეკოტისა), ნახევარ ბოთლი ნამდვილი ღვინო და ვანშამს უკან ტკბილი ძილი, მაგრამ ეს უფრო ჩემთვის არის საინტერესო, ვიდრე მკითხველისათვის და ამიტომ სჯობს ისევ მალე გავიღვიძო და მალევე შევუდგე გზას.

ნემეცების კოლონიის იქით უფრო ქართველი სოფლებია. აქ სწიწრად შეხვდებით ქართველს გლეხ-კაცებს, კარგად თათრულის მოლაპარაკეთ. თითქმის ყველანი ყაფლანისშვილების ნაყმეკები არიან და ვინც კი მათი ნაყმეკი არ არის, ისიც

იმათს მძიმულზედა სდგას და ნება-უნებლიედ უნდა ეემოს, თუ  
 ან სამოვარი უნდა, ან ტყე. ტყე! ეს არის ესაა გლეხ-კაცობის  
 გაცხადი. საითაც არ მიიხედვით, ყველა ამას სჩივის,  
 ტყე შეგვეპირა, და ვინაწი ვკლავ გამოგვაქვს უფასოდ. სა-  
 ჩივარი თუმიცა სამართლიანთა, მაგრამ არც ტყის თავისუფლად  
 ხმარებით ეშველება საქმეს. ეშველება მხოლოდ მაშინ, თუ  
 გლეხ-კაცობა შუა-ცეცხლს თავს დანებებს და იმისთანა ბუნ-  
 რებს ან ფეხებს მოაწყოებს, სადაც არ იქნება საჭირო დი-  
 ლიდამ სალამოდუ ან რაღაც უფლის ცეცხლის დანთება. ზოგს  
 იქნება სიტყვადაც არ ეყოს, რომ გლეხ-კაცის მდგომარეობა-  
 ზედ ვლანაწაკობ და ფეხებისა და ბუნებისა გამართვას გურ-  
 ჩეკ. რა გაწყოება, რომცა სხვა ღონე არ არის, იმისთანა ღონე  
 უნდა ვარჩიოთ, რომელიც თუმიცა ძნელად და გვიან შესას-  
 რულელებია, მაგრამ ურომლოდაც ის დრო მოგვედის, რომცა  
 შეშისა და ფიხის მაგივრად პატრივი უნდა ვწვათ.

ნემეტების კოლონიას ჩამოუდის პატარა მდინარე, რომ-  
 ლის ხეობასაც აყუკვით მე და ჩემი მგზავრი. ვიარეთ ოც-და-  
 ხათ ვერსამდე დაბურულს ტყეში, თითქმის უგზო-უგვლოდ,  
 მთის კალთებში გაყვანილს ბილიკებზედ და უეცრად გაკედით  
 ქვით მშვენივრად მოფენილს მოსესებ. პატარა გავიარეთ და  
 და შიგ შუაგულ ტყეში დავინახეთ ქვით-კირით აყვანილი მ-  
 დალი ბუნარი და იმის გარშემო ოცობად პატარა ქვით-კირის  
 შენობა. ეს იყო მინის ქარხანა პრუსიელ ბარონის გუჩენბახის-  
 სა, რომელიც ამ თქვესმეტის წლის წინად გადმოსახლებულა  
 უგრომ-ფულად ჩვენში გერმანიიდან და ესაა დიდის შეძლე-  
 ბის პატარა. იმასა აქვს ჩინებულთ ყველის ძეგმა თრია-  
 ლეთში, რომელზედაც პატარა ხანს უკან მოვილანაწაკობ, და  
 ესაა აკეთებს მინის ქარხანას, სადაც თითქმის ხუთი-ათასი

თუმანი ფული ჩაუბნევია. შარშან მისში თურმე ჰმ ადგილას გაუტყნელი ტყე იყო; ერთბაშად მოსჭიდებია საქმეს ეს მხნე და გამჭრიახე ჯაჭი, გაუგაიყავს ტყე, აუშენებია მუშებისთვის, მოურავისთვის სახლები, და დაუწყვია ქარხნის კეთებაც. ჯერ ქარხნა მონად არ არის, მაგრამ ამ ორს-სამს თვესად მოასწობენ მოწობას და დაიწყებენ კიდევ მუშაობას. სწორედ გამიოცდა, როდესაც ამ წელიწად-ნახევარს აშენებულს სოფელში ჩამოვსტი და მისი აჭრელებული მოსახლობა ვნახე. უბრალო მუშებად იქაური მათრები და ქანთკელები არიან, მაგრამ მოთავკებად გერმანიიდან დაბარებულები; ესენი იმ პირობით წამოსულან აქ, რომ გუჩენბახმა უბეკეადა სკოლა უნდა აუშენოს და შვილები უსწავლელი არ დაუტოვოს.

კიკითხე, ვისთან უნდა ჩამოვმსტარავიყავ; თითონ ქარხნის პატრონი იქ არ იყო და ერთი ნემცია მუშა წინ წამიძვას და მიმიყვანა «Herr Director»-თან, ან ჩვენებურად მოურავთან, თბილს სუიუთა სადგურში, სადაც დირექტორის ცალი, პატრონ კმუხი ნემცის დედა-კაცი—სახქაროდ დაფაცურდა და ერთს წუთს კარგი უყათიანი საუბრე მომიძვადა.

ორის წლის წინად ამ სკობასუდ თურმე რივიანი ურმის გზაც არ იყო, მაგრამ, რადგან თბილისიდან გუმბრამდე აქედ ბევრად უფრო მოკლედა სჭრის ვიდრე ეხლანდელის ფოსტის გზით, მთავრობას განეზრახა თბილისი გუმბრთან და ყარსთან ამ მოკლე მანძილით შეეერთებინა და ფოსტის გზაც აქედ გადმოეტანა. გაეგო ეს გუჩენბახს, ამოერჩია ეს ადგილი მინის ქარხნისათვის და მთავრობას ამ პირობით შეჰპირდა: შენ ხომ მაინც შოსეს გზას აპირობ, ეს შოსეს გზა კატარინიქედამდე მაინც 1882 წლის თებერვლის პირველამდე გაიყვანე და მეც პირობას გაძლეე ამ ტყეში კარგი მინის ქარ-

ხანა ავაშენო და ამით მთელს მხარეს «დიდი სარკებლობა» მოკუტნო. თუ ვინცობაა ვადაძე ვერ მომიმხადო ეს გზა, რა ათასი თუძანი ჯარია ვადაძისადო. ან ესლა გავიგო, რაც გზა იყო ის მშენიერი ქვა-ტყევილი, რომელზედაც ტყე-ღრეში სუტილის შემდეგ გამოჟედით. როგორ მოხდა ეს რომ ამ შემთხვევაში მბრძანებელი მონად გადაიქცა და სტუმარი მბრძანებულად. . . . .

თორმეტის ვერსის მოშორებით, თრიალეთის მთის კალთებში, ამავე კუჩხნახსა აქვს გამართული ჩინებული ქერძა უკულისა და ერბოს საკეთებლად. რამდენიმე ათასი დღიური მიწა შეუძენია მას მთავრობის შემწეობით, საძოვარი საძოვრად დაუგდია და ურწყავი სათიბი ალაგები საწყვავად გადაუქცევია. შესანიშნავია მართლაც როგორის ცდით და მოხერხებით გაუყვანია საწყვავი თხრილები ამ უაღაგო ალაგას, ზოგან კლდეები თოფის წამლით დაუნგრევია და კლდის ნანგრევებით კედლები ამოუშენებია წყლის შესამაგრებლად. თითქმის ათს ვერსზედ მიდის ეს თხრილები სხვა-და-სხვა მხარეს და ხუთასს დღიურს უშრობელი წყალი აქვს. ერთგან ბუნებითვე ამოთხრილ და მასუგან ხელოვნებით გაგანიერებულს ტბაში გროვდება გაზაფხულზედ გამდნარი მთის თოვლის წყალი და ზაფხულობით ამ ტბით ირწყვება ერთი უშველებელი მინდორი. საწყვავი მიწა ორჯერ ითიბება, უწყვავი კი ერთხელ, და ამას გარდა საწყვავზედ ბევრით უფრო უკეთესი თივა მოდის და აი ამიტომაც მოუხმარებიათ ამოდენა შრომა საწყვავის აწყობის გაყვანისათვის.

თითონ ქერძაში ორას ორმოც-და-ათ სულაძე ძროხაა, მომეტებული ნაწილი შვეიცარიული საქონელი და ნარკვი თათროულ საქონელთან. ამას წინად ოსური ძროხებიც ბევრი ეყიდ-

ნა, მაგრამ თითქმის სულ ჭირს გაეწევიტა, წადგან ჭირი თურმე რსუტს ძროხას უფრო ემტერება. ამოდენა ძროხას, წასაკვირველია ბოსლებიც ბლომად მოუნდებოდათ და ჩინებულადაც არიან მოწუებილნი: ქვით-კირით აშენებულნი, ძინის ფანჯრებით, და ისე განიერნი, რომ საქონელი რაშირად იბმის. საჭმელი შუაში ეძლევათ ზემოდამ; პატრივი დღეში რაჭერ გააქვთ და ამის გამო ყველგან სისუფთავე გააოცებს ჩვენებურს კაცსა.

ამ ქერძაზედ კეთდება ყველი და ერბო. ყველი სხვა-და-სხვა ევროპიულს წესზედ — შვეიცარიული, ჰოლანდიური და სხვ. ზაფხულობით ნაღებ მოუხდელ რძისას აკეთებენ პირველისა და მეორე სორტის ყველს და ზამთრობით კი ნაღებსა ჭხდიან, მისას კარაქსა სდღებენ და დანარჩენის რძისას აყენებენ უბრალო, მესამე სორტის ყველს.

ამ ქერძის პატრონის სიტყვით, მას ყოველ-წლივ რვაასო თუმანი წმინდა შემოსავალი აქვს.

სწორედ მტკიცე ხასიათია საჭირო, რომ კაცმა ევროპიულს ცხოვრებას თავი დაანებოს, თრიალეთის გადაკარგულს მთებში იქნა მოიკიდოს, იქ ეცადოს თავის ცოდნისა და გამჭრიახობის გამოყენებას და მცხოვრებლებსაც თავის მაგალითით სარგებლობა მოუტანოს! სარგებლობა მოუტანოს! აქ შეეჩერდეთ პატარა და დეკაკვირდეთ, მართლს სარგებლობა მოაქვს რაჟე ჩვენთვის ამ უცხო-ქვეყნელებს, თუ მართლ თავიანთ ჯიბისათვის ზრუნვენ. ჩემის აზრით იმის მესადსაც არ გვასარგებლებენ, რაც იმათზედ ინარჯება. ბარონ გუჩინბახისათვის დიდ — ძალი შემწეობა გაუწევათ და რა მოგვიტანა მერე? ჩინეთის კედლით შემოუსდრუდავს მას თავისი ქერძა და ვინც კი ჩვენთაგანი მოინდომებს ამ კედელში ჯუ-

ჭუტანის ამოჭრას, მაშინვე კირით ამოუგებენ. რა გული შესტკივით ცხრა-მთა გადაღმელებს ჩვენთვის, რომ მათი ცოდნა ჩვენც გადმოგვცენ? განა არ იციან რომ მაშინ ჩვენებურები მათ მოცილებთ გაუხდებიან და მათგან ნაწარმოების ხელაჟნურად აწეულს ფასებს მიჩნე დასწევენ. საცა აქაურებს შეემლოთ ესწავლათ რამე, იქ თავიანთ ქვეყნელებსვე ამუშავებენ და ჩვენებურებს მარტო ძროსებს აწვევინებენ. ამოკებიან, ერთის სიტყვით იმისთანა საქმეს აკეთებინებენ, რასაც უმიძისოდაც შინაც აკეთებენ და ამასაც ისე მტირე ფასად, რომ გაუჭირვებელი კაცი ჩხირსაც არ გადმოაბრუნებდა. გუჩენასხის მშვენიერ ბოსლების გვერდით ათიოდ კომლი თათარი სახლობს და—სწეულს ჭეშმარიტებას ვამბობ—შეჭნატრის იმის საქონლის ბედსა! ამ გადამთიელებს რომ გული შესტკივინოდათ ჩვენთვის და მაგალითის გამოყენება შესაძლებელი უფთილიყო, განა ამისთანა მოკვლენას შეკვდებოდით, რომ ადამიანებს პირუტყვების ბედი შესანატრად გახდომოდეთ!

ისევ ვისურვოთ, რომ ჩვენ თითონ შეგვეძინოს ცოდნა, გამჭრიახობა, შრომის-მოყვარეობა და ჩვენ თითონვე გვეჩვენებინოს ჩვენს მოძმეთათვის კარგი მაგალითი. ისევ ვისურვოთ, რომ ის შესაწევარი, რასაც უცხო-ქვეყნელებს წილადს ვუდებთ, ჩვენ შეგვგვედროდეს და ჩვენსავე სასარგებლოდ გამოგვეყენებინოს... მაგრამ ცალეგრის სურვილით რა გამოვა.



## ნება რას ტირი, დედილო?

ნეტა რას ტირი, დედილო? რას ჩამომჯდარხარ კერასა?  
ასი მკრან გულში, მიჩქვინის მტირალი ქალის ცქერასა.  
ნეტა რას ტირი, დედილო? რას ტირი მუძუს ჭირიძე?  
ჯარს იძახიან, დედილო, — სად არის ჩემი ხირიძე?  
თათარი შემოგუსუვია, სწოვს და აბხრებს ქვეყანას,  
ქმა ქოხს თავზე დაგიაქცევს, მოგვითელს ვენახს და ყანას.  
ნეტა რას ტირი, დედილო? — რა დროს გლოვას შვილისა?  
გულში მკრეს, ორგან გახჭრიტეს ჩემი შერანგი შილისა.  
ნეტა რას ტირი, დედილო? დეე აქ ვიგბო დელოში,  
ხომ ველარ ჭნახა უჩქულოს ველარსად საქართულოში?  
ნეტა რას ტირი, დედილო? ჯერ ვერ წამოვალ შინათგან,  
მე აქ ვიგერებ ყვავ-ყორანს, თვალი მიჭირამს იმათგან.  
ნეტა რას ტირი, დედილო? სახლზე იყავი ფთხილად,  
იჩმა-ხარს მოუარევი, მარხის ალოკდე ხშირად;  
ყანა გამარგლეთ ბეჯითად არ მოერიოს ჭიოტა,  
ე ვაწა არ დამიმშიოთ, ფოცხვერს არ შემეჭმიოთ...  
ჯერ ნურას ეტყვი შენს რძალსა, ბაღლია, ამიტირდება,  
მოხამდის დაგვიწყდება, აღდგომს გამიფრინდება!...  
ნეტა რას ტირი, დედილო? რას ჩამომჯდარხარ კერასა?  
ასი მკრან გულში, მიჩქვინის მტირალი ქალის ცქერასა!...

თ. რაფ. ქრისტაფი.

## ზინაური მიმოხილვა.

კიდევ ლოდინი—ჩვენ რაღას ველოდით?—ლოდინით მომართული ადამიანი რასა ჰკვავს?—რის წამალია ლოდინი—თვისებანი ლოდინისა—ლოდინი და ერთი ლექსი რუსთაველისა—«ლოდინი» და «სულელი»—სასყიდელი ჩვენის საკუთარის ლოდინისა—თ. დენდუკოვ-კარსაკოვის დანიშენა მთავარ-მმართველად—მიზეზი საერთო სინარელისა—ლექსი შექსპირისა—იციან თუ არა?—ძველი და ახალი ლოდინი—რა თვალით და რა გულით—უამისოდ სულ ფეჭა—ერთი რუსული გაზეთი და ცვლილება—ნაფიცთა მსაფულება და ერობა—განათლების საქმე—სასულიერო საქმე—სახელმწიფო ტყის ხმარების საქმე—სახელმწიფო მამულების იფარით გაცემა—არაყის ბაჟი—საეკონომიო გზები.

მთელმა წლეკანდელმა წელიწადმა ძაბტო ლოდინით და-  
აღეკინა ადამიანს მისი უსისარულო დღენი. „ქსტეკრდა გლან-  
გული, ჰსტეკდა სურვილის წამთა ხშირად, მღოდენი მოსწყლას  
თმენამ,“ მაგრამ მანც ლოდინი და კვალად ლოდინი დაჩნა  
ჰკეუნას ნუგეშთა. მაგ ამო ლოდინმა სული და გული და-  
უმშია ადამიანს, ხელ-ფეხი გაუბაწრა, გაუტკითა ნიჭი ნატკრი-  
სა, გაუქსუა სურვილი, მოშალა ტანში და ერთობ მოუდუნა  
მთელი აგებულება უამისოდაც მოდუნებულნი. მაგ ლოდინმა  
იქამდინ ჩაითრია ყოველისფრით დაქვეითებული ადამიანი, იქამ-  
დინ დაიბრეკა მისი გუნება და ხალისი, რომ სხვაზედ აღა-  
რფურსედ აწ მასკდა აწც ჰკუა და აწც გქმნობა. დიდმა  
თუ ჰატარამ სული შუაგუბა, განბუღმა ყოველივე გქმნობა.

სმენადღა გადაიქცია, — აცა ხმა რამ გაიხმაურებოდა და ჩვენს ყურს არ გამოეპარათ. მაგრამ ამ ხელ-გაგეგმვას დუმილში ბუნის ბუნედიც არსით იყო: თითქო ქვეყანას ენა მუცელში ჩაუარდაო, თითქო ადამიანი თავის სიტყვიერების ნიჭს გამოეთხოვარა და როგორც მეტი და გამოუსადეგი ბარგი აისხნა და თავიდან მოიშორაო.

ჩვენ მანც რას ველოდით? რას ველოდით? კითხვა ადვილია, პასუხი კი ძნელი. ქვეყნის ჭირი ჩვენი ჭირიც არის. ჩვენც ქვეყანაში ვურევივართ და ქვეყანასთან ერთად ბევრი რამ საზიარო გვაქვს. პასუხად ესეც საკმარისია.

ლოდინით მოძარტული ადამიანი ბაჰში დამწვედულ პიტუტეკსავით ნებიერთა წევს და იცოხსება ხელ-ხელად, ტკბილად. ამ გვარის ყოფისათვის მარტო კბილია საჭირო დ მაგარი კუჭი. ღვთის მადლით, არც ერთი დაუზოგავს ბუნებას ადამიანისათვის და არც მეორე: კბილიც უჭრის საცოხს-ხელად და კუჭიც მოსანელბელად. ოღონდ კი საცოხსელი ჭკონდეს და სხვა არა უშავს-რა. საცოხსელი კიდევ თვითონ ლოდინია. კერც კბილს გასცვეთს და კერც კუჭს მოშლის, და მშიერს, როგორც იქნება გამოჭკვებავს.

ადამიანის გაბრუნებისათვის და თვითონ ტვივილების დაუხუხებისათვისაც მეტსრამეტე საუკუნის დასასრულმა ერთი უბარი წამალი იპოვნა. ეგ წამალი ლოდინია. ლოდინი ბუნებითად დინჯი რამ არის, მშვიდობიანი, წყნარი და მთხოვარსავით მედამ ხელ-გაწვდილი: მიაწვდი რასმეს მადლობელია და არ მიაწვდი, მანც მადლობელია. ხელ-გაწვდით და ღრეჭით თუიცა ჭკავს მთხოვარსას, მაგრამ უმადურობით კი არა. მთხოვარსას რომ არა მიაწოდო-რა, გულში მანც წუეკლა-კრულვას შემოგიოვლის, ლოდინი კი თავის დღეში მაგას არ იკადრებს.

ყოველთვის მადლიერია და კმაყოფილი. არც ერთს შემთხვევაში არც ფერს იცვლის, არც ზნესა. გაჩდა მაგისა, ლოდინი იმისთანა სასედარია, რომ არც სადავე უნდა, არც ჯილაკის დაჭერა. ოღონდ კი თითით, ან თვალით ანიშნეთ და საითაც გნებავთ, თავს იქითა იქს შესაფერის ღმერთს და მთქნარებითა. ამიტომაც უაღვიროდ სიარულის ნება მარტო ლოდინსა აქვს ამ შემობაწრულ სარბიელზედ, რომელსაც ადამიანის ცხოვრებას ეძახიან. თავის დღეში თავს არ მოგტაცებთ კარგად დაგეშილ ცხენსაკითა და თუ მოგტაცებთ, ისე შემოგარბენინებთ მთელ ქვეყნიერობასა, რომ არას გაწყენთ. თვითონაც ისიამოვნებს და თქვენც განსამოვნებთ. ოღონდ კი ფეხი აადგვივინეთ ლოდინსა და ადამიანის გულში ბინა გაუგეთეთ და ფიქრი და შიში ნულარაფრისა გაქეთ.

ლოდინში ერთი კიდევ კარგი ის არის, რომ მუქთია. რამდენიც გნებავთ ხარჯეთ, გროში არ გაგივასთ. მეორე კიდევ ის არის, რომ, თუ მოინდომეთ, დაუსრულებელი იქნება, ბოლო აღარ მოეღებ. ამ მხრით ლოდინი მეტად კარგი ხერხია და ოსტატის ვაჭრისათვის დიდად გამოსაყენი. შეიძლება ერთს რისამე ლოდინს რომ ბოლო მოეღოს, მაშინვე მეორე საგანი აუჩინო და ამას მიუსივო ადამიანის მუდამ დაშეუღლი გული. ამ გზით შეგიძლიანთ ადამიანის გულს არ მოაშოროთ ლოდინი არას დროს. ლოდინა თაკია. თუ ოსტატმა კარგად და ხერხიანად გამოიყენა, მაშინ ხსნილიც დაეპმის და დაბმული ხომ დაბმულია და დაბმული.

«ლოდინი ხსნილსაც დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების» — ესე რომ ეთქვა როსტეკანს თავის ქალისათვის როცა მეფეთა სვამდა, არ შევსტდებოდა. ნუ თუ მართლა რაც მღვრიე წყლისათვის შაბია, ის მღვრიე გულისათვის ლოდინია?..

ეს გძელებ ღაზანკვი ლოდინსუდ. იმიტომ მოვრთეთ, რომ ერთი ქართული სიტყვა აგვეხსნა და მისი ძირეული ძირი გვეპოვნა. სხვა ჩვენ ფიქრად არა გვეონია-რს და ნურც თქვენ იფიქრებთ. იცით «სულელი» საიდან გამოდის? ლოდინიდან. იცით «სულელის» ძირი რა არის? ლოდინი. ანა. «ლოდინი» და «სულელი» საიდან სადაც, იკითხვით. არც ისე შორს არიან ერთმანეთსუდ ეს სიტყვები, რომ გორც თქვენსა გგონიათ. იმ კაცს რას ეტყვი, რომელიც «სულ ელის და სულ ელის?» „სულ ელიო.“ მოჩნა და გათავდა. გამოცანა ჩვენ გვერგება.

სხვისა არა ვიცი-რს და საკუთრად ჩვენთვის ფრთა-გაშლილმა ლოდინმა თავისი სასყიდელი და გასამკვლელ მიიღო. ამ უკანასკნელს დროს გადაწყვეტილად ღაზანკვიობენ თ. დუნდუგოვ - კანსაკოვის მთავარ-მმართველად დანიშვნასუდ ჩვენში. ეს კი არ არის გასაკვირველი, საკვირველი ის არის, რომ დიდსა და პატარას უხარისხ იმისი ჩვენში მოსვლა. ზოგბ ამბობს. ვარანტოვის კაციაო და თუ ვარანტოვი კარგი იყო ჩვენთვის, ქვეტ კარგი იქნებაო. ზოგი კიდევ იძახის, უნივერსიტეტში გამოკლილიაო, მმართველობაში კარგად გამოცდილი და თუ მმართველს ეს რჩი ღირსება აქვს, დიდს სიკეთის იმედი უნდა გვეჩინდესო. ბევრ-ნაიჩს მიზეზს ამბობენ ამ საქრთო სისარულისას, მაგრამ ჩვენ კი სხვა გგონია. ამისთან ერთიანს სისარუელს ერთიანი მიზეზი უნდა ვქონდეს. და ეს ერთიანი მიზეზი ის არის, რომ ცვლილება მოხდა. არც მეტი და არც ნაკლები.

ჩვენ რომ ჩვენს თავს ბედნიერად ვგმნობდეთ, ცვლილება შეგვაწუხებდა, დაგვადონებდა, ვაი თუ რაღა გვაქვს, ისიც დაგვარგოთო, ვიტყოდით. მაგრამ... რა, რა კარგი რამ არის შექსპირი. გულთა-მხილავს რომ იტყვიან, სწორედ ის არის.

იძისი ერთი ლექსი მომაგონდა და თუმცა ამ საგანს, რაზე-  
დაც ვლანჯანაკობთ, არ უხდება, მაგრამ თვითონ ლექსი ისე-  
თი კარგია, რომ ვერ მომიტყენია, რომ აქ არ ამოვწერო.

«ცვლილება არის სამწუხარო ბედნიერთათვის,  
ბედ-გრუნნი კი მას სინარუნით მიეკუთნება.  
მაშ შენ, ჭე სვეო ცვალებადო, აწ სალამს გეტყვი...  
შენ მე შთამაგდე უბედური ვაების ზღვაში  
და რაც მიყავი, ამასევე მეტს ველაწას მიზამ.»

ამბობენ თ. დუნდუკოვის დანიშვნის ამბავს. ეჭვი აღა-  
რთვრისა აქვსო და მალეც აღსრულებაში მოვაო. ასე მალე  
თურმე, რომ იანვრის ბოლოს მოეღიან ახალ მთავარ-მმართვე-  
ლის მობძანებას. ამასაც ამბობენ, ვითომც ერთი აქაური სა-  
რისსოვანი მოსელე დაუბარებიათ. კიდევ შეტყობურღში, რომ  
ახალ მთავარ-მმართველს აუწყოს. აქაურის საქმეების ვითა-  
რება და ერთობ ყოველის მხრით ცოდინოს ჩვენი ქვეყა-  
ნა. არ ვიცით, რამოდენად ზედ-მიწევნით და საკმაოდ შეუს-  
რულდება ახალს მთავარ-მმართველს ეს დიად მოსაწონი სურ-  
ვილი. იქნება ვცდებოდეთ, მაგრამ მაინც ვიტყვით, რომ აქაურ  
მოსელებში ერთიც არ გვეგულება იმისთანა, რომელსაც არამც  
თუ შეესწავლოს ჩვენი ქვეყანა, ზომედ ამისი სურვილი ჭეონ-  
დეს და ამისი საჭიროება ეგრძნოს. ჩვენს ქვეყანას დიამბეგე-  
ბის მიწერ-მოწერით იცნობენ და დღეს აქამოდე ყველანი ერ-  
თად და თვითეული ცალკე ამ ცნობებით იკვებებიან. რა სეი-  
რი დაგვაყარა ამ მხრით შესწავლამ ჩვენის ქვეყნისამ, ეგ აშ-  
კარად ზედ ატყვთა ყოველს რეჭორმას, რომელიც შემოტა-  
ნილ იქმნა ჩვენში ამ ოცს წელიწადში. არ-ცოდნა ქვეყნისა გა-  
ნა მარტო იმ საგნებს დაეტყუო, რასაც რეჭორმა შეესო; ათა-

სი სსვა ტკივილის ჩვენში, რომლისათვისაც ჯერ უერიც არ უთხოვებიათ, რომელიც ჯერ სმენითაც არ გაუგონიათ. ქვეყნის მცოდნეს კი ეკ ტკივილები არ გამოეპარებოდა და თუ წამალს ვერას დასდებდა, დაკთარში მანაც მოაქცევდა სადალადებლად.

აქამოდვე ჩვენის ლოდინის საგანი ახალ მთავარ-მმართველის დანიშვნა იყო სომ. თ. დუნდუგოვის დანიშვნით ამა ს. ბ. ლო მოედო. ნუ იყო ულოდინოდ დავრჩით და დავიღუპებით? ანა, ბატონებო, ტყუილი შიშია. რუსეთის გაზეიყმა სსვა საგანი ლოდინის აკვირინეს და გვიხარება, ლოდინი ჩვენს გულს არ მოჭმორდება. რუსეთის გაზეთები, რაც ძალი და ღონება, ნაღარასა ქსტემენ, რომ აქაურს წესებს ცვლილება მოულისო. აი კიდევ ლოდინი წესების ცვლილებისა! დიდ-ხანს გვეყოფა საცოხსნელად, მერე უსარჯლოა და მუქთი, როგორც უკვე მოგვისხენება.

კიდრე წესების ცვლილებას შეუდგებიან ჩვენში, ჯერ ვველახედ უწინარეს გამოცნობილ და აღიარებულ უნდა იქნას ის, თუ რა თვალით და რა გულით უნდა გვიუფრონ ჩვენ. უნდა გამოცნობილ იქმნას, კარგად განსწავლრულ და ბეჯითად განმარტებულ—თუ ვინა ვართ ჩვენ და რანი ვართ. რომ არავინ დაგვწამოს მიდგომით ლაპარაკი, ჩვენ მოვიყვანთ აქ ერთის რუსის მწერალის ნათქვამს ამ საგანზედ: «ჩვენ, რუსებმაო, ამბობს იგი\*)», არ უნდა დავივიწყოთ თავის დღეში, რომ საქართველო სძლით არ დაგვიტყვიან, რომ ჩვენ იმათი თანასწორნი ძმანი ვართ და არა მძლავრი ბატონები. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართველნი შემოვიდნენ ჩვენს ოჯახში,

\*) Русская рѣчь. ნოემბერი, გვერდი 225.

მისთვის რომ ქართველადვე დაჩხენ და უცხო ჯიშმა, უცხო სარწმუნოებამ, უცხო ჩვეულებამ არ შთანთქას. ამიტომაც ყოველსავე ქართველს, ყოველსავე ქართველთაგან ისტორიით მოზოგებულს, ყოველსავე სალოცავს ერისას და წმინდად აღიარებულს, ყოველსავე თვისებას მათსა იმოდენად ჰატივი უნდა ვცეთ, იმოდენად მხარი მივცეთ და ხელი შევუწყოთ, რამოდენადაც ყოველს იგებს ჩვენს საკუთარს რუსულს. ჩავშირი მათა შორის იმაში მდგომარეობს, რომ ერთი მეორეს ძმურად შეეწევოდეს, ერთი მეორეს შეემსჭვალოს და არა იმაში, რომ ერთის ადამიანობა მეორეს მტლად დაედოს, ერთმა მეორე ჩაჭყლახოს. ყოველივე სახე ერისა, ყოველივე ერთვნობა ერთნიანად ბუნებრივისა და ერთნიანად კანონიერი, აგრეთვე ყოველივე ჩვეულება და თვისება.»

ცვლილების სურვილს რომ ეს კაცობრივი აზრი ააყოლონ, მაშინ ცვლილება სულ სხვა ნაყოფს გამოიღებს და ჩვენი ქვეყანა წელში გაიძარტება, იგებს-გაიძარტებს და იგებს-გაიძარტებული თავისთვისაც გამოსადეგი იქნება და სხვისთვისაც. სხვა გზა და სხვა აზრი ტყუილია და ყოველივე ცვლილება, რომელსაც საჩუქლად ეს აზრი არ დაედება, წყალის ნაყვანება, როგორც აქამდის იყო.

გარდა მაგისა ესეც წინადაცე ცნობილი უნდა იქმნას, — თუ ვის ეჭირება ცვლილება, რა მიზეზი აიძულებს ცვლილების მოხდენას. ამების მიხედვით უნდა დაინიშნოს, — ცვლილებას წინ რა საგანი დაედვას მისადწევად. ერთი რუსული გაზეთი ამ საგანს ცალკეოდ შეესო და ამბობს: «ეს უნდა გარდა გავკეთილი გვეჩინდესო. რომ არა გავკასიანა მოხელეთათვის, არამედ მოხელენი არიან გავკასიონისათვისაო » საგვირველია, რომ ამ ბოლოს დროს ამისთანა გულ-მტკივნეული სიტყვები გვეს-



მის. საკვირველია მით, რომ არა ვართ ჩვეულებრივნი. მაგრამ რა? სიტუაცია თქმას და არა ქმნას. თქმისა და ქმნის შუა დიდი მსდგავარია. ამას თვითონვე იგივე გასეთი ამტკიცებს. მოჭყეოლია, ბატონო, და იმასის, ეს მხარე უნდა მოვაცადოთ სამთავარძრობებს და ამას შევეუერთოთ. ეს მასზე და ის მასზე ერთ მასზედ ვაქციოთ, ესა და ეს გუბერნია გავაუქმოთ და ამა და ამ გუბერნიას მივაკეროთ, მთავარ-სამმართველო უნდა გაუქმდეს და მთავარ-მმართველის კანცელარიათ გადაკეთდეს და სსკანის ამ გვარნი. ეს ყველა კარგი და ჩვენ რა? კვსთქვასთ, კაკასიის სამმართველოს ორიოდე გუბერნატორი მოაკლდა, ორიოდე მასზეის უფროსი და ათიოდე მოხელე, მაგითი მითამ ქვეყანა კუჭს გაიძღობს? ეს და ამ გვარნი ცვლილება. სწორედ იმას ეგვანება, რასაც ოსუჯი რუსის მწერალი სხედრინი ამბობს: «ერთი გენერალი უფროსად მოვიდა ჩვენში თუ არა, მაშინვე გუბერნატორის კაბინეტში იატაკის აშლას შეუდგა. მაგრამ რა? აშლით — აშლას, ასაღის დაგება კი კვლავ მოასწრო, გამოსცვალეს, როცა მიდიოდა და გვეთხოვებოდა, გვითხრა: «ბევრი რამ კეთილი მინდოდა მექნათ, მაგრამ დემოკრატია, ჩემო მეგობრებო, არ დამაცალა.» მოვიდა ახლა სსკასალი გენერალი და მაშინვე მოისაზრა და თქვა: ეს რა მიუქარავთო! იატაკი კაბინეტში კი არ უნდა აეშლათ, არამედ სასტუმრო ოთახშიაო, და ამის დაგვარად შესაფერი განკარგულება მოასდინა. მაშინდაა, თუ ეს გენერალიც ძალე გადააყენეს და სსკასალი გენერალი მოვიდა, — ვინ იცის, — იქნება იმანაც ახლა სასადალო ოთახში მინდომის იატაკის აშლა და ამ სახით მთელი სასლი გუბერნატორისა თან-და-თან წაიბილწება, ჯეროვანის განკარგულების ნიჭს კი მანცა და მანცა კერ გამოიხევენ.»

კაცმა მართალი უნდა თქვას, იგივე გაზეთი ამასაც კი ამბობს, რომ საჭიროაო ნაფიცთა მსაჯულება (судъ присяжныхъ) და ერობა (земство) შემოვიდნათ თუ ეველგან გაკვასიაში არა, საქართველოში მაინცაო. კარგი და ზატიოსანი, ძალიან და ძალიან საჭიროა. ეს ორივე ცვლილება მეტად სანატრელია და შარებელი ქვეყნისათვის. ამას სიტუვას წინ არ უდგა. მაგრამ როგორ? ამ ორივე საგანს მრავალ-კაცი შედეგი და საჭიროება მოსდევს. თუ ერთი რამ გამთავდა, ისეც დატვირთულს უნდა ტვირთი მოემატება და ერთი ბეწო სიკეთე არ მიენიჭება. ახა ერთი მიბძანეთ, მოსამართლენი აქაურის ენის მცოდნენი რომ არ იყვნენ, რომ ადვოკატებმა ბრალმდებელმა მჭეკრ-მეტეველობის ყაბასი გამართონ სასამართლოში რუსულად, ქართველმა ნაფიცმა მსაჯულმა მართო ბუზები მოიგეროს, თუ რა ქნას. და თუ ნაფიც მსაჯულებს განონად დაუდებთ რუსულის ენის ცოდნას და თუ სასეში მივიღებთ რომ მართო მოხელეობამ (ჩინოვნიკობამ) იცის ჩვენში რუსული, მაშინ სამართალი სომ მაინც ჩინოვნიკის სამართალი იქნება და არა ერისა. ნაფიცთა მსაჯულება მართო იმითია სანატრელი, მართო იმითია კარგი, რომ სჯის და მსაჯულობს სინიდისი ურისა და არა ჩინოვნიკისა. თუ ამ მხრით არას შეაკვეცენ და ისე შემოიღებენ ჩვენში ნაფიცთა მსაჯულებას, ჩვენ მაგ სანატრელს ცვლილებას დიდის სიხარულით მივეკებით, თუ არა და მართო სასელი იქნება და სასწავი კი არა.

ერობაც მეტად დიდი რამ არის. იგია უტყუარი ორღანო ქვეყნის საჭიროების გამოთქმისათვის. ერის არჩევანით, იგია ერის წარმომადგენელი კრება. უოკელივე ვინც კი უკეთესი მოჭირნასულეა ერისა, იქა მოჭმედობს ბ იღვწვის. ერობას ფეხი თვით ერის დიკრებედ უდგას, ერის ცსოკრებაში

ტრიალებს და ერის ცხოვრებით სულდგმულბის. ამიტომაც იგი ზედ-მიწევნით მტოდნება, რა სტვივა ერსა და რა წამალი დაედება. თუ ერობის საქმე ისეა მოწეობილი, რომ იგი მართლად ერობდეს, უკეთესის ნატვრად, ჯერ ამ ხანად მანც, მეტის-მეტის წადილი იქნება. რა თქმა უნდა, განონსედ ბეგრი რამ არის დამოკიდებული. თუნდ, თვითონ არჩევანის საქმე ავიდოთ. გჭსთქვათ, განონად დაიდოს, რომ თუ არ ჩინოვანი ამოჩხეულ არ უნდა იქმნას, ანუ თუ არ ჩინოვანს, ანუ მდიდანს არჩევანის ხმა არ უნდა ჭქონდესო, მაშინ ერობა ცალკერი, ფუფი და ფუჭი სახელი იქნება. ჩინოვანი და მდიდანო ერი არ არის. ერი წრის გარეთ დაჩრება. თუ, მაგალითებრ, განონად დაიდვა, რაც მიამება, მარტო ისა ჭსთქვიო და რა წამალიც მე ვინდომო, ის წამალი იხმარეო, მაშინ ერობა ტვირთია და არა შვება და შეღავათი. მაშინ ერობა ერს კისერზედ დაწვება მთელის თავისის სიმძიმითა, სარჯებითა, გადასახადებითა და მუხუდოს რდენა სიკეთესაც კი არ მოუტანს. ერობა რეკეტი რამ არის: ერთით მოვალეობა და მეორით უფლება, ერთით ტვირთია, რადგანაც სარჯი, გადასახადი მოსდევს, მეორით — ღონება სიკეთისა, რადგანაც ერი თვითონ ჭხატრობობს თავის-თავს და სარჯსაც და გადასახადსაც თავის-თავს ახმარებს საჭიროებისა-მებრ. რაღა თქმა უნდა, რომ ერობაში სასუბანი უფრო მეორეა. აღმინი ტვირთს ადვილად ივისრებს, რაცა საჭიროა ეგ თავის-თავისვე საკეთილად. მაშასადამე აქ უკვლავი იმაზეა დამოკიდებული, რა მოედანი ექნება. შეძონსაზული ერობას, რა ფართო გზა მოქმედებისა დაენიშნება და უკეთესთა მოჭირნახულებთა არჩევანი დაბრკოლდება რითმე თუ არა. ერობა იმისთანა რამ არის, ან სულ მთლად უნდა იყოს, ან სულ არა.

ეს ორი ცვლილება — ნაფიცთა მსაჯულება და ერობა — რასაკვირველია, ასე თუ ისე პირ-და-პირ ეჭს და იმის საჭიროებას შეეხება. მაგრამ გარდა ამისა სხვა მრავალი საჭიროება დადაბებს ჩვენში და იმათაც არა ნაკლებ ყური უნდა ათხოვონ, თუ მართლა და სიკეთე უნდათ ქვეყნისა. ჩვენ იქნება თავის დროზედ ვრცლად ავხსნათ ეს საჭიროებანი, მაგრამ ამ უამად გი მოკლედ აგნუსხაძით.

საერთო განათლების საქმე უნდა გადაისინჯოს და ძირიანად გადაკეთდეს, რომ განათლებამ მართლა ფესვი გაიდგას და მოიკიდოს ჩვენში. ეგო აქაურობას ამოდესა ჭმუჭვნა, აქედით ქანება, წაჯექ-უგუჯექობა. დროა, განათლების საქმეს მთელის ქვეყნიერობისაგან აღიარებული საფუძველი დაედოს, ერთხელ და ერთხელ თავის საკუთარს გზაზედ დაუენებულ იქმნას, განათლების საქმეში განათლების მეტი არავინ არა შეუჩიოს და წმინდა რამ არ აამღერიოს. დიდის ყურადღების მიქცევა უნდა ჩვენს სასულიერო საქმესაცა. ჩვენს ერს მღვდელი არა ჭყავს. ის მღვდლები, რომელნიც არიან, იმისთანა ყოფაში არიან, რომ მარტო ლუკა-პურის ძებნაში აღამებენ თავიანთ დღესა და ერის სასულიერო საქმისათვის ვეღარ იტყვიან. ერი ვეღარ გასულია მღვდლის სარჯსა, რომელიც მით უფრო ემძიმება ერს, რომ განურკვეველია, განუსაზღვრელი. ახა იფიქრეთ, თუ მღვდელს დიდი ოჯახი აქვს და პატარა სიხარბეც მოსდევს, რა მუსრს აადენს თავის სამწყსოსა. ერი ამით ძალიან შეწყუბუბულია და მომდურწავი. ამას უსათუოდ წამალი რამ უნდა დაედოს, თორემ ერს ლაშის ქანტი გაუწყდეს.

ესლანდელი წესი სახელმწიფო ტყიდამ სარგებლობის სრულებით უნდა გაუქმდეს და სხვა ახალი წესი დაედგინოს,

ჩვენის გლეხ-კაცობის ცხოვრების შესაფერი. აქამოდე რუსეთის საზოგადო კანონები მოქმედებენ ჩვენშიაც და იფიქრეთ, საიდანმ სიდანო. სხვას ნურას იტყვიოთ, ჯერ მარტო ერთი ეს იქონიეთ სასუბი, რომ ჩვენი გლეხ-კაცი კერასა ხმარობს და რუსისა კი «ფეხსა», რომ რუსი ოთახს ათბობს და ისე თბება, ჩვენი კაცი კი ცუცხლა-პირას. ჩვენიბურს გლეხს კენახი აქვს და საჩი, თუ ჭიგვა უნდა და რუსისას არა. ეს თვალად ესე მცირე გარემოება, აჩსებითად იმოდენად პატრიგ-სადები და მიუწილებელი მიწეისა, რომ არ შეიძლება კაცმა ურად-ლება არ მიაქციოს და მის მისედვით ტყის ხმარების საქმე სულ სხვა საფუძველსედ არ ააგოს. უტყუობა მეტად მძიმე ტვიკილია ჩვენის ერისათვის და თუ უნდათ, რომ ერმა მართლად სიკეთე რამ იგრძნოს ცკლილებისა, ამში გულ-მტკივნეული და უხვად შეკლა უნდა. ადვილი საშუკელიც არის, თუ სურვილი იქნება. ჩვენს გვგონია, რომ მთავრობა არამც თუ დაჭკარვავს რასმეს, რომ ტყეების საქმე რიგინად მომართოს, არამედ მოიგებს კიდევც, იმიტომ-რომ შესაძლოა ტყის პატრონობის ხარჯი ძალიან შეიძოკლოს და შემოსავალს კი თითქმის არა მოაკლდეს-რა. ეს სომ შელაკათი მიეცემა და მიეცემა.

სახელმწიფო მამულების იჯარით გაცემის საქმეც სულ სხვაფერი უნდა მოიწიოს. ამ ცკლილების საგნად ის უნდა იყოს, რომ გლეხ-კაცობას გაუადვილდეს სახელმწიფო მამულების იჯარით აღება და არა იუთოდეს სახელმწიფოსთან საქმის დაჭერისაგან, ისე როგორც დღეს აქამოდე ფთხის და ერიდება. ამისათვის საჭიროა, რომ ამ საქმეს ჩამოაყალიბონ ათასნაირი სამწიქრობები, მოსულები, ტყუილ-უბრალო მიწერ-მოწერა და ბლაჯუნს ქაღალდისა მოიშალოს და იჯარის გამ-

ცემი კაცი, თუ სამმართველო გლეხ-კაცზედ ახლო იყოს. თვითონ მთავრობაც ირგებს, იმიტომ-რომ გლეხ-კაცი, ვითარცა ზირ-და-ზირი მომკმედი მიწისა, უფრო მეტ ფასს მისცემს, ჯოდრე მონადრე, რომელიც იმ იმედით იღებს მამულს, რომ სსვასზედ გაჭსტეს მრგობითა, — და გლეხსაც მაინც და მაინც ნაკლებ დაუჯდება, ვიდრე მონადრესაგან ჯღებული.

ფრიად საჭიროა ესლანდელი ბაჟი აჩაყის ხლისა შეიცვალოს ისე მაინც, როგორც უწინ იყო, თუ უკეთესად არა. ესლანდელი ბაჟი ისეთია, რომ თუ მოკლე ხანში კაცმა ბევრი არ გამოხადა, აჩაყის ხდა სასარგალოა. არც ერთს ქვავს, რომელსაც აქამომდე გლეხ-კაცი ხმარობდა, მაგ სასწაულის ქმნა არ შეუძლიან. ამიტომაც გლეხ-კაცი ამ მხრით დღეს ხელ-ცაღიერი ზის. ჩვენ გაბეჯით ვიტყვი, თუ არ მესამედი, მეტოხედი მაინც მოელის შემოსავლისა, გლეხ-კაცს ჯიბიდან ამოაწაღეს. საცა ვენახები სშირია, (და სად არ არის ჩვენში?) იქ გლეხ-კაცობა მარტო აჩაყის შემოსავლით ისტუმრებდა თითქმის მთელს სასულემწიფო და სასოფლო ხარჯსა, დღეს კი ამას მოკლებულია ესლანდელის ბაჟის წყალობითა. ესლანდელი აჩაყის ხდა მარტო მდიდარისათვის-ღაა შესაძლებელი, ესე იგი იმისათვის, ვინც ორასს, სამასს თუმანს გამოიმეტებს, და იმისათვის ქაჩხანს გამაჩთავს, რომ ცოტა ხანში ბევრი გამოხადოს. ამ სახით, ისეც უღონო-გლეხ-კაცი მტლად დაუღეს მდიდარსა და ფულისსა. დიდი შეღავათი კი იყო გლეხისათვის, როცა მისთვისაც შესაძლებელი იყო თავისის უბრალო ქვებით აჩაყის ხდა. ზამთრის რვეებში, როცა გარედ მუშაობა არ შეიძლებოდა, თავის-თავს მაინც და მაინც გამოარჩებოდა: რასმეს და უქმად დღეს არ დააღამებდა. მიუჯდებოდა ქვავს და ხდიდა აჩაყს. ესლანდელი ეს დრო უსასყიდლოდ და ურგებად

ეკარგება. იმას ვა ნუღარ ვიტყვით, რომ თვითონ ჭაჭასა და თსლეს ფასი დააკლდა და ზოგან გადასაყრელად-ღა გახდა. მაგალითებზე, მთელი დუშეთის მარცხა, წინა მხარი კახეთისა და მგონია ქართლიც ჭაჭასა და თსლეს სსკვა რაშიმე თუ იყენებენ, თორემ არაფერს ვი არა ხდის. რაც ეს ბაყი შემოვიდა, გაქრა ამ ადგილებში ჭაჭისა და თსლის ვაჭარი.

დიდი საქმეა გზების კეთებაცა. დღეს აქამოდე, საცა ვი გზის გამართვასეუდ სიტუვა ჩამოვარდებოდა, მთავრობას სასხეში ჭქონდა მარტო მსგედრობისათვის საჭირო გზები. ესლა ჩვენს ქვეყანაში, დვითის მადლით, სამსედრო არა არის-რა. ქვეყანა დამშვიდებულია. ესლა ჩვენი ქვეყანა სსკვა გვარ გზებზე ჭსაჭიროებს, იმისთანა გზებსა, რომელიც გამსუიდავს და მსუიდავს მალე, უწყინარად და იაფად შეასკედრებს. ამისთანა გზებს საკონომიო გზებს ეძახიან. ამათი დანიშნულება ის არის, რომ მწარმოებელს ბაზარი დაუახლოვოს, ბაზარში მისვლა-მოსვლა არ გაუჭიროს და საზიდავმა გადაზიდვაში მეტი ხარჯი არ გადაიყოლოს. გზამ რომ ეს დანიშნულება შეასრულოს, «ჩინონიკმა» ვი არ უნდა გაახას ღარი გზისა, როგორც აქამოდე იყო, არამედ ადგილის კატებს უნდა ეკითხოს. სად რა გზა უნდა. მაშინ გზა იქით არ მიიბრუნებს თავს, საცა მსხვილი კაცია, არამედ იქით, საც სსვილი საქმე და სსვილი საჭიროება. გზები ისე საჭირონი არიან, რომ პირველ-დღიდანვე ამას მიჭყონ სელი, მეტი არ იქნება. ოღონდ ერთი რამ ვი არ უნდა დავივიწყოთ. გაწყადა ერთი გზის ბეჯარის უწყესობითა. გზის კეთება მეტად მძიმე ბეჯარა თავის-თავადაც და ეს უწყესობა სომ ერთი-ორად ამძიმებს. ჩვენ იმას ვი არ ვამბობთ, რომ წესია და არ ასრულებენ. არა, თვითონ წესი არ არის დედგონილი არავითარი. ვისაც ქეიფად რა მოუვა, იმ წესსეუდ დაია-

ბა. ამ მხრით მთელი ჩვენი გლეხ-კაცობა «ჩინოვნიკების» ნებავად არის მიგდებული. ვინ იტყვის, რომ «ჩინოვნიკი» უსამართლობას რასმეს ჩაიდენს, მაგრამ მაინც ის რომ ვატარა შორს იყოს, ისა ჭსჯობია. ამდენი ვაი-ზავლასი, ტემა-ტემა, სარჯი, დანაკლისი, რაც გზის ბეგარას მოსდევს გლეხ-კაცისათვის, იმიტომ არის, რომ არაფერ არ იტის ვის რა მოვალეობა აქვს და ვის რა უფლება. ერთის სიტყვით წესი და კანონი არ არის ამ საგანზედ დადგენილი და უსათუოდ ვიუნდა იყოს, თორემ უწესობაში ლამის ერი მოიდნოს. რა გვარი წესია საჭირო და რა და რა საგანისათვის, ამასედაც იქნება მერცე შეგვხვდეს საუბარი და ჩვენ ჩვენსას ვიტყვით. ესაა მხოლოდ გვინდოდა ეს მხარეც ჩვენის კეთილ-დღეობისა ნაშნად დაგვესვა ცვალილებისათვის. ბევრიც კიდევ სხვა რამ არის სათქმელი, მაგრამ...

«კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს,

ავი რა საკვირველია.»

ზოგიც მერე იყოს.



## ხილად.

რასა ვწერთ და რას ვკითხულობთ? — მოცლილთა და ავ-ენათ  
სადაუბო. — მმართველობა, თუ გამგეობა, ანუ ფორმა, თუ ფიგუ-  
რა? — თავის თავის მაქებელნი და თავის თავის მამაცებელნი. —  
ქუთაისის სემინერია. — მისი მტერ-მოყვარენი. — სამღვდელოების-  
ნიმუშები. — დიდი ნახტომი. — კ. ყიფიანი შევლოხას როლში.

მოდო, მკითხველო, ყოველ-გვარს წინა-სიტყვაობას თავი-  
დავანებოთ და პირ-და-პირ შევუდგეთ ჩვენს საქმეს. საჯანს  
ჩემის ბასისას სათაურშივე ამოიკითხავდი და შემდეგ შიდა გეტ-  
დები ეს ბასი შენთვისაც და სემთვისაც უფრო საყურადღებო  
იყოს და უფრო სხვა-და-სხვა ამბებს შეჭებოდეს. მას გასხე-  
ნათ ღმერთი და მივყოთ ხელი:

იმ დღეს, შავერდოვის სააკენტოში საკვირველი რამ ამ-  
ბავი ვნახე: ერთი ღენერალი დიდი ჩინითაც და ტანითაც და  
ერთი პოლკოვნიკი «დროებას» ჩათვლით კითხულობდენ. ის-  
კი არ არის საკვირველი, რომ დიდ-ჩინიანებს ქართული კით-  
ხვა უჭირდებოდათ; საკვირველი ის არის, რომ ქართულად  
დაწერილს ამ ძალაღმა პირებმა თავიანთი ყურადღება აღიქმეს.  
მაგრამ არც ეს არის საკვირველი: მათის კარგის ნაცნობის  
მისაჩუქეს, ჯანჯანე ვანიძეს, თავის «ხაზინი» «დროებაში» ჩა-  
ეწერა და ახა როგორ საინტერესო არ უნდა ყოფილიყო?!  
„ხედავ იმ მ—ს რაები დაუწერია?“ ხარხარით ეუბნება ერთი

მეორეს. «მე რომ ბ — ი ვეოფილევიყუ, სულ ცხვირ-პირს ჩავამ-  
ტვრევდი,» უპასუხებს მეორე. «უოხად, ვანიძე, ამბობს ვიღაცა  
უმაწვილი-კაცი ბუღვარზედ, — ძალიან მოურტყამს შენმა მზემ.»

ეს არის საგანი ბასისა ჩვენის ლიტერატურისაგან აღ-  
ძრული წარსულს კვირას. მზარეულმა თავისი «საზეინი» გა-  
ლანძღა: ძღვდეღმა ვაჭარს ლიტერატურაში დუსანშიიკი დაუძა-  
ხა და ვაჭარმა უპასუხად შეუთვალა იმავე ლიტერატურის ში-  
რით, «დამიბტვიცე სამსაჯულოში რომ მე ვარ დუსანშიიკი და  
არა მეორე გილდის ვაჭარიო» («შრომა, № 14); ორს ძღვდეღს  
კინკლანობა მოსდით ღ ერთმანერთს ეუბნებიან: «შენ თავმჯდო-  
მარეობის ნება არა გქონდა, მე კალთებზედ შემომეჭიდენ, მეს-  
ვეწებოდენ ითავმჯდომარე, მაგრამ არა ვჭქქენიო.» «როგორ თუ  
არა მქონდაო, აბა სინოდის ბრძანებაში სადა სწერია, რომ არა  
მქონდაო.»

აი ეს განსაკუთრებული და გულის გასაწრთობი ლიტე-  
რატურა; კაცს აცინებს კიდეც, თავის ნაწნობ-ნათესავების ამ-  
ბებსაც შეატეობინებს. თავ-მოყვარეობასაც საწრდოს მისცემს  
და, თუ საქმე გაჭირდა, იმასაც შეამღებინებს, რომ თავის  
ბტერი ან ავად-მასსენებელი დააშინოს, უთხრას, დაწყენარდი,  
თორემ გაზეთში ჩავწერო და ამ სასაღ-მოდურის იარაღით ში-  
ში ბურთი ჩასჩაროს.

რა საჭიროა მხელად-მოსანელებელი ლიტერატურა? რა  
საჭიროა სკოლებში დედა-ენის საჭიროებაზედ ლაშარაკი, ებ  
სომ კუჭს დაგვიძმძიებს და სადილს უკან გასაწრთობ საკითხა-  
ვად აღარ გამოგვადგება. რა საჭიროა ნათევიც მსაჯულებზედ  
ზრუნვა? ის არა სჯობია ვიშუამდგომლოთ რომ ყველა ავა-  
ზაკები აღმინისტრაციულის წესით ციმბირში გარდასასხლონ  
(წერილი ორურგეთიდან, «დროება» № 264). რა საჭიროა

ჯრობა? ბუღვარისთანა სჯერო ადგილს სად კიშოკით, ან ამო-  
დენა ერს სხვაგან სადა ვინახავთ!

ვიღანძღვით, ვიგინოთ, დავცინოთ სხვებსა, ამის ჩრც-  
ღმერთი დაგვიშლის, არც კაცი, არც კაცთაგან დადგენილი  
ბეჭდვის სალაგმაკი. შირველად ვა, რაღაც ხანლი დაწესებულე-  
ბანი შემოუღიასთ, მაგათ მიკმართოთ ჩვენი ფარ-ხმალი.

აი «დროებაში» (№ 246) დაბეჭდილი წერილი ერთის წე-  
რა-კითხვის შემადგენელის წევრისა ბარქალა, ავტორი! ეგ-  
რე უნდა გაკწებლა აი, ე ვიღაც მმართველობის, თუ გამგეო-  
ბის წევრი არიან. ჯერ ერთი ესა, რასა «მკვლავლებენ» ეგ  
«ქინახენი» და რად არჩევენ «გამგეობას» როდესაც მთავრო-  
ბისაგან დამტკიცებულს წესდებაში «მმართველობა» უწერიათ და  
არა «გამგეობა» მეორეც ესა, რას მკვლავლებენ კიდევ და  
ჩასციებიან სასოფლო სკოლების მასწავლებლებს, გინდათ თუ  
არა, შეგვატყობინეთ, როდის რა გამოგიგზავნეთო.

საფანჯში მომწუვდეკა თუ გინდათ ეს არის და ისე უფ-  
რად მომწუვდეკა, რომ მმართველობის წევრთ გულის შეთრე-  
ვაც კი ვეღარ მოუსწვრიათ.

მართალია, ერთმა უცხო და კითომ მიუფერებელმა კაც-  
მა კი უურმა წამომხუჩნულა: პატივ-ცემული შემადგენელი წევრი  
საზოგადოებისა გამგეობასა და მმართველობასედა რომ ლაშა-  
ჩაკობს და ისე ჭიფოსოჭიფურად სჯის, როგორც ღირსეულნი  
ფილოსოფოსნი მოლიერის პიესაში ქუდის ფიგურასა და ფორ-  
მასედაო, (ეს პიესა ქართულად გადმოთარგმნილია პატივცემუ-  
ლის დიმიტრი ივანეს-ძის უიფიანისაგან), — რატომ მმართვე-  
ლობის მეორე ცოდვას კი არ აჩვენებსო: რატომ არ ამბობ-  
სო, რომ წესდებაში «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგა-  
დოების» სსენება არ არის და მმართველობა რად არჩევენსა-

ზოგადობას იმ სახელსაღ. თითონ «შემადგენელსაც» შეკვიპრ-  
ვის ეს ცოდვა თავის წერილში და «წერა-კითხვის საზოგადოე-  
ბასედ» ლაპარაკობს, როდესაც წესდებაში განხილავდა და უტ-  
უიანი სახელი საზოგადობისა არის: «ტოილისის საზოგა-  
დობა, რომელმაც წიგნის ცოდნა უნდა გაახშიროს ქართვე-  
ლებ შუა, სადაც მოსახლეობენ კავკასიის სანამესტრიეოში»  
ეს წამომჩიურწილს ამ უცხო პირმა, მაგრამ ესეც აღბად მმარ-  
თველობის წევრთა მოკეთე იქნებოდა ეინმე.

კიდევ აი რა წამომჩიურწილს: მმართველობამ სასოფლო  
მასწავლებლებს მხოლოდ ეს მისწერა, ჩვენ ესა და ეს ნიეთე-  
ბი გამოგიგზავნეთ და მოგივიდათო? ან თუ მოგივიდათ,  
დროზედ მოგივიდათ თუ არაო? პატივცემულმა «შემადგენელ-  
მა» რად გადაასხვასეცა გავხეთილამ ამოკითხულ წერილის ძირს-  
რები. განა არ იცისო, რომ გავზავნა სხვა არის და მ-  
ლება სხვაო; ჭკითხოსო, თუნდა სჩედრინს, რომელსაც ორი  
წერილი გაუგზავნია თავის დეიდისათვის და დეიდას კი  
არც ერთი არ მისვლიაო. (იხილეთ Отечественныя записки,  
ნოემბერი 1881 წ.) არ შეიძლებაო განა საზოგადობისაგან  
გავზავნილი ნიეთები სადმე მასრის სემმართველოს ან კან-  
ცლარების კუთხეში უყარნენ ესლაც და დანიშნულებისამებრ  
არ მისვლოდეთო?

აი მოგახსენეთ, ეს მმართველობის წევრთა მოკეთე იქ-  
ნება მეთქი.

აი რა მიიხრა კიდევ: მმართველობის წერილში მასწავ-  
ლებლებისადმი სამჯერ არის აღიკვეს «კთხრეთ» გამეორებული  
და ბეტორი «დროებსში» დაბეჭდილ წერილისა ამბობს, — რა  
ხება ჭკონდა მმართველობას, რომ სასოფლო მასწავლებლებს  
მასურის მოწერას ვალდა სდებდაო. მმართველობის წერილზედ

ეტუობა, რომ იმას უნდა დახმარება გაუწიოს მასწავლებლებს და ერთად მხელი-ხელს ჩაკიდებულნი შემსახურონ ხალხის განათლების საქმესა და შემადგენელი წევრი კი ცდილობს რაღაც მიზეზით მმართველობასა და მასწავლებლებს შორის შუი და მტრობა ჩამოაკდოს.

ესაა კი ნამდვილია, ეს კილაც არის მმართველობის წევრთა შუგობანი ყოფილა და ამის საუკვადურები სრულიად უსაფუძვლელა.

ამის საუკვადურები კი უსაფუძვლელა, მაგრამ მე ერთი რამ უნდა ვუსაუკვადურო «შემადგენელს წევრს». რად უწუნებს მმართველობის წევრთ ბიუროკრატიულს კილას? ნეტაი ღმერთს ენებებინა მთელი წერილი ბიუროკრატიულად ყოფილიყო დაწერილი, თორემ მოგუფლდინ, ბატონო, და ერთმანხურთში დამხალივით აურევიათ: ეს გამგეობაა, ეს მმართველობაა, და საზოგადოებისათვისაც რაღაც უკუდო სახელი «წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება» დაუწყებიათ, როდესაც ამ საზოგადოებას იმისთანა დაწბაისღური სახელი აქვს, როგორც «ტფილისის საზოგადოება, რომელმაც და სხვ. და სხვ.»

არა, ჩემო ავტორო, ჩვენი ქვეყანა მაშინ აიღვამდა ზუესსა, როდესაც ბიუროკრატიას ჯეროვანი პატრივი ექნებოდა და შენისთანა ბიუროკრატიის დედა-ბოძები ხელით სატარებულად ყუფილებოდათ.

ეს ერთი მათრახი მოხვდა და ცხარე მათრახიც წერა-კითხვის საზოგადოებას!

მეორე მათრახიც ამ თუქში ქუთაისის სემინარიის სდრუზეს და სდრუზეს იმისთანა მარჯვე პირებმა, რომელთაც არც თაჟი უჩანთ, არც ტანი, ასე გაშინჯვით არც მათრახის ტარი და მხოლოდ მისი ხალხი მოჩინს ჭაუქში, უძლავუნებს აქედ-

იქით და ემუქრება ყველას, ვინც კი ამ სამღვდელთაების კუ-  
სერსედ ძალად მოსკეულს საქმეს თანაუგრძნობს. რაღა უკ-  
ხარჯი უნდაღა სამღვდელთაებს, ამბობს მაგ. «იმედი», (ქარ-  
თული ყოველ - თვიური ქალიტერატურა და საზოგადოებრივი  
ყურნალი; გამოდის თვეში ერთხელ, იბეჭდება ექვთიმე ხელა-  
ძის სტამბაში. რედაქტორი და გამომცემი მიხეილ გურგენიძე.  
რედაქცია იმყოფება გუგიაში, მეორე თუშანიშვილის ქუჩაზედ,  
ნემეცების სასაფლაოსთან, № 12.) ყოვლად-სამღვდელთა გაბ-  
რეილმა ზოგს სათრით მიაღებინა თავის წინადადება სემინა-  
რიის გახსნასად. ზოგს შიშით, ზოგს ჯილდოების დაპირე-  
ბათაჲ. მართლაც რომ ეს ძალადობაა და უსამართლო ძალადო-  
ბაც. არა, თქვენნი ჭირიძე, ვის რა სჯის? ჩემს შვილს მინდა  
ვასწავლი, მინდა არა; მინდა კარგად შევინახამ, მინდა «როზგ»  
ქვეშ სუფს ამოვართმევ; მინდა სასარგებლო კაცად გამოვიყ-  
ვან, მინდა ქვეყნის ამომგდებ ავაზაკად. აქ ყოველივე ძალ-და-  
ტანება მშობლების უფლებების შევიწროებაა. ან რა უჭირდათ  
მღვდლის შვილებს უსწავლელადაც, რომ ახალი სემინარია არ ვა-  
გუკეთათ და მეტი ხარჯი სამღვდელთაებს ტვირთად არ დაგაწო-  
ლათ. ვითომ აქამდის ვერა მღვდლობდენ თუ? მღვდლობდენ კი  
არა, ზოგან ისეთს ქადაგებას ეუბნებიან ხალხსა, რომამაა ჭიაციხის  
შეარცხვინოს დმეტოზ მათთან. აი, მაგალითად, წაიკითხეთ მშვე-  
ნიერი სიტყვა მ. გვარამაძისა («ვინმე მესხისა»), რომელმაც  
«დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე ხალხზე» (იხ. კო-  
რესპონდენცია «ვინმე მესხისა» «დროებისა» 25.1 №-ში), ან  
კიდევ წაიკითხეთ იმავე «დროებაში» (№ № 254—255) წერი-  
ლი ლაილამის ბლალაჩინისა. ი. გერსამიასი, რომელსაც უმოგ-  
ზარუნია თავის სამწესოში და უნახავს რომ «ზოგნი ცუდ-  
ღუტნი, უქმი დღე უმეტესად მუშაობენ, მინემ საქმი» ამ ძავ-

ნე ჩვეულების შესაძლებლად მოძღვარს მოუღია უძალესი მანიფესტი, გამოცემული 29 აპრილს. «მე წავუკითხე, ამბობს მოძღვარი, — შემოსხენებულნი მნიფესტი ხალხს, აკუსენი და გავაგებინე კარგად შინაარსი მისი, რომელმაც ისეთი გავლენა მოახდინა ხალხზედ, რომ უროცხვი ცრემლი დაიღვარა. იმ ზომად მომეწონა მათი უძანგო ხასიათი და გულქველობა; იმ ზომად შემიუვარდა მე ის ხალხი, რომ თითქო ჩემი საკეთარნი მცირე-წლოვანნი, გამგონე შვილები იღუპნენ ჩემს წინ და მისემდნენ მამას დარიჯებსა.» ქვის გულიც უფრო დასდნება, როცა დაინახავს ამ მამა-შვილურს კავშირს მღვდელსა და ერს შორს. ან ესეც მოისმინეთ, როგორც სვობს მამა ბლადიმირი ცრუ-მოწმუნეობას ხალხში და მეორედ მოსკლის ამბავს უქაზწყლავს. «თვით მაცხოვარმამასთქვა, რომ დრო და უამი მისი აწავინ იცისო კაცთაგან, არცა ანგულესთა ცისათორ, და ბქვენ ვინ გავაგებინებთ ისეთი საბიდუმლო, რომლის ცოდნა მარტო მამა სუტესს ეკუთვნის?»

თუ კი მამა სუტესმა მეორედ მოსკლის ამბებიც იცის, რაღაში გვეჭირვება, ერთი მიბძანეთ: სემინარიები. ქადაგებას თავი დაანებეთ, განა წერას კი დაუწუნებთ ეხლანდელ მღვდლებსა, რომ კიდევ ახალ-ახალი სემინარიებთ არ გაუმათოთ? ახა გადაშალეთ რჩი უკანასკნელი «შრომის» ნომრები, როგორ აუჭრელებათ თავიანთ ნაწერებით პატივცემულ მოძღვართ. წინაითხეთ მამა იოანე გამრეკლოვი როგორის მქუხარეს სიტუევებით ემუჭრება თავის მოპირდაპირეს. ცერცვაძეს — შენ სხვებს ნუ აჭყვები, თორემ ცუდი საქმე დაგემათებაო. როგორის «რამორტების» წერა სცოდნია და როგორ აუყაყნებია ამ რამორტებს მისი მოპირ-და-პირენი. ან სხვათრივ კი კალამი არ უჭრით თუ? სინოდის კანტორასში თურმე უბე-

ღებთ. «ბუნებაზედ» მოდის, უოკლად-სამღვდელოდ ძალად გვაკისრებინა სემინარიის ხარჯიო. ერთის სიტყვით უოკელის-ოფერი გამოუვა ხელიდამ კხლანდელს სამღვდელოებას: მქადაგებელნიც ჰრიან, მწერალნიც, თავიანთ აზრის ძალუფად გამოძიებულნიც, თუ გაჭირდა მბუნებარნიც. აბა თუ ღმერთი გწამთ, რაღად ეჭირვებათ იმათ სემინარია?

მკითხველო, პატარა ხანს მღვდელსაც, ბერსაც თავი დაგანებოთ, დიდი ნახიჯი გადადგათ და იმისთანა ადგილას შევიდეთ, სადაც კერც გერსამია, კერც გამრეკელოვი და კერც სხვა ხუცესნი და მოძღვარნი შემოგვეყვებიან: შევიდეთ თუ ატრში.

დიდი ნახტომი კი მომივიდა, მაგრამ ეს ნახტომი გარემოებით გამოწვეულია. როდესაც კაცი ჩინებულს რასმეს ჭხუდავს და უნდა თავისი გრძნობა სხვებსაც გაუზიაროს, ის არ მიჭხუდავს იმას, დროზედ ამბობს თავის ქებას, და ან ეს ქება შეეფერება წინასწარ ლაპარაკს, თუ არა. მეც დღეს ისე მომიდის. გელაპარაკებოდი უსაფუძვლო საუკუდურებზედ, თავის თავის ქებაზედ, ბუნებაზედ, და სხვა ამისთანა უმართებულო საგნებზედ და ესლა კი მინდა იმისთანა საგანზედ გამოგულაპარაკო, რომელმაც მთელი საღამო უაჭვით მიიზიდა მათ უფრებელთ უურადღება და ამოუშლელი კვალი დასტოვა მათს გრძნობასა და გონებაში. მე ვიყავ ქართულს თეატრში და ვნახე კ. ყიფიანი შეგლოხა—ურჩიას როლში. ვიტყვი მოკლედ, ამისთანა თამაშობა ვერ ჩვენს სცენას არ უნახავს. კ. ყიფიანის სახეში გამოხატული იყო შთამომავლობითვე ჩანერგილი სიმდიდრე ქრისტიანებისადმი: გინება, ლანძვრა, წააფება, რაც ურჩებს ქრისტიანებისაგან წილად ხდომიათ, ეს ბერი-კაცი დიდილობს გადაუხადოს სასტიკად, როცა ქრისტიანი ფუფუნად



ესესხება მას, ის დიდ ხანსა ჭფიქრობს, რა საჩუქრები მოს-  
თხოვას, აწიწონს დასწონს და ბაზროს გამოუცხადებს; თუ  
კადაზედ არ მომცემ, საჩუქრის მაგივრად ერთი გირვან-  
ქა მავ თეთრის ხორცისა შენის გულადამ ამომაჭრევინეო.  
ურია თავს ანებებს საჩუქრებს, რომელიც თავის ღმერთს ურ-  
ჩევია და თხოულობს ერთ გირვანქა ქრისტისანის ხორცს,  
რომელიც ღმერთსაც უჩრევინა და საჩუქრებსაც. ეს უსაზღვრო  
წადილი შურის-გებისა მეტყველებდა კ. უიფიანის უოველს მი-  
მხვრანში, უოველს სიტყვაში, კივილების უოველს შეწნევანში  
სიტყვებით არა—ჩვეულებრივს კათოლიკებით გამოისმოდა მის  
ლახანაკში და გამოისმოდა ისე, რომ მაყურებლებს ყრუნტე-  
ლი უვლიდათ ტანში მათს გაგონებაზედ.

შეგოხას მოსტაცეს ქალი ქრისტისანებმა და ის განუ-  
საზღვრელს მწუხარებაშია; ამ დროს ერთი მეგობარი ატყო-  
ბინებს მოვალის გემების დაღუპვას და ეს ამბავი სულს უდ-  
გამს მას, რადგან ერთი გირვანქა ხორცის იმედი ეხლა გაუც-  
ხოველდა; მწუხარება შვილის დაკარგვისა და სიხარული ქრის-  
ტიანის სისხლის აღებისა იბრძვიან ერთმანერთთან და გამოი-  
ხატებიან მის სახეზედ, თითქმის ერთ-გვარის ძლიერებით. ეს  
მეტად ადვილი სტენაა უნიჭო მოთამაშეთათვის, რადგან ჭარ-  
სად გადააკეთებენ ხოლმე. მაგრამ მეტის-მეტად ძნელია ნი-  
ჭიერთათვის. კ. უიფიანმა დასძლია ამ სიძნელეს და წარმოგ-  
ვიდგინა წინ შექსპირის ნამდვილი ტიპი და არა ცირკის კლო-  
უნი.

სამწუხაროდ, სამსაჯულოს წინ კ. უიფიანს ცოტა ავლ-  
და იმავე მძულვარების ცხადად გამოხატვა, რომელიც ისე ხე-  
ლოვნურად თვალ-წინ წარმოგვიდგინა პირველს მოქმედებაში.  
მაგრამ კარგი რამ იყო მაშინ, როდესაც გულ-ცოვად ილესავ-

და დანას წაღებულ ქრისტიანის გულში ჩასატყობად და არ უგ-  
დებდა უნეს წინსვით წარმოთქმულს საუკუდუნეს ქრისტიანე-  
ბისას.

მადლობა დმეტოს, შექსპირი ვნახეთ, ქართულს სტენაზედ  
და ვნახეთ ღიწმუნულად გარდმოცემული.

მეითხველთ ნახვამდის, მეძმისამდის. სვალ-ზეგ ახალთ  
წელიწადია და ახალი ცვლილებაც მოგველის. მეც იმედი მაქვს  
რომ როცა შერძის მე და შენ უნთად შევიყრებით, ახალს საქ-  
მეებზედ დავიწყებთ ღაზაჩაგას. განახლებულის გულით და კა-  
ნახლებულის გრძნობით.

ახალი წიგნები

... იგაგ-არაგნი, კრილოვისაგან და ლობძენ-სიცრუტგან, გალექ-  
სილი თ. რაფე, ერისთავისაგან.

... რაფე, ერისთავი, ეგუთვნის, იმ მწერლების, დასსა-  
რმძეულზედაც საუბარი ადამიანისათვის სასიამოვნოა. . . მას  
დიდი ხანია ჩვენს ლიტერატურაში დამსახურებული აქვს წმინ-  
და სახელი, რმძელიც, რმდენიც დრო გადის, იმდენი უფ-  
რო მატულობს. ეს სახელი ჩვენს პოეტს მოპოებული აქვს  
სწორე გზით — თავის ნიჭით და ნაყოფიერის შრომით. თავ-  
ვის გამომჩენისათვის მას არას დროს არ უხმარნია, თუ არა და  
ხმადად შურო, კიცხვა, გინება და ლანძვას სხვის გონების ნა-  
მოქმედარისა, რასაც დიდის სიამოვნებით ხელს ავლებენ ბინ-  
ძურის თავ-მოყვარეობით სავსენია, მაგრამ გონებით უნიჭონი,  
ცოდნით დაცანი და უოკუას კეთილ-შობილს გმძნობას და  
წადილს მოკლებული მკვლახელები.

... ერთი განსაკუთრებით თვისება თ. რაფაელისა კიდევ  
უფრო სასიამოვნო და შესანიშნავია. ვინც ჩვენს ლიტე-  
რატურას თავლს ადეკებს, უთუოდ შენიშნავდა, რამ თ.  
რაფაელს ხანი არამც თუ მხნეობას და ნიჭის სიჭკეულის-  
არ უმცირებს, თითქო კიდევაც უმატებს. ამ ბოლოს-  
წლებში არც ერთი ხეირიანი ლიტერატურული გამცემის  
არ დაარსებულა, რამ იგი თავის კალმით არ დახმარებოდა;  
ქართულის თეატრისათვის მის მოღვაწეობა ხომ უკუვლას თავლ

წინ აქვს. მეორეს მხრით თუ «ივერიაში» წაგივითხავთ მისი უმშვენებელი ლექსი «სამშობლო ხვესურისა», დაძეთანხმებით, რომ აქ ისტება ისეთი ძლიერი, წრფელი და გატაცებული გრძნობა, რომელიც შეჭვივრის ოც-და-ხუთის წლის ჯგუფს მწერალსა.

აქ იხადება მეტად საინტერესო კითხვა; რითი უნდა ახსნათ ეს იშვიათი მხეობა და სიჯგუფე ტალანტისა მოხუცებულს მწერალში? რატომ ამავე თვისებას არ იჩენენ უფრო უმაწვილნი მწერალნი, რომელნიც ორმოც წელს აქით ფრთებს მიძს უშვებენ?.. თ. რაფაელი არ არის გამომხრული იმ გონების რეფლექსიითა, რომელიც სენათა სჭირს ახალ-თაობასა, ესრედ წოდებული უმაღლესი და წყუელი კითხვები, რომელნიც ეტუობა; დიდი ხანია ჩვენს პოეტს დასკენილი და გადაწუკეტილი აქვს და ესენი მას სრულიად არ აწუხებენ და არ ართმევენ გონების უფრადლებას და ენერჯიას. მას აქვს განსაზღვრული და დაბოლოებული წარმოდგენა ქვეყნიერებაზედ, მიზნითა და მოკიდებულობაზედ, სოციალურს დაწყობილებაზედ და ჯგუთვნის იმ მთელს გკამთა (цѣльныя натуры); რომელთაც სიუმაწვილის ძალა ღრმა სიბერემდის მისდევთ. თქვენ შეგიძლიანთ დაარქვათ თ. რაფაელს იდეალისტი, მორწმუნე კაცა, მაგრამ იმას კი ვერ იტყვიით, რომ ეს გარდაწუკეტილი შეხედულობა ქვეყნიერებაზედ მის კარგს სამსახურს არ უწევს, არ ანიჭებს სულის სიმშვიდეს, გონების მხეობას, გულის სიჯგუფეს და აზრის დამყარებლობას შიშდინარე საქმეებზედ. ახალი თაობა, სამწუხაროდ, ამ საუნჯეს მოკლებულია. მის გონებაში და გულში უწინდელი შეხედულება ქვეყნიერე-

ბაზედ დანგრეულია და ახლის შენობისა ჯერედ ხეირიანი სა-  
ძირკველიც არ არის ჩამდგარი. იგი ძველს აზრებს, გრძნო-  
ბებს, იმედებს და წადილებს მოშორებულა, ახალი ხეირიანად  
არ განუსაზღვრავს და არ შეუთვისებია. არა ერთი წყეულო  
კითხვა აწევს მას მაჟღაჯუნსავით გონებაზედ, უკარგავს სუ-  
ლის სიმშვიდეს, უშეოთებს გულსა, უღალავს აზრსა, უდრო-  
უდროოდ უღევს ღონესა და უსწრათებს სიბერესა. დღიურ  
საქმეებს იგი ვერ ახმარებს საკმაო უურადლებას და დროს  
რადგანაც ამ წყეულს კითხვებს და ვარძებს მიპერობილი აქვთ  
მისი მთავარი გონება. ახალი თაობანიც მოესწრებიან უკეთეს  
სულის სიმშვიდეს, გონების ხანგრძლივს მხნეობას და გულის  
სიჟეულს. . . . და რამდენიც ადრე მოხდება ეს სანატრი  
რელი მოვლენა, იმდენად ნაკლებად ვხახვთ უდრო-უდროოდ  
დაბერებულს ნიჭიერს მწერლებსა.

თ. რათაელის ნაწერებს აქვთ ოთხი დიდი ღირსება:  
ორიგინალობა, ქართულის ცხოვრების ბეჭედი, წმინდა ქართუ-  
ლი ენა და შესაბამი კილო.

თავის ნაწერებში თ. რათაელი: არავის არა ჰბამავს, არა-  
ვისი ზედგავლენა არ ეტეობა; გეგონება (რასაკვირველია ტყუი-  
ლად), არც კი წაუკითხავს საუკეთესო თხზულებანიც. თავის  
ნაწერები ჩვენს პოეტს თვითონვე ეკუთვნის შინააწესითაც და  
ფორმითაც. ნაკლულევანებანიც მისია და ღირსებანიც. თარ-  
გმანშიაც კი თ. რათაელი თავისუბრობას იცავს და თავის  
საკუთარს ბეჭედს ასვამს სხვის გონების ნაწარმოებსაცა. ბევრს  
არ შეუძლიან დაიჩემოს ჩვენში ეს ღირსება.

არა გვგონია მესამე-მეოთხე პირი მოიძებნებოდეს ჩვენს ღირ-

ტერატურაში, რომელსაც ისე შეთვისებულად ქმნიან ჩვენის ერის ცხოვრება. თ. რაბაელო ჩვენს ხალხს წიგნიდგან და შორიდგან არ იცნობს მას, როგორც ეტუობა, თვითონ უცხოვრია მის შორის, თითქმის ყოველი კეთსე საქართველოსი გაუცვნიან საკუთარის თვალით და ყურით, უხანავს ხალხი ჭირშიაც, ლხინშიაც ბედნიერ დღესაც და სადა დროსაც, შეთვისებულა მასთან გულის და გონების მრავლის ძარღვებითა, და უყვარს ხალხისეთი, როგორც არის, მის ღირსებით და საკლუდეკანებით; უყვარს არა თეორიულს სიყვარულით, რომელიც ხშირად შეკიდგანს საბანივით ევარება რეალურს სიმდიდრეს ხალხისასა, არამედ ნამდვილის, ჭეშმარიტის გრძობით. ამიტომაც აზის ყოველს ნაწერს თ. რაბაელისას ისეთი ცხადი ბეჭედი ჩვენის ხალხობისა, ეროვნობისა.

ცოცხალი და ნამდვილი ხალხური ენა შეადგენს ერთს უშირველესს ღირსებას თ. რაბაელის ნაწერებისას. ამ გვარი ენა სუფევს ყველა მის ლექსებში, სათესტრო პიესებში, სცენებში და მოთხრობებში. მაგრამ სტატიების ენა კი ბევრად უკან ჩამორჩება და შესანიშნავად კოჭლობს. შეადარეთ, მაგალითად, წინა-სიტყვაობა იგავ-არაკებისა თვით იგავ-არაკების ენასთან და ცხადად დაინახეთ, თუ რა დიდი მანძილი სძევს ამ რჩ გვარ ნაწარმოების ენის შუა. ენის გარდა შინაარსითაც ვერ შეედრება ჩვენის პოეტის სტატიები მისსა ხანაწერებს... ერთი ნაკლუდეკანება ენისა ხან-და-ხან გამოეჩვენა ხალხე მის ნაწერებში. თ. რაბაელმა ზედ-მიწევნიით იცის არა მარტო ცოცხალი ხალხური ენა, — მას ძველებური, წიგნური ენაც მშვენივრად აქვს შესწავლილი, და ზოგჯერ ძველებურს, წიგნურს სიტყვებს და გამოხატულობას გამოეჩვენა ხალხე იქ, სადაც უნდა იხმარებოდეს ცოცხალი სიტყვები და გამოხატუ-

ლებანი ეს გარემოებს უსწორ-მასწორად, სოციალისტური წესის  
მის ენას, თუძცა კი ძაღისა იშვიათადა.

როგორც სიმღერა გალობაში, ისე ლექსებში კილოა პირ-  
ველი ადგილი უჭირავს; ისე ანაფრით არ იცნობება ნამდვილი  
პოეტი, როგორც შესაბამის კილოთი მკურე მხრით ისე აშ-  
კარად ანაფრით გასცემს უნიჭო ლექსების მკვლახნეულსა, რო-  
გორც უღასხათო, უშნო კილო. ამიტომ მოხდება სოლო ამ  
გვარი შემთხვევა: კითხულობთ ლექსსა, რითმითაც მდიდარია,  
ცესურაც მტკიცედ არის დაცული. მაგრამ პოეტურს ჩახუჭ-  
დილებას კი ლექსი ვერ სასაგს თქვენში; თქვენ არა გრძნობთ  
იმ სიამოვნებას, რომელიც ყოველს ნამდვილს, ჭეშმარიტს  
ლექსს მოსდევს: გიჟივით ესა და ვერაფრით ავიხსნათ, ვერ  
მისგედრილხართ, რა აკლია და რა აუძარცვლებს ლექსსა. ბო-  
ლოს მიხედვით, რომ ლექსი მოკლებულია პოეტურს კილო-  
სა. კილო არის ნამდვილი ძარცვი პოეტისა და როგორც  
უძარცვო სატყელო, რაც გინდა ჩაუყრის მასა დიღან იყო-  
შედგენილი, უგებურია; ისე უკილო ლექსი უსიამოვნო და  
მანიხვია. თ. რაფაელის ლექსები ნამდვილს პოეტურს კილო-  
ზედ არიან დაწერილნი და შესაგებულნი პოეტურის ძარცვით.

ყველა მოხსენებულ დარსებათა გზავნით იგავ-არაკებშია ც-  
მეტადრე ძარცვლიტივით გამოსტვივის მათში დასათიანი, წმინდა  
ქართული ენა და ხალხურ-პოეტური კილო. ერთი განსაკუთრ-  
ებებით დარსებაც შესანიშნავია ლექსი ერთ-გვარი არ  
არას მთელს იგავ-არაკში თაკიდგან დაწუებული ბოლომდის.  
იგი იცვლება, ან გრძელდება, ან მოკლდება, ახალის ცხოვე-  
ლების ბასის დაწუებით, ასე, რომ ერთსა და იმავე იგავ-  
არაკში დათვი ერთ-გვარის ლექსით დაზარავოს. მგელი მე-  
რე გვარის ლექსით, მელისა უდიდე სხვა ლექსით და სხვანი;

მაგრამ ხან-და-ხან ლექსსა სტეფანის მისწინაჲ, როდესაც ერთსა და იგივე ცხოველს აღაშარაკებს და ეს, ჩვენის აზრით, უსიამოვნოდ ატყულებს მას, პირველსაჲ იგავ-არაკში გლეხი სამჯერ სტეფანის ლექსსა და გეგონია, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ ერთ-გვარის ლექსით აღაშარაკებდა. მაგრამ ეს წკრილმანინაკლუდეკანებაა, რომელსედაც შეჩერება საჭირო არ არის. იგავ-არაკებს აქვთ რამდენიმე უფრო თავალ-საჩინო ნაკლუდეკანება და ჩვენ გესურს ივინი გამოვარკვიოთ და ჩვენი აზრი განკუთხაროთ პატრიუ-ტემულს ავტოცნსა.

ერთს უმთავრესს დიწსებას კრილოვის იგავ-არაკებისას შეადგენს მოკლედ და მარჯვედ გამოხატულება აზრისა. მთელი იგავ-არაკი ისეა შეკუმშილი, რომ მეტს სიტყვას ერთსაც ვერ იზრუნით, თავიდან რომ ბოლომდის ბეკრიცა სძებნოთ. მარჯვედ გამოხატვა აზრისა, მოკლედ მოჭრა სიტყვისა და მარცხიანობა გამოთქმულებისა თანდათან მატულობს ყოველ კრილოვის იგავ-არაკში და ბოლოს თავდება იმისთანა მარჯვე, მოსხვეპილის და შეკუმშილის ლექსით, რომ ბეკრი ამ ლექსთაგანი რუსეთში სახალხო ანდაზად გადაიქცა. სამწუხაროდ თ. წაფაელის თარგმანში კრილოვის იგავ-არაკებს ეს დიწსება ბევრად თუ ცოტად დაუკარგავთ. თარგმანი ხშირად ბევრით გრძელად დედანზედ, კრილოვის ერთის მუხლის გარდმოსაცემად ზშირად ხვენი მთარგმნელი ხმარობს, რისა, სიმისა და ოთხს მუხლსა და მოკლე სიტყვას ბრტყლად გამოჭყავს. დედანში ბოლო თითქმის ყოველთვის უკეთესია დასაწყისზედ; თარგმანში კი თავი ხშირად მშვენივრად არის დაწყობილი. მაგრამ რამდენიც ქვევით მიღწახართ, მიღწევი უფრო ხუსტდება გამოხატულება, მარცხი ატყუდება, ვილო მიჩსა ეძება და დასასრული იგავ-არაკისა მოგავრუნებთ სწორედ ჩახოლანსა. ვერც ერთს თარგმან-



ში ვერ იშოვნით იმისთანა მოკლეს და მარჯვე გამოხატულებას, რომელიც საანდაზო იყოს. ავიღოთ თუნდა ბერძენი ანუ არაბი «საზანდრები.» აი რა ლაზათიანად იწყება:

«მაიშენმა, დათვმა და თხამ მოაწვიეს ვირი,  
იშოვნეს დაფა, ქამანხა, ჩაღარა და სტუკირი.  
საზანდრობა დააზირეს, დასხდნენ ცაცხვის მიძისა,  
დაუგრეს, დაჭკრეს, გაუსვეს, ჩაჭბერეს საუვირისა.»

სამწუხაროდ ამ ლაზათიან სათაურს აი რა უშნო ბოლო მოსდევს:

«მაშინ ბუღბუღმა

მიუგო მხეცებს: «ყველა სულდგმულმა,

ხამს იქონიოს ცოდნა და გული...»

(ასეა თქმული...)

და უნდა ჭქონდეს ხაზი უურები...»

უამისოთ ვი, თუნდ შწკრივად დასხდეთ,

კერ ისაზანდრებთ, თუნდ ჯაფით უაწუდეთ, --

მაინც ღარჩებით მაცუნ — ვირები!»

მოიგონეთ ახლა დედანის ბოლო, მეტადვე უკანასკნელი ორი მუხლი; а вы, друзья, какъ ни садитесь, а все въ музыканты не годитесь, ზ თქვენ დამკთარებებით, რომ თარგმანსა და დედანს შუა იმოდუნჯვე მანძილია, რამდენიც მარლიან მასვილობას და უბრალო ვინებას შუა... ამ იგავ-არავს (და ზოგიერთა სხვაობსაც) ერთი სხვა ნაკლულეკანებაც კმინევა: ვიღოს, მასვილობის მაგიერ, ზოგან მასხარული თვისება მიუღია.

აკილოთ კიდევ წინანდელის მიძღვენო იგავ-არაკი: მგელ-  
ლი და მელა.» აი რა: მშვენიერის ზოგოურ კილოთი იწუება:

ქათმით გამოძლა მელა

და მოიღუქა უელა; ზოგი კიდევ შეინახა, ზედ წასთარა ლელა; თითონ თივის ძირს წამოწვა, — თავს წამოადგა მგელა.

მაგრამ იგავს ქვემოთა ტანში ეს ზოგოური კილო უხეირო  
შროზად გადაქცეულა:

«მაგრამ ჩვენ ვიცით

ძალიან ბოგოცედ

რომ მგელი თივას ვერ მოინელებს

(არც უჭამია თავის დღეში მგლებს).

რომ მგელს თივისგან ასტკივს ენა,

რომ ხორცი უჯობს, თუ გინდა ძვლი.»

ზოგოურ ვარინანად იწუება მეოთხე იგავ-არაკი: ყვავი და  
მელა; მაგრამ შუატანში და ბოლოში ზოგიერთა ადგილები  
უხეიროდ არიან გადმოღებულნი. მაგალითად:

«ამდენს კეთილთან(?) თუ მღერატ იტი,

მას ჯარ უნდა აღთქმა(?) და ფიცი,

ჩვენ გვეყოლები მიფინკელთა; მეფად

მე ვიცი მხალოდ ძაღლური ყეფა,

მაგრამ შევიძლებ დაფასებას.»

შემდეგი იგავ-არაკი «ღორი» ისე მშვენივრად აჩის გად-  
მოღებული, რომ დედანს თითქმის სჯობია; მაგრამ ჩაბეჭდი-  
ლებას აფუჭებს, სიამოვნებას ასუსტებს. ზნის სწავლების პრე-  
ზენტად გამოხატვა.

მშვენიერი იგავ-არაკი «ვირი და ბუღბუღი» ძალიან მდა-  
რედ აჩის გადმოთარგმნილი და კერძო შეედრება თ. გრ. ორ-  
ბულიანის თარგმანს. აი მოისმინეთ:

«ვირმა ჩაღუნა თავი დაბლა, ძირს...  
(მეტი არ უნდა მოგსთხოვოთ, ჩვენ, ვირს?)  
ბოლოს მან უთხრა ამაყად ბუღბუღს:

მე გიგდებდი ყურს!

შენი ქება მსურს...

შენი გალობა, რომ ვსთქვამთ, არა მწყინს!

ვიდეც მომგვრის ძილს.

მაგრამ

ცოტა რამ

რომ დაგესწავლა შენ მამლისაგან,

აკვამშენებდი,

დაგამშვენიებდი,

შეიქნებოდი შენც იმისთანა!

სიძლარის გარდა მეორე მუხლში აზრიც არა სჩანს გა-  
მოჩვენებული და ეს თითქოს უაზრობა, სამწუხაროდ, ზოგი-  
ერთს სხვა არაკებშიაც აჩის შეპარული. სამაგიეროდ მოკლე  
ზნის სწავლება ამ იგავ-არაკისა მარჯვედ და ლაზათიანად აჩის  
გამოთქმული.

ზოგ ადგილას ქართულის გრამატიკის კანონი არ აჩის

დაცუელი იგავ-არავში «კატა და ბუღბუღი» მეორე. მუსლის-  
 პირველი ნახევარი ასე წავითხებთ: მას (ბუღბუღს) დაუწერ-  
 (კატამ) ალექსები. სახელი არსებითი ალურსი მრავლობით რიც-  
 ხვით არ იხმარება. თ. რაფაელს ადვილად შეეძლო ეს ადგი-  
 ლი ასე შეეცვალა: დაუწერა სტაბილი ალექსი. მეორე ადგი-  
 ლას ვწითხლობთ: ძალეები დრინავს. აქ პირდა-პირი წინა-  
 აღმდეგობაა გრამატიკისა. მართლაც, წაერთულს უნაში შესხე-  
 ნილი სშირად მხლოლობითს. რიცხვზედ ბოლოკდება, როდე-  
 საც ქვემდებარე მრავლობითის რიცხვისა, მაგრამ ეს მხლოდ  
 მაშინ მოხდება, როდესაც ქვემდებარე ნიშნავს უსულა. საგანს.  
 მაგალითად, ვამბობთ ხეები აწუწია და არა აწუწიან, სტოლე-  
 ბი სდგას და არა სდგანან. მაგრამ თუ ქვემდებარე სულიერს  
 საგანსა ნიშნავს, მაშინ კი სრული გრამატიკული თანხმობა უნ-  
 და იყოს მის და შესძინილს შუა, და თუ პირველი მრავლო-  
 ბითის რიცხვისაა, მეორეც ამ რიცხვზედ უნდა იყოს დაბო-  
 ლოებული. მაგალითად არ შეიძლება ვსთქვათ: კაცები მოდის,  
 ფრინველები ფრინავს, ძროხები ბლავის, უნდა ითქვას: კაცები  
 მოდიან, ფრინველები ფრინავენ, ძროხები ბლავიან. რა საკ-  
 ვირველია ეს შეცდომა თ. რაფაელს იმიტომ კი არ მოუვიდა,  
 რომ ჩვენზედ უკეთესად არ იცოდეს გრამატიკის სხელებული  
 კანონი, რითმის გულისათვის ვადასულა კანონსა; მაგრამ  
 ურითმობა ბევრით სჯობიან ენის აშკარა უკანონობას და  
 გრამატიკა ზოგჯერ თავის დღეში არ უნდა ანაცვალოს რით-  
 მისა... ზოგჯერ უნდა უთხანასწორრობაც ეტყობათ; მაგალი-  
 თად:

თქვამდა გუდა და კიბომა  
 ქირა აიღეს ძალიან ბლომად.

პირველი მუსლის მეორე მარჯვლია, მეორეში და შექმდე-

გებში ათ-ათი მარცვლი და ეს უთანასწორობა ლექსს აჩუხდება...

იგავ-არაკში «სუგნელი» ჩვენი პოეტი საწყადას მთიულს ძალიან უწერება, როგორც ბებულე ღვთის ქმნილების დაწინებამ და სწუგლის: «ვის საქმეს სჯიდა, ჭკიცხავდა, შახედეთ, სულელს, მზე-ბნელსა.» ამითი ჩვენს პოეტს დაურღვევია ერთი ძირითადი კანონი იგავ-არაკებისა, რომელიც მოითხოვს ავტორისაგან, აჩუხებოს შიგ თავისი მსჯელობა ცხარეების მხედამიანის მოქმედებაზე და თუ საჭიროდ ჩაცხს თავისი აზრი გამოსთქვას იგავ-არაკის გათავების შემდეგ, ზნის სწავლებაში.

უძრავი ჩაკლულუკანება იგავ-არაკისა, რომელიც თანადას ამოუღია სიბრძნე-სიცრუიდგან, რამაშა, რომ სტატიკა ზნის სწავლებაში შეუსაბამონი, უაზრონი და თითქმის მარნებელიც არიან, თუმცა უძრავს ნაწილად ქართულის ანდაზებიდგან შეუდგენია იგავის ავტორსა. მაგალითად, იგავ-არაკი: «მეფე და იმისი შვილები» თავდება შემდეგის ზნის სწავლებითა:

- «ნათქვამიც არის ამისთვისაც»
- «ქმა ძმისთვისაც, შაკ-დღისთვისაც»
- «ამხანაგი ხუ გმულსაც»
- «ნათქვამი ხუ გმულსაც...»

იზარალებს ყოველთვისაგანც აჩუხებს, ბატონსაც(!) მგელი ცხარეში დაერია, ვაი ერთის პატრონსაც(!) მინ მეხუთე მეხუთე ჩვენი პოეტი ქადაგებს ბატონ-ყმობის დროს მოწალეს და მეექვსე მიგონვილის მეხუთე სრულს უაზრობას ბადავს. ამ გვარეუკა ზნის სწავლება იგავ-არაკისა დათვალი და გლეხი.

«ახლა მინდა შესაფერად ანდასებო ჩამოვხმასო:

«დათვი რაღა მოგერიოს, უნდა მამა დაუძახო, (?)»

გლეხი გლეხს ვერ მიეშველს; იქნება დათვის შიშითა;

ან გაიკითხვენ გოგოსა ტირილითა და ვიშითა (?)»

სხვათა ჭირიო,

ღობეს ჩხირიო.»

ჩვენ სრულიად არ უნდა გაგვიკვირდეს მოხსენებულ ნაკლებულეკანებათა გამოჩვევა იმისთანა ნიჭიერის პოეტის ნაწარმებში, რომელიც არის თ. რაფაელი. უნდა გვასხადეს, რომ იგავ-ანაკების წერა ბევრად ძნელია სხვა-გვარ პოეტურს თხრობლებსა წერაზედ. მთელმა ძველმა დრომ უნიჭიერებს ბერძნებში და რომაელებში აღზარდა მხოლოდ ერთი იგავ-ანაკების მარჯვე მწერალი — ეზოპოსი. მთელმა საფრანკეთმა დაჭბადა მხოლოდ ერთი ლაქონტენი: ვეებერთელა რუსეთის ხალხმა, რომლის რიცხვი ახლა თითქმის ასს მილიონამდის უწევს, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მხოლოდ ერთი ნიჭიერი — მეიგავ-ანაკე — გრილოვი — გამოიყვანა ამ ასპარეზზედ. სხვა სახელმწიფოებში, სხვა ერთა შორის, სრულიადაც არ გამოჩენილან იგავ-ანაკების მარჯვე მწერალი. ის ფაქტი, რომ მთელს კაცობრიობაში მხოლოდ სამს გამოჩენილს იგავ-მეანაკეს ვხვდავთ, აშკარად ამტკიცებს, თუ რა ძნელია ლაზთიანის და მარლიანის იგავ-ანაკების წერა.

ამიტომაც დიდ შემეტებად ვხადით ჩვენს ლიტერატურაში თ. რაფაელის იგავ-ანაკებსა; დიდ ღვაწლად ვჩანსავთ მის მხრივ გრილოვისა და სხვა რაბელიანის ანაკების გალექსასა. ეს ღვაწლი ერთი-ერთსად კიდევ იმატებს, თუ თ. რაფაელი მოიცლის, გულ-დადებით გადაათვალიერებს და შესაწორებს

ახლის გამოცემისათვის თავის იგავ-ანაკებსა, რომელთაც დიდი საზღვებლობა უნდა მოუტანონ მეტადრე ჩვენს სახალსო სკოლასა.

მეორე გამოცემა იგავ-ანაკების ეკუთვნის «წერა-კითხვის საზოგადოებას.» გამომცემლობაში მას ჯერედ ხამობა ეტეობა. თუძცა ფული არ დაუშურებია გამოცემისათვის და თითოეკგზემზლიარი ახასამდის დასჯდომია, მაგრამ არც ქაღალდის საქები, არც ბეჭედი და არც სურათები. საზოგადოების გამომცემანი ხშირად გამოკლენ ესე მდარენი, თუ თვითონ ავტორებს მიანდობს გამოცემის შრომას და თავდარიგსა და არ იშოვნის ამ საქმეში გამოცდილს პირსა, რადგანაც თბილისში რიგანად წიგნის გამოცემა უფრო მომეტებულს შრომას და ფაფა-ფუფს ითხოვს, მინამ თვითონ დაწერა.

შინაარსი 1881 წლის

«ივმარიისა»

მოთხრობანი და რომანები: სხვა-და-სხვა გვარი ქორე  
წილი, ეკ. გაბაშვილისა («ივერია» № 1). დედა მათა, სოფრე  
მგალობელაშვილისა (№ 2). რომანი დიდხეკაში, ეკ. გაბაშვილი  
ლისა (№ 3). გაზაფხულის სურათები, ეკ. გაბაშვილისა (№ 7).  
გვეჭიფდის მოძღვარი, რომანი რელიეფ გოლდსმიტისა, ინ-  
გლისურიდან (№ № 1, 2, 3, 4 და 5). პოლინკა საქსი, ა. დრუი  
უინინისა, ნათარგმნი ა. მედიქიშვილისა (№ 6). ანდრეს რუსტად,  
ბოიუზენისა, თარგმანი (№ 7). და ჯ მმა, ლეონ კლადელისა,  
თარგმანი ელ. ლორთქიფანიძისა (№ 8). სიუვარულის ცოლ-  
ქმრობა, ჯ. ჭალკვისა, ქრანცურულიდან (№ 9). სისხლის აქე-  
ბა, ამბავი ირლანდიის ცხოვრებიდან, თარგმანი (№ 11).

ღრამები: რ-ცუცხლ-შეა, ე. დე უინარდენისა, ქრან-  
ცურულიდან (№ 4). სამშობლო, გადმოკეთებული ქრანცურუ-  
ლიდან თ. დავ. ერისთვისაგან (№ 10). შეირმა ანუ ბოსნე-  
ლები, მატრი ბანასი, თარგმანი (№ № 11 და 12).

პოემები: ბაღისაწაიის შედრევანი, პუშკინისა, თარგმა-  
ნი მ. თუმანიშვილისა (№ 1). ანრდილი, პოემა ილია ჭავჭავა-  
ძისა (№ № 2 და 3). მუშა-ქალი, ტ. შევჩენკოსი, თარგმანი ნ.  
ჯ-ისა (№ 5). ბავრტიონების დიდება, ა. ფ-ისა (№ 8). გან-  
კითხვა, ვ. რ-ისა (№ 11).

წერილი ლექსები: ახალი წელი, პოეტის გული, აკაკი-



სა; ლექსი იტალიურიდან— იოსებ ბაქრაძის; \* \* \* კ. ო. ს. & \* \* \* იორდანე ტუსადის (№ 1); \* \* \*; ჩემს ლექსს— იორდანე ტუსადის; გამოსაღებება, სასო-წარგვეთილება, გამოფენისლე-ბა— აკაკისა, (№ 2). ბრძოლა, ნუ ჭკარვალ იმედს— იოსებ ბაქრაძისა, (№ 3). სიზმარი, საყვედური— აკაკისა; დედამისი— თ. რ. ერისთვისა (№ 4). გაუბედავი სიყვარული— აკაკისა (№ 5). ვიდრე შენ წინა— კ. ო. ს., სიმღერა— ელ. მიქელაძისა. საღესტური ლექსები, (№ 6) \* \* \*— უმწიფარობისა, დათვი & ცხვრები, ჰურის მოსავალი— თ. რ. ერისთვისა (№ 7); გაზაფხული— თ. რ. ერისთვისა (№ 8). სამშობლო. ხევსურისა— თ. რ. ერისთვისა (№ 9). საღესტური ლექსები (№ 10). \* \* \*, \* \* \*— ი. ბაქრაძისა; «ნეტა რას ტირი დედილო?»— თ. რ. ერისთვისა (№ 12).

სხვა-და-სხვა წერილები: ცხოვრება და კანონი ილ. ჭავჭავაძისა (№ 1). მარლი (№ 2). ირლანდია ინგლისის უფლებების ქვეშ (№ № 3 და 9). რუსეთის ეხლანდელი მდგომარეობა წერილი პირველი და მეორე (№ № 4 და 9). გადაკარგული მხარე (ხევსურეთი და ხევსურები)— ა. უსბუგისა (№ № 4 და 5). მოკლე განხილვა სლავიანების ეროვნებათა აღმართებისა (№ 5). ურცხობის ბედი; (№ 6). უმეტრების ამყოფა— ი. გოგებაშვილისა (№ № 6 და 7). უსათუფლო წადილი (ილ. ჭავჭავაძის «ცხოვრება & კანონის» გამო)— ნ. ხუდადოვისა (№ № 6 და 7). რანი ვიყავით გუშინ?— ი. სვიმონიძისა (№ № 8 და 9). თელავის სასულიერო სემინარია და პირველი მისი რექტორი გაიღო ნაცვლისშვილი— ნ. მთვარელიშვილისა (№ № 8, 9 და 10). ვინ მოიგონა ქართული ანბანი— ილ. ოქრომჭედელიშვილისა (№ 10). ნახული და გაგონილი (მგზავრის შენიშვნები) (№ № 11 და 12). განმარტებითი წერილი სწავლების პლანისა (№ 12).

მიმოხილვა; შინაური მიმოხილვა (№№ 1, 2, 3, 5, 7, 9, 11 და 12). შარშანდელი რუსეთი—გ-თ-ისა; უცხო ქვეყნები; ფილოქსერა (№ 1). თეატრი—გ-თ-ისა (№№ 2 და 11). რიონდელ სიტყვათა გ.—თ-ის წერილის «შარშანდელ რუსეთის თარბაზედ», ა. ნა—ლისა (№ 3). პირველი მარტი 1881 წლისა; «იმედის» ბელეტრისტიკა (№ 4). ხელმწიფის მკვლევარები—თ-ისა (№ 5). ქუთაისის საადგილ-მამულა ბანკის კრება (20 აპრილი—11 მაისი) (№ 7) ლიტერატურული. შენიშვნები—ა. ნა—ლისა (№ 10). ნეკროლოგი (№ 11.) ხილად (№ 12.) ახალი წიგნები (№№ 1, 2, 3, 4, 6, 7, 8, 9, 10 და 12)

თუცა გამოცხადებულია, რომ „დროებაზედ“ და „ივერიაზედ“ ხელის-მომწერა მხოლოდ ცალ-ცალკე მიიღება და «ივერია» ღირს შვიდი მანათი, მაინც სოკიერთა ხელის-მომწერლები ჭკსავნიან ერთად თოთხმეტ მანათს და ორივე გამოცემას იბარებენ. «ივერიის» რედაქცია უმორჩილესადა სთხოვს ამ ხელის-მომწერლებს, აცნობონ თხუთმეტს იანვრამდე, რა უეოს იმ ხუთ მანათს, რომელიც მას მეჭხვდა, უკანვე დაუბრუნოს მათ, თუ ორს მანათსაც გამოგზავნიან «ივერიის» მთელის წლით დასაბარებლად.

«ივერიის» რედაქცია



სამის თვით — — — — — 3 „

ერთის „ — — — — — 1 „

სხვა ვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება. სვედრი ფული ხელის-მომწერმა გასეთის დაბარებისათნაჲკე უნდა გამოგზავნოს რედაქციასში. ვითხოვთ აგრეთვე, რომ თავის სახელი და გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით დასწერონ.

რედაქტორი სერ. მესხი.

გამომცემელი სტ. მერიქიშვილი.

მომავალს 1882 წელს

საზოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

« შ რ მ მ ა »

გამოვა იმავე პროგრამით და მხმართულებით, როგორც წრეულს გამოდის.

გაზეთის პროგრამა:

- I. სტატიები თანამედროვე კითხვებზედ, II. ტელეგრამები, III. ადგილობრივი ამბები და შენიშვნები, IV. ახალი სალიტერატურო, საზოგადოებრივი და საზოლიტიკო ცნობები, V. ქრონიკა ადგილობრივის თვით - მმართველობისა, VI. შინაგანი და გარეგანი წერილები, VII. საზოლიტიკო მიმოხილვა გარეგანი და შინაგანი, VIII. კრიტიკული მიმოხილვა თანამედროვე ლიტერატურისა, IX. ფელეტონი: მოთხრობები, სტატიები, ლექსები და სხვა-და-სხვა შენიშვნები, X. ისტორიული მიმოხილვა კავკასიის აქეთა მხარისა, XI. სამსახურლო ცნობები და შენიშვნები, XII. ცნობათ ფურცელი და განცხადებანი.

გაზეთი გამოვა ოთხშაბათობით, საშუალო საგაზეთო ქალაქის ფურცელზედ, სანდისსან დამატებით.

გაზეთის გამოსაწერი თასი სახლში მიტანით და სხვა ქალაქებში ვაგზავნით: ერთის წლის—შვიდი მანეთი, ნახევარ წლის— ოთხი მანეთი, სამის თვის— ორი მანეთი და ხუთი შაური.

ხელის-მოწერა მიიღება:

ქ. ქუთაისში: 1) გაზეთის რედაქციაში, ნემცების ქუჩაზედ, კნენა მაჭუტაძის სახლში, 2) პ. გ. წულუკიძის სტამბაში, თბილისის ქუჩაზედ, კრიჭავის სახლში და 3) ძმების ნიკოლაძეების მალაზიაში.

ქ. თბილისში: შაკერდავის გაზეთების სააგენტოში.

ქუთაისს გარეშე მცხოვრებთა თავიანთის მოთხოვნით ბით პირდაპირ რედაქციას უნდა მიმართონ.

რედაქტორი თ. ლიმ. მლ. ლალიანი.

გამომცემლები: თ. ლ. პ. ლალიანი და ლ. პ. ნაზაროვი.

## ОБЪ ИЗДАНИИ

въ 1882 г. въ г. Тифлисѣ еженедѣльнаго юридическаго журнала

## „ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(годъ второй)

Журналь, какъ и въ 1881 году, будетъ выходить по четвергамъ въ размѣрѣ до 2 печатныхъ листовъ текста, еромъ приложеній, по прежней программѣ, въ объемъ которой входятъ статьи по всѣмъ вопросамъ, вытекающимъ

изъ теоріи и практики права и судопроизводства, перечень, изложеніе и обсужденіе *важнѣйшихъ* распоряженій и узаконеній правительства, *краткіе* отчеты (а въ случаяхъ важныхъ, и стенографическіе) о выдающихся судебныхъ дѣлахъ, *особенно интересныя* гражданскія рѣшенія, *случаи изъ судебной жизни и практики* (смѣсь), корреспонденціи *юридическаго содержанія*, городская хроника, *перечень* новыхъ книгъ *юридическаго содержанія*, обзоръ печати, тезисы каскаціонныхъ рѣшенія *Правительствующаго Сената и Тифлисской Судебной палаты*, судебный указатель и проч.

Забогась о посильномъ выполненіи своей программы, журналъ заручился сотрудничествомъ сверхъ многихъ лицъ судебного вѣдомства, также и нѣкоторыхъ профессоровъ-юристовъ.

Редакція журнала—*Тифлисъ Ново-Бebutовская ул. д. № 6*—Администрація (для приема подписки, объявленій и различной продажи)—*Тифлисъ, Сололакская ул. д. № 40*. Подписная цѣна на журналъ, *съ доставкой и пересылкою*, на годъ—10 р., на 9 мѣс. 8 руб. 20 к., на 6 мѣс. 6 р., на 3 мѣс. 3 р. 20 к., на 1 мѣс. 1 р. 20 к. Разсрочка въ платежѣ денегъ—по соглашенію съ администраціею журнала. Подписаться можно съ 1-го числа каждаго мѣсяца, и не далѣе конца года—Отдѣльные нумера по 25 к. Объявленія, казенныя и частныя, по таксѣ за занимаемое мѣсто.

*Иногородныхъ просятъ обращаться исключительно въ администрацію журнала.*

Издатель А. С. Френнель,

Редакторъ А. В. Степановъ

Присяжный повѣренный

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1882 ГОДЪ.

„БУДИЛЬНИКЪ“,

Еженедѣльный сатирический журналъ съ рисунками и карриатурами.

18-й годъ изданія

Въ 1882-мъ году «Будильникъ» будетъ выходить, на прежнихъ основаніяхъ, еженедѣльно (50 номеровъ въ годъ), тетрадами отъ 1½ до 2½ листовъ большаго формата. Въ каждомъ номерѣ читатели найдутъ отъ 4 до 6-ти *хромолитографированныхъ*, отпечатанныхъ на роскошной бумагѣ, рисунковъ и отъ 15 до 20-ти столбцовъ текста, что составитъ въ годъ два большіе тома, содержащіе *не меньше 250 хромолитографій и до 1000 столбцовъ текста* самаго разнообразнаго содержанія. Программа журнала: 1) юмористическая лѣтопись русской жизни, — 2) обзорѣніе политической и общественной жизни иностранныхъ государствъ, — 3) хроника періодической печати, — 4) театральная лѣтопись, — 5) повѣсти, рассказы, бытовые очерки, драматическія сцены и стихотворенія, — 6) памфлеты, пародіи, посвященія, анекдоты, каламбуры, шутки и проч., и 7) рисунки, каррикатуры политическія и бытовья, портреты (шаржъ) героевъ дня, иллюстраціи къ рассказамъ, сценамъ и стихотвореніямъ, виньетки, ребусы и т. д.

«Будильнику» *объщали свое участіе*: В. А. Александровъ (Крыловъ), В. Н. Андреевъ-Бурлакъ, П. В. Быковъ, И. А. Вашковъ, А. М. Герсонъ, А. М. Дмитріевъ, А. О. Ивановъ (Классикъ), Л. Г. Граве, Н. П. Кирѣевъ, М. А. Козыревъ, А. В. Кругловъ, А. Д. Курепинъ, Н. А. Лейкинъ, Д. Д. Минаевъ, В. О. Михневичъ, А. П. Молчановъ, И. И. Мясницкій, В. И. Немировичъ Данченко, П. М. Певѣжинъ,



Н. П. Орловъ, Л. И. Пальминъ, М. И. Писаревъ, О. Н. Плевако, Н. А. Потѣхинъ, А. С. Размадзе, Д. Н. Садовниковъ, М. П. Садовскій, Н. С. Стружкинъ, К. А. Тарновскій, Л. П. Трефблевъ и мн. друг.; *въ художественномъ отдѣлѣ*: С. П. Амосовъ, Н. А. Богдановъ, С. И. Грибковъ, И. И. Клангъ, А. И. Лебедевъ, М. Е. Маковскій, М. Е. Малышевъ, В. И. Порфирьева, Н. Е. Рачковъ, К. А. Трутовскій (акад.), Н. П. Чеховъ, К. Н. Ничаговъ, В. И. Шлакъ, Ц. П. Щегловъ и другіе.

Цѣлый рядъ капитальныхъ, потребовавшихъ не малыхъ трудовъ и затратъ, улучшеній, предпринятыхъ въ «Будильникѣ» еще съ конца 1881 года. даетъ, собственно говоря, право его редакціи отказаться отъ поднесенія подписчикамъ такъ называемыхъ «премій»; тѣмъ не менѣе, желая сохранить обычай доброй старины, она предлагаетъ своимъ *годовымъ* подписчикамъ слѣдующіе роскошные подарки на новѣй 1882 годъ:

1) Большую альбертотипію (работы гг. Шереръ и Набгольцъ, въ Москвѣ) съ новой картины *В. Е. Маковского*, специально для этого заказа воспроизведенной самимъ художникомъ;—

### «ДѢЛОВОЕ УТРО».

Фирма «Шареръ и Набгольцъ» ручается за артистическое исполненіе копій.

2) Альбомъ рисунковъ *К. Н. Чичагова*: «*Нашъ вѣкъ*». — коллекція героевъ (типовъ) современной намъ эпохи: 1) бассиръ, — 2) концессіонеръ, — 3) журналистъ, — 4) спирить, — 5) саврасъ безъ узды, — 6) адвокатъ, — 7) подрядчикъ, — 8) пиковая дама, — 9) дон-Жуанъ, — 10) ростовщикъ, — 11) кулакъ-міроѣдъ, — 12) думець.

Альбомъ и альбертотипія будутъ разосланы *годовымъ* подпискамъ вмѣстѣ съ первымъ № «Будильника» 1882 года.

## ПОДПИСНАЯ ЦѢНА НА «БУДИЛЬНИКЪ»:

въ Москвѣ, безъ доставки, на годъ 7 р., на полгода 4 р.—в.			
« « съ доставкою на домъ 8 « « « 4 « 50 »			
съ пересылкою въ Петер. и пров. 9 « « « 5 « — »			

Лица, доплачивающія къ подписной суммѣ *одинъ рубль*, получаютъ *Альманахъ «Будильника» на 1882-й годъ* (IV-й г. изд.), въ который, между прочимъ, войдетъ *ребусъ*, за разгадку котораго до 1-го марта 1882-го года (срокъ появленія альманаха въ свѣтъ—15 ноября 1881 г.) редакция «Будильника» объявляетъ денежную премію въ 400 рублей.

Контора редакціи покоррѣйше проситъ гг. подписчиковъ *торопиться* заявленіемъ своихъ требованій, во избѣжаніе задержки первыхъ №№ журнала. Денежные пакеты адресу. ются на имя *Л. Н. Уткиной*: Москва, *Леонтьевскій пер-д. Мичинера*.

## ჩიცხვი

1881 წლის «ივერიაზეუ» ხელის-მომწერთა.

თბილისში 126, ქუთაისში 69, გორში 31, თელავში 12, სიღ-  
ნაღში 21, ყვირილაში 16, საშურში 9, ხონში 8, მეკუზანში 7,  
ოზურგეთში 7, ბათუმში 7, პეტერბურღში 7, დუშეთში 6,  
სამტრედიასში 6, სოხუმში 6, სალ-ციხეში 5, მოსკოვში 5,  
გომში 4, ჭავჭავთის სალ-ქალაქში 4, ონში 4, ფოთში 4,  
გრაკალში 3, ქარელში 3, ახაშაში 3, სალ-სენაკში 3, ნუსა-  
ში 3, ბაქოში 3, მცხეთასში 2, ბეჟათუბანში 2, ლაილასში 2,  
ვლადიკავკასში 2, ბათალშაშინსკში 2, კასში 1, ფონში 1,  
ბორჯომში 1, ახსტუმანში 1, ზაქათალაში 1, კაზიანში 1,  
ფასანაურში 1, განჯაში 1, ერევანში 1, ორდუბათში 1,  
გუმბრში 1, შამახიაში 1, სალს აკსტაფაში 1, შურაში 1,  
ეუბაში 1, შუშაში 1, სალიანში 1, სარაგაულში 1, ჩოხა-  
ტაურში 1, რიონის სტანციასკედ 1, ძირულასში 1, ნაგომარ-  
ში 1, ზუგდიღში 1, არდაგანში 1, ყარსში 1, ალექსანდრია-  
ში 1, პეტროვსკში 1, ყაზბეგში 1, სტავროპოლში 1, გროზ-  
ნაიაში 1, პოდბროძეში 1, ოდესასში 1, კიევიში 1, სარკოვ-  
ში 1, სოფიაში (ბოლგარია) 1. პარიჟში 1.

სულ 437 (ოთხს ოც-და-ჩვიდმეტი.)

ი 383

1881

### განცხადება.

მოძვეალს 1882 წელს ჟურნალს «ივერიისში» ხელის  
მოწერა მიიღება მხოლოდ მთელი წლით.

ესი მთელის წლისა (თორმეტი წიგნი) შეიღი მანათი.

ვისაც ერთად შემოტანა გაუძნელდება, შეუძლიან ოთხი მანათი  
პირველს იანვრამდე 1882 წ. შემოიტანოს და დანარჩენი  
სამი მანათი პირველს მაისამდე.

ხელის-მოწერა მიიღება «ივერიის» რედაქციაში, რომელიც  
იმყოფება მთა-წმინდაში, ხვეის ქუჩაზე, ფარესაშვილის  
სახლებში № 9 და აგრეთვე შავრდოვის სააგენტოში.

ქადაქს გარეშე ხელის-მოძწერით წერილი და ფული შემდეგის  
ადრესით უნდა გამოგზავნონ:

*Въ Тифлисъ*

*Въ Редакцію журнала «ИВЕРІА»*

ვისაც ჟურნალი თავის დროზედ არ მიუვიდეს, ეთხოვით,  
მაღე აცნობოს რედაქციას.

რედაქტორები ილ. შავშავაძე და ს. მუსხი.